# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 19 ივლისი, 2007 წელი.

№ 138 (5739)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

◎ რა დღეშიც ვართ

## როცა პური თხელდება, ბენდუქიძე კიდევ უფრო სქელდება...

3



ყოველწლიურად მატულობს ენერგომომწოდებლების ტარიფი, ძვირდება ტრანსპორტი, კომუნალური მომსახურება, რაც შემდეგ პროდუქტებზე ფასების ზრდას და, შესაბამისად, ცხოვრების გაძვირებას იწვევს

# ეს უნდა იყოს ფართო ავტონომია

2

ექსპერტმა მამუკა არეშიძემ ე. წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსის დამდგენელი კომისიის შექმნის შესახებ ჩვენთან შეიტყო

## სააკაშვილი: დაივიწყეთ ტერმინები - ქართული და ოსური მხარეები!



2

## თბილისს შემოერთებულ სოფლებსაც ჰყიდიან?! 

3

◎ შინაგანი წესიერების ქვეყანა

## მშვიდი დღე აზერბაიჯანში

11



ერთადერთი თემა საქართველო იყო. იხსენებდნენ ქართველ მეგობრებს, საქართველოში გატარებულ დღეებს და ათას მხიარულ ისტორიას. ძალიან ამაყი ვიყავი და ვფიქრობდი, რა ადვილია ცხოვრება, თუ ირგვლივ სიყვარულია

◎ აზრი

# „თუ არ მოგწონს, გადართე!“

4-6



◎ გლობუსი



6-7

# წყალში ვიხრჩობით და წყურვილი გვახრჩობს

# სახელმწიფო

● საქართველოს პრეზიდენტმა მაღალი ტრიბუნიდან უკვე განაცხადა, როგორი ავტონომია უნდა ჰქონდეს ამ რეგიონს. ერთადერთი, რაზეც შეიძლება მსჯელობა, სახელწოდებაა



◎ კომპეტენტური აზრი

**კავკასიის საკითხებში ექსპერტმა მამუკა არეშიძემ არაფერი იცოდა სამხრეთ ოსეთის სტატუსის დამდგენი კომისიის შექმნის თაობაზე. უფრო მეტიც, მან ეს ინფორმაცია ჩვენგან გაიგო და გაოცდა — 1989 წლის 26 საისიდან ამ რეგიონში ვარ, მის პრობლემებზე ვმუშაობ, ცოტა უხერხულია, რომ ადამიანებს, რომლებიც წლების განმავლობაში ამ საკითხს შეისწავლიან და კარგად გაცნობიერებულნი არიან, ამ კომისიაში არ იწვევენ, არც აზრს ეკითხებიანო. შემდეგ დასძინა, საინტერესოა, ამ კომისიაში თუ არის ნოდარ ნათაძე, ანდა პოლიტოლოგი საშა რუსეცკი, სხვა პროფესიის ადამიანები, რომლებიც რეგიონს ბრწყინვალედ იცნობენო.**

**მამუკა არეშიძემ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ საკითხზე თავად გახსნა კარტი: „სანაკოევის მხარდაჭერის იდეა ხელისუფლებას კი არ ეკუთვნის, არამედ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. ეს მათი სოციალური შეკვეთა იყო, თავადვე გაახმაურეს, შემდგომ სანაკოევსაც მხარი დაუჭირეს, და მოხდა ეს ამბავი. ასე რომ, ზემოხსენებული კომისიის შექმნის დროს, მთავრობას ხელს არავინ უშლიდა, პატივი ეცა ამ ხალხისთვის და ეთქვა, ჩვენ ამას და ამას ვაპირებთ და ხომ არ ჩაერთვებითო"...**

## ეს უნდა იყოს ფართო ავტონომია

### ექსპერტმა მამუკა არეშიძემ ე. წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ ჩვენგან შეიტყო

**— კომისიის შექმნა და შემდეგ ოსების თავყრილობა სასიკეთო იქნება საქართველოსთვის?**

— რასაკვირველია. ამ რეგიონის მიმართ აქტივობა ცუდი არ არის. როცა წინ არის წამოწეული ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი თემა, ეს ყოველთვის სასიკეთოა. მთავარია, ამან უარყოფითი ფორმა არ მიიღოს, როცა მოვლენები თვითდინებაზეა მიშვებული. მაგალითად, 1989 წელს „ლიტერატურულ საქართველოში" მხოლოდ ოსების სალანძღავი წერილები უნდა გამოქვეყნებულიყო. ამიტომაც ზემოთქმული პროცესი, სწორ კალაპოტში მოქცეული, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე უნდა იყოს ორიენტირებული.



ხოლო სტატუსის დადგენის თაობაზე საკუთარ აზრს მოგახსენებთ: ვფიქრობ, დასადგენი არაფერია, რადგან საქართველოს პრეზიდენტმა მაღალი ტრიბუნიდან უკვე განაცხადა, როგორი ავტონომია უნდა ჰქონდეს ამ რეგიონს. ერთადერთი, რაზეც შეიძლება მსჯელობა, სახელწოდებაა, მაგრამ აქ არის ერთი მაგრამ... საზოგადოებრივმა მსჯელობამ შეიძლება უარყოფითი რეაქცია გამოიწვიოს „აქეთ-იქით" მაცხოვრებელ ოსებსა და ქართველებს შორის, რადგან ხშირად ადამიანები არაადეკვატურად აფასებენ ვითარებას. გამოსავალი ასე მესახება — მთავრობას ჰქონდეს მომზადებული დამოკიდებულება სახელისა და სტატუსის გამო. ამის ფართო პრეზენტაციაც მოახდინოს, რადგან საზოგადოებრიობისთვის ნაკლებად ცნობილია, რა არის ეს ავტონომია.

**— თქვენი აზრით, როგორი ავტონომია უნდა იყოს?**

— ეს უნდა იყოს ფართო ავტონომია და აფხაზეთის ავტონომიისგან განსხვავდებოდეს, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც აჭარის ავტონომია ფაქტობრივად ამორფულია, ძალიან ძნელია აუხსნა იქაურ მოსახლეობას, თუ ე. წ. სამხრეთ ოსეთს ექნება ავტონომია თვითმმართველობის ფართო უფლებებით, აგრეთვე რატომ არა აქვს აჭარას? მინდა გითხრათ, რომ ყარსის ხელშეკრულების მიხედვით, აჭარის ავტონომიაზე მზრუნველობა და უფლებები აქვს თურქეთს. ჯერჯერობით თურქეთი, როგორც ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე, ხმას არ იღებს. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს საკმარისია გაუცხოვდეს ორი ქვეყანა, შეიძლება ამოიღოს კიდეც.

იგივე შეიძლება ე. წ. სამხრეთ ოსეთის გამო მოხდეს. რუსეთი აუცილებლად მოინდომებს ნებისმიერი ფორმის ავტონომიის გარანტად ყოფნას. ასე რომ, ეს ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ და დიდი სიფრთხილე გვმართებს. ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთოთ, მაგრამ ვითარებას თვალი გავუსწოროთ.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ მთავრობა

## დაივიწყეთ ტერმინი — ქართული და ოსური მხარეები!

**„სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან სერიოზული მოლაპარაკებები უნდა წარიმართოს და ეს ფორმალობა არ იქნება". ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე, სადაც მან საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრის მიზნით კომისიის შექმნაზე ისაუბრა.**

პრეზიდენტის თქმით, სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციაში არიან სერიოზული წარმომადგენლები და ლიდერები, რომლებიც ეთნიკური ოსების დიდი ნაწილის ინტერესს წარმოადგენენ.

— ამ საკითხთან მიმართებაში, ერთი მხრივ, ძალიან ფრთხილი და ამავე დროს ძალიან თამამი მოქმედება გვჭირდება, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

მან მოუწოდა მთავრობის ყველა წევრს, დაივიწყონ ტერმინი, ქართული და ოსური მხარეები, ასევე - ქართული და ოსური სოფლები.

— ვისაც დღეს ოსურ მხარეს უწოდებენ, მას საერთო არაფერი აქვს ოსეთთან და ყველამ კარგად იცის, საიდან ჰყავდათ ეს ხალხი ჩამოყვანილი, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

◎ ბრიფინგი

## დამთავრდა „ერთიანი ეროვნული გამოცდები–2007"



**18 ივლისს საბუნებისმეტყველო მეცნიერების გამოცდით 2007 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები დასრულდა. წლეულს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრირებული იყო აბიტურიენტთა რეკორდული რაოდენობა — 39278.**

საგამოცდო პროცესი საქართველოს 14 საგამოცდო ცენტრში უხარვეზოდ ჩატარდა.

„გამოცდები-2007"-ის შემაჯამებელ ბრიფინგში, რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა, მონაწილეობდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია, ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი.

ბრიფინგზე განხილულ საკითხებს ვრცლად ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში მოგითხრობთ.

**ნათელა ფაილოძე**

◎ მასობრივი საპროტესტო აქციები იგეგმება

## წყალსაც წავუღივართ ჯონდიც, შალვაც და ყველა ლიდერიც, თუ ჩვენს ინტერესებს ქვეყანას გადავაყოლებთ

**სალარო აპარატების დადგმის საშიშროებამ კიდევ ერთხელ ააფორიაქა მცირე მეწარმეები და მოვაჭრეები. ალბათ, გახსოვთ, მრავალათასიანი აქციები რომ იმართებოდა თბილისის ქუჩებში.**

ამჟამად, სალარო აპარატების დადგმას ბაზრობების მუშაკები აპროტესტებენ. მათ ოპოზიციის წარმომადგენლებიც უჭერენ მხარს. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ბრიფინგი, რომელიც გუშინ „ქართული დასის" ოფისში გაიმართა. მას უძღვებოდნენ ჯონდი ბაღათურია და „ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის" პრეზიდენტი გიორგი ლაღიძე.

„19 ივლისს 11 საათზე საქართველოს პარლამენტის შენობასთან ხალხმრავალი აქცია გვაქვს დაგეგმილი. მასში მონაწილეობას მიიღებენ ლილოს, ვარკეთილისა და სხვა ბაზრობების მოვაჭრენი. სამწუხაროდ, ამ ადამიანებს ხელისუფლებამ სატყუარა გადაუგდო: ისინი მოვაჭრეებს ჰპირდებიან, რომ სალარო აპარატების ღირებულების 30 პროცენტს თვით ხელისუფლება დაფარავს, 30 პროცენტს — ბაზრობის ხელმძღვანელობა, დარჩენილი თანხის ანაზღაურებაზე კი მოლაპარაკებები მიმდინარეობს ბანკებთან. მოვუწოდებთ მოვაჭრეებს, მოვიდნენ ხვალინდელ აქციაზე და პროტესტი გამოხატონ იმის წინააღმდეგ, რაც ხდება", — განაცხადა გიორგი ლაღიძემ.

როგორც ყოველთვის, მწვავე იყო „ქართული დასის" ლიდერის გამოსვლა. მისი თქმით, 19 ივლისს პარლამენტის წინ შეიკრიბება ხალხი, ვინც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს პრივილეგიები, კომფორტი, სამიათასლარიანი ხელფასები მისცა. ამ ხალხს სჭირდება თანადგომა როგორც ოპოზიციის, ისე პოზიციის მხრიდან.

ჯ. ბაღათურიამ თავის გამოსვლაში მცირედი ინტრიგაც ჩააქსოვა: „დღეს არ დავასახელებ ამ პარტიას, მაგრამ ჩვენამდე მოვიდა ცნობა, რომ ლილოს ბაზრობაზე დადიან ერთ-ერთი პარტიის წევრები და ხალხს მოუწოდებენ, არ მოვიდნენ ჩვენს მიერ დაგეგმილ აქციაზე. მათ სურთ იქვე გამართონ მიტინგი დილის 8 საათზე. სამწუხაროდ, ამ პარტიის წევრები მუდმივად ცდილობენ განხეთქილება შეიტანონ ჩვენს რიგებში. ქვეყნის ბედი წყდება, ამიტომ დანაშაულის ტოლფასია ამ უსირცხვილო, თუ სირცხვილიანი ადამიანების საქციელი, რომლებიც ენაგადმოგდებულნი დადიან და ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები ხალხი მოვიდეს ჩვენს ხვალინდელ აქციაზე", — თქვა მან.



ჟურნალისტის კითხვას — ამ ადამიანებში ხომ არ იგულისხმება შალვა ნათელაშვილი და მისი ხალხიო — ბაღათურიამ ცხარედ უპასუხა: წყალსაც წაუღია შალვაც, ჯონდიც და ყველა ლიდერიც, თუ ჩვენს ინტერესებს ქვეყანას გადავაყოლებთ, კოლეგიალობა და საქვეყნო საქმე მაიძულებს, ჩემს კოლეგებზე ჯერჯერობით მწვავედ არ ვილაპარაკოო.

ამ განცხადების მიუხედავად, ჯ. ბაღათურიამ მაინც დაუწუნა კოლეგა პოლიტიკოსებს არჩევანი: „რა აქცია უნდა გაიმართოს ლილოს ბაზაზე, ან პრეზიდენტის მშენებარე სასახლესთან, სადაც მხოლოდ ტალახი, აგური, ცემენტი ყრია და, თუ ცუდი ამინდია, მუშებიც კი არ ჩერდებიან. აქციები სწორედ პარლამენტის შენობასთან უნდა ჩატარდეს, რომ ხელისუფლებამ ხალხის რეალური ძალა დაინახოს".

„ჩვენ კიდევ უფრო გავზრდით აქციების მოცულობას და ვეცდებით — ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ", — აცხადებს „ქართული დასის" ლიდერი და სალარო აპარატების დადგმის სანაცვლოდ, ხელისუფლებას ფიქსირებული გადასახადის დაწესებას სთავაზობს.

ხელისუფლების წარმომადგენელთა ლილოს ბაზრობით დაინტერესებაზე კი მას კომენტარი არ გაუკეთებია.

ისიც ითქვა, რომ აქციები დაგეგმილია ბათუმში, ზუგდიდში, თელავში, სავარაუდოდ რუსთავშიც.

მოჰყვება თუ არა ამ აქციებს მოვაჭრეებისთვის სასურველი შედეგი? ამ კითხვაზე პასუხს უახლოეს მომავალში მივიღებთ.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

№ 138. ხუთშაბათი, 19 ივლისი, 2007 წელი.

● ყოველწლიურად მატულობს ენერგომატარებლების ტარიფი, ძვირდება ტრანსპორტი, კომუნალური მომსახურება, რაც შემდეგ პროდუქტებზე ფასების ზრდას და, შესაბამისად, ცხოვრების გაძვირებას იწვევს



◉ ჯერ სადა ვართ!

*რა ელით ახლა უკვე დედაქალაქის კუთვნილ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს და მათზე მცხოვრებთ?*

# თბილისს შემოერთებულ სოფლებსაც ჰყიდიან?!

**მთავრობის ინიციატივით, იცვლება სასოფლო-სამეურნეო მიწისთვის კატეგორიის შეცვლის პირობები. ეს ჩვენში, მართალია იშვიათად, მაგრამ ადრეც კეთდებოდა, თუმცა ამჟამად მთავარია, საფუძვლად რა უდევს ჩვენი მთავრობის მიერ მომზადებულ კანონპროექტს, ნუთუ მხოლოდ და მხოლოდ სოფლების „გაქალაქება“, თანაც რის ფასად?**

როგორც ირკვევა, ერთი ჰექტარი მიწისთვის კატეგორიის შეცვლა 100 ათასი ლარი ეღირება. შეძლებს კი ამას ჩვენი გლეხი? რა თქმა უნდა, ვერა. ოპოზიცია აცხადებს, რომ გლეხი იძულებული გახდება, გაყიდოს მიწა. ვთქვათ, გაყიდოს კიდეც, მაგრამ თვითონ სადღა წავა, სად დასაქმდება?

ნუთუ უმუშევრების დიდ არმიას კიდევ ახლები უნდა მივუმატოთ? უმიწო გლეხები ხომ ვერც შინამეურნეობაში დასაქმდებიან.

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთავრობა და ხელისუფლება სპეციალურად, ან ხელოვნურად იგონებს ისეთ რაღაცეებს, რასაც აუცილებლად ბუნტი და არევ-დარევა უნდა მოჰყვეს.

ჯერ იყო და, ისე შემოუერთეს 22 სოფელი თბილისს, იქაურებს, ძირითადად სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ გლეხებს, არც კი ჰკითხეს, უნდოდათ თუ არა „გაქალაქელება“. ახლა ადგნენ და ისეთი კანონპროექტი მოამზადეს, გლეხმა აღარ იცის, როგორ მოიქცეს.

საქმე ის გახლავთ, რომ სადღეისოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გაცილებით იაფია, ვიდრე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა. მაგრამ საკურორტო ადგილებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას ნაკლებად, ან სულაც არავინ იყიდის. ის სოფლები, რომლებიც თბილისს შემოუერთეს, მხოლოდ მაშინ გაიყიდება, თუ იქ მიწები არასასოფლო-სამეურნეო კატეგორიისა იქნება. ფაქტობრივად, გლეხი ვერც თვითონ შეუცვლის მიწას კატეგორიას მისი სიძვირის გამო და ვერც სასოფლო-სამეურნეო საქმეს აწარმოებს.

კანონპროექტი ბევრ კითხვას ჰბადებს, მარტო სათაურიც კი შეუსაბამობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. **„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფის სანაცვლოდ მიწის ათვისების ღირებულების და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.**

რა არის ამ კანონის მიზანი? თავად კანონში ასეთი განმარტებაა მოცემული: **„დააწესოს სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფის, გამოყენების ან განკარგვის დროს სანაცვლო ახალი მიწის ათვისებისთვის საჭირო სამუშაოების ღირებულების ოდენობა საქართველოს მუნიციპალიტეტების და სარეკრეაციო ზონების მიხედვით, მისი გადახდისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისათვის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის წესი და პირობები...“**

ექსპერტების აზრით, ამის განხორციელება შეუძლებელია, რადგან დღეს ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო სისტემა კრძალავს კანონში მიზნობრივი მუხლების შეტანას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **თანხა ჯერ ბიუჯეტში უნდა შევიდეს, ხოლო შემდეგ გადაწყდება, თუ ვინ გამოიყენებს მას. ასე რომ, გაყიდული მიწის საფასური ადგილობრივ ბიუჯეტში არც მოხვდება.**

**სოფელ დიღმის მცხოვრები ალექსანდრე შალიბაშვილი:** „ჩემი მამა-პაპა დიღმელები იყვნენ და მეც, რა თქმა უნდა, დიღომში ვცხოვრობ. საადრეო პამიდორს ვრგავ და თბილისის ბაზრებში ვყიდი, ხან ვაბარებ ხოლმე. იმდენი ფული არასოდეს მექნება, რომ 100 ათასი ლარი გადავიხადო და იმ ნაკვეთზე, სადაც ლობიოს, სიმინდს ვთესავ, რამე ნაგებობები წამოვჭიმო. დღედაღამ მიწაზე ვშრომობ, გაქალაქელება განა რად მინდა? ქალაქი რომ მდომოდა, დიღომში კი არ დავრჩებოდი. ახლა რა უნდა ვქნა, არ ვიცი. უკვე ხანში შესული კაცი ვარ. არ ვიცი, ჩვენი საქმე როგორ იქნება“.

**კოჯორში მცხოვრები იასონ ბასიშვილი:** „ძირძველი კოჯრელი გახლავართ, ჩემო ბატონო. ამ ხნის კაცი ვარ, არც უსწავლელი ვარ და პოლიტიკურადაც ბევრი რამ მესმის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ჩვენი მთავრობისა ვერაფერი გამიგია, რა უნდათ ჩვენგან? ხელშეწყობის მაგივრად, გვაიძულებენ ავიყაროთ აქედან. ამბობენ, კოჯორს მთლიანად ყაზახები ყიდულობენო. ჩემი ბაღ-ბოსტნის გვერდზე რომ ძვირფას დასასვენებელ სახლს ააშენებს ყაზახი იქნება თუ ჩინელი, მომცემს იმის უფლებას, მე სიმინდი მოვიყვანო, ანდა ღორები და ქათმები მყავდეს? რა თქმა უნდა, არა. დაფიქრდეს ერთი მთავრობა, სანამ ამ კანონპროექტს დაამტკიცებს, მერე სანანებელი გაუხდება, მაგრამ გვიან იქნება. მთავრობა ყველანაირად გვატყუებს. ყველაფერს რომ ვყიდით, ჩვენს შვილებს რაღა დარჩებათ? ამაზე არვინ დარდობს“.

**რაც მთავარია, კატეგორიის შეცვლისთვის გადახდილი თანხის ბედი მაინც მთავრობის გადასაწყვეტია, თანხა ადგილობრივ ბიუჯეტში არ შევა და მის ნაცვლად ახალი მიწის ათვისებას არვის არავინ დაავალდებულებს.**

**ვის მოუტანს ეს კანონი სიკეთეს?**

**ნაზი იმნაიშვილი**

◉ რა დღეშიც ვართ



## ხ ბ , ბ ძ ბ ...

**გუშინ დილით, როგორც მიჩვეული ვიყავი, დავლუნე თავი და ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის გვერდით ჩადგმულ ქართული პურის საცხობს მივადექი.**

— ორი შოთი, თუ შეიძლება, — ვთქვი და თეთრხალათიან გოგონას ლარიანი გავუწოდე.

გამყიდველი როგორღაც შეიშმუშნა, ფულს მუშტრის თვალით დააცქერდა და ირიბად გაიღიმა.

— იქნებ, დააჩქაროთ, მაგვიანდება! — შევახსენე თავი.

— ახლავე, ახლავე მოგართმევთ, — თითქოს გამოფხიზლდა, — მაგრამ 20 თეთრის დამატება მოგიწევთ.

— დამატება? — შევიცხადე, — პურს წონა მოუმატეთ, თუ?

— წონა არა, ბატონო, ფასი მოვუმატეთ, — გამომძახა თონეში ჩაყუდებულმა ხაბაზმა.

— როგორ, კაცო, გუშინ 50 თეთრი ღირდა და ამ დილას 60 გახდა?

— მასე იყო, ბატონო, ავტობუსიც — წინა დღეს 20 თეთრი ღირდა, მაგრამ მეორე დილას 40 თეთრის გადახდა მომთხოვეს. მერე, მეტროში რომ გადავჯექი, ერთი მაგდენი იქ დამამატებინეს. მარტო მე მგზავრობა ყოველდღიურად 80 თეთრით გამიძვირდა. აქ ოთხნი ვმუშაობთ, ყველანი ამ ყოფაში ვართ.

— თქვენ რა, გაძვირებული ტრანსპორტით ჩემ ხარჯზე გინდათ იმგზავროთ? — შევუტიე, — მაგას სჯობდა, პურისთვის ისევ წონა მოგეკლოთ.

— მაგი ჩვენც ვიფიქრეთ, ჩემო ბატონო, მარა ნამეტანი უსინდისობაში ჩაგვეთვლებოდა და გავჩერდით.

— აქამდე თუ აკლებდით?

— ვაკლებდით, მაგრამ ცომს რაც შეიძლება ვათხელებდით, რომ პური დიდი გამოჩენილიყო და მომხმარებელს დანაკლისი არ ეგრძნო.

— კიდე გაგეთხელებინათ, შე კაცო!

— მეტად აღარ თხელდება, ბატონო, პურს ხომ ხედავთ, სისუსტისგან უკვე თვალებში სინათლე გასდის.

— რა ვიცი, რაღა პური თხელდება და ბენდუქიძე არა? — ჩაგვერთო საუბარში მაღალ-მაღალი, ხეხერა მამაკაცი, რომელიც შოთის საყიდლად იყო მოსული.

— ასეთია ცხოვრების ლოგიკა — შეეცადა დასმული პრობლემის ახსნას მეორე მომხმარებელი, — თუ პური არ გათხელდა, ბენდუქიძე ვერ გასქელდება...

— ამიტომაც აცხობს სქელ-სქელ ეკონომიკურ რეფორმებს, — გააგრძელა აზრი სხვა მომხმარებელმა ისე, რომ ნათქვამის „ჭეშმარიტებაში“ ეჭვიც არ შეეპარვია.

რეფორმებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ მთავრობის ეკონომიკური ჯგუფი ბენდუქიძის თავკაცობით მცირე მეწარმეებისა და ისედაც ღატაკი მოსახლეობისთვის ცხოვრებას სულ უფრო გაუსაძლისს რომ ხდის, ამას ყველა საკუთარ ზურგზე გრძნობს. ამის დასტურია ზემოთ აღწერილი სურათიც. რა ქნას მეპურემ, რომელსაც დენიც გაუძვირეს, გაზიც, წყალიც და ბოლოს — ტრანსპორტიც. აქამდე, როგორც იქნა, მოიტანა თავი (ხან წონას აკლებდა პურს, ხან საფუარს უმატებდაძ, მაგრამ ვეღარ გაუძლო ამდენ გადასახადს და, იძულებული გახდა, პროდუქცია გაეძვირებინა.

პურს ადრეც არაერთგზის მოემატა ფასი, ახლა 50 თეთრზე ნაკლებად თითქმის არც ერთი საცხობის პური (გინდაც წონით განახევრებულიძ აღარ იყიდება. ამჯერად პურზე ფასების ზრდის მორიგი კამპანია მიდის, რაც პენსიონერებს, მოსახლეობის სოციალურად დაუცველ სხვა ფენებს აშკარა შიმშილის საშიშროების წინაშე აყენებს. აღარ იცის, პენსიონერმა როგორ მოიქცეს, იმ 38 ლარით დენის, გაზის, წყლის გაძვირებული გადასახადი გადაიხადოს, პური და შაქარი იყიდოს თუ დაუძლურებული სხეულის სამკურნალოდ წამალი შეიძინოს?



ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ, მგზავრობის ფასის გაორმაგების გამო, ადამიანი ვეღარ გადაადგილებულა. ასეთი ყოფა, ფაქტობრივად, მონობის ტოლფასია. „მონობა, უპირველეს ყოვლისა, გადაადგილების შეზღუდვას ნიშნავს, როგორც თავისუფლება — გადაადგილების უფლებას,“ — სამართლიანად შენიშნავს ბელგიის მოქალაქე ომარ ხახაშვილი თავის წერილში, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკაში“ (14 ივლისი, 2007 წ.ძ გამოქვეყნდა.

შეიძლება ითქვას, სხვა ბევრ უბედურებასთან ერთად, რაც ქვეყანაში ქარბორბალასავით ტრიალებს, ყველაზე მეტად მოსახლეობას ინფლაცია, ფასების პერმანენტული ზრდის პრობლემა აწუხებს. ყოველწლიურად მატულობს ენერგომატარებლების ტარიფი, ძვირდება ტრანსპორტი, კომუნალური მომსახურება, რაც შემდეგ პროდუქტებზე ფასების ზრდას და, შესაბამისად, ცხოვრების გაძვირებას იწვევს.

გამკითხავი კი არავინ ჩანს. სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში ვითომ იმდენად ლიბერალურია, რომ სამომხმარებლო ბაზარზე ფასების რეგულირებაში საერთოდ არ ერევა? ამით სარგებლობენ მონოპოლისტური კომპანიები და ბაზარს საკუთარ ფასს კარნახობენ. ამიტომაც ფასები სულ უფრო მაღლა იწევს, გაიაფებული საქონელი ჩვენთან ჯერ არავის უნახავს.

ლიბერალიზმს ამოფარებულმა საქართველოს მთავრობამ თვალები დაიბრმავა — მონოპოლიების მიერ ტარიფების ზრდას არ აკონტროლებს და ეს საქმე მთლიანად მარეგულირებელ კომისიებს მიუგდო. ეს უკანასკნელნი კი სულაც არ არიან დამოუკიდებელნი და ბაზარს მხოლოდ ტარიფების ზრდით „არეგულირებენ“. ამით საბოლოოდ ჩვენი ისედაც გაძვალტყავებული მომხმარებელი ზარალდება, რომელიც იძულებულია შინ გაზრდილი გადასახადები იხადოს, ხოლო ბაზარში ერთადერთი, უალტერნატივო ფორმის გაძვირებული პროდუქცია შეიძინოს.

ვთქვათ პირდაპირ — რა ხდება? ხელისუფლებამ ეკონომიკური ბაზრის „თავისუფლების“ მოტივით, ვითომ გამომძალველობის მოსასპობად, აუცილებელი სახელმწიფო ორგანოები გააუქმა, სინამდვილეში კი იქ თავის წევრთა — მსხვილ-მსხვილ ჩინოვნიკთა ბიზნესინტერესები გააპარპაშა. ამ „ყოვლად ბრძნული“ მმართველობის სათავეში დგას თავად სახელმწიფო მინისტრი ბენდუქიძე, რომელიც ქვეყანაში აბსოლუტური დარეგულირების მომხრეა.

და ბატონობს კიდეც საქართველოში ეკონომიკის მძლეთამძლე რეგულირება, რომელიც თავად „რეგულირების მამებს“ ოქროს სასახლეებს უქადის, გალატაკებულ-გასაცოდავებულ მოსახლეობას კი — სამუდამო მონობის უღელს.

**ოთარ ხუციშვილი**

№ 138. ხუთშაბათი, 19 ივლისი, 2007 წელი.

# აზრი

**ნუთუ ასე უკანმოუხედავად უნდა „გადავეწყოთ“ დასავლური ზნეობის დღევანდელ სტანდარტებზე? ნუთუ შეუძლებელია საკუთარი, უფრო „ჩვენებური“ კლასიფიკაცია დავაფიქსიროთ? რა გვაიძულებს, გადავიდეთ განვითარების იმ ტრადიციული რელსებიდან, რომელიც ჩვენი ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებების შესაბამისია?**



## ტელეხედვის ავ-კარგი

# „თუ არ მოგწონს, გადართე!“

**მისაღებად მზადდება კანონპროექტი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, რომელიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მოამზადა და რომლის სამოქმედო არე ძირითადად ტელევიზია იქნება. ამჟამად კანონპროექტი განხილვის სტადიაშია.**

ჩვენი წერილის მიზანი არ არის განხილვა საკითხისა: „ტელევიზორი მართლმადიდებლური თვალსაზრისით“. გვსურს, თუ არ გვსურს, გარესამყაროსთან ადამიანის უამრავი თვალით (თუ – ვიდეოთვალით) დამაკავშირებელი ეს მექანიზმი საქართველოში ათიდან ცხრა ოჯახში მაინც საპატიო ადგილასაა დაბრძანებული. ქართული ანდაზა „თვალი ჭამს და თვალი სვამს“, შეიძლება ითქვას, ყველაზე სრულად ტელევიზიაში „ახდა“.

კიდევ კარგი, ჩვენი მხრიდან ტელევიზიით მიღებულ ინფორმაციაზე რეაქცია ჯერ კიდევ არ დასულა მხოლოდ არხიდან არხზე გადართვის დონემდე. ქართველ მაყურებელს კიდევ შემორჩა უნარი მოწონებითა თუ პროტესტით (უმეტესად ამ უკანასკნელი გრძნობით) შეხვდეს არა მარტო გადმოცემულ ტელეინფორმაციას, არამედ მისი გადმოცემის მეთოდს.

**ვის არ დაჰბადებია უმწეო მრისხანების გრძნობა ტელევიზიის წინაშე? გარდა იმისა, რომ ახალი ამბების უმეტესობა ნეგატიურია, ქართული ტელევიზიის შემყურე მაყურებლები გულში ვიკლავთ ეკრანიდან მოსაუბრისადმი შეპასუხების, პროტესტის გამოხატვის სურვილს. უცნაური, მეტად არასასიამოვნო გრძნობაა, როცა შენი თანამოსაუბრე ვერ ხვდება, რომ შეურაცხყოფა მოგაყენა, რომ უცხოური ფორმულების გამოყენებით დამაჯერებლობას ვერ აღწევს, რომ ვერ მოგატყუა, რომ ქართული არ იცის, რომ ეკრანიდან ლაპარაკი პასუხისმგებლობით უფრო უნდა აღავსებდეს, ვიდრე უპირატესობის გრძნობით.**

მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან, „პუბლიკაზე ყველაფერი ჭრის“.

**თუმცა ჩვენში მეორე ჯადოსნური ფრაზა უფრო ხშირადაა მომარჯვებული: „თუ არ მოგწონს, გადართე“. არ მოგწონს ძალადობის, ან ეროტიული შინაარსის გადაცემის ყურება? მერე და ვინ გაძალებს, აიღე პულტი და გადართე სხვა არხზე! მერე რა, რომ ამ სცენებს სახლში მარტო მყოფი ათასობით მოზარდი და ბავშვი უყურებს? შენ რა განაღვლებს!**

რა თქმა უნდა, ტელევიზიაში ურჩხულები არ იმყოფებიან და სადმე სხვაგან – მტრედები. მაგრამ ოჯახის წევრების გარდა ყველაზე ხშირი შეხება ჩვენ სწორედ „ტელევიზიელებთან“ გვაქვს და იმედგაცრუების გრძნობა გვიპყრობს, როდესაც ვხედავთ, რომ ასეთსავე უკუკავშირს (მათთვის უხილავს) ეს ხალხი ვერ აცნობიერებს.

შესაძლოა, მავანი შეგვედავოს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ზოგადად ქართული ტელევიზიის პასუხისმგებლობა მაყურებლის მიმართ არ სცილდება ტელეარხთა ურთიერთქიშპობას, ხშირად – საეჭვო ზნეობრივი ღირებულების მეთოდებითაც. **პასუხისმგებლობის ლომის წილი დღევანდელ ტელემედიას დამფინანსებლის წინაშე აქვს. ხოლო, თუ მაყურებელს რაიმე არ მოსწონს, დაე, გადართოს.**

ყოველ შემთხვევაში, ეჭვს ნაკლებად უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ პრეზიდენტის მიერ საკითხის დაყენება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ ინტენსიურად განხილვისა და დამტკიცების შესახებ, პირველ რიგში, საზოგადოებრივი დაკვეთაა.

ისიც ნიშანდობლივია, რომ უკვე მომზადებული ეს კანონპროექტი, როგორც სხვადასხვა ორგანიზაციის (მათ შორის ეკლესიის წევრთა სხვადასხვა კავშირის), ისე თავად ავტორთა შეფასებითაც, განსაზღვრული ვადისათვის საბოლოო სახით ჩამოყალიბებულად არ ჩაითვალა – მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების მიერ მისი საყოველთაო განხილვა ფაქტობრივად, არ მომხდარა. ასე რომ, განხილვა დღესაც გრძელდება.

ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ კანონპროექტი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ დემოკრატიულ სახელმწიფოთა ანალოგიური აქტების გათვალისწინებით მომზადდებოდა (თუ, საერთოდ, „ერთი-ერთზე“ არ ითარგმნა). შესაძლოა ამიტომაც მასში ადამიანურ უფლებათა თანასწორობის მხრივ ბევრ მომხიბლავ მუხლს ვნახავთ. მაგრამ ამასთან, **ამ „კოდექსის“ გადაკითხვისას საცნაური ხდება, რომ გვთავაზობენ ისეთსავე ადვილად გადასალახ „ზნეობრივ თამასას“, როგორსაც უკვე მრავალი ათეული წელია მიჩვეულია დასავლური საზოგადოება და როგორიც მის მიერ დღეს უკვე ცივილიზაციის ატრიბუტად აღიქმება.**

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ კანონპროექტიდან პირველ რიგში მაინც იმ პუნქტებს დავასახელებდი, რომლებიც დღევანდელი ქართული ტელეარხების „მამხილებლად“ გვევლინება. იმის იმედიც გვაქვს, რომ „ტელევიზიელთა“ რიგებში მრავლადაა ამგვარ მითითებათა გულითადად მიმღები.

კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში ნათქვამია: *„მაუწყებელი ვალდებულია, გადასცეს ფაქტებზე დამყარებული, ზუსტი, ამომწურავი და დაბალანსებული ინფორმაცია, სათანადო სიფრთხილით მოეკიდოს ინფორმაციის შეგროვებას, გადაამოწმოს მისი სისწორე და გამართული ენით აცნობოს აუდიტორიას, ხოლო ფაქტობრივი შეცდომები გაასწოროს დაუყოვნებლივ და დაუფარავად.“*

ინფორმაციის ფრთხილად შეგროვება, გადამოწმება და შეცდომების გასწორება არათუ ჩვენი, მსოფლიო ჟურნალისტიკის ძირითადი პრობლემაა. ამ მუხლში ჩემი ყურადღება უფრო „გამართულმა ენამ“ მიიპყრო.

„მაქ“, „რო“, „არი“, „იზავს“, „ურტყავს“, „ძაან“, „აბსოლიტურად“, „ავანტყოფი“, „სვავს“, „კოსწიუმი“, „ნაწიურმორტი“, „ესე“, „ესეთი“, „ვდგევარ“, უკვე ანდაზად ქცეული „ბოდიშისა“ და „მადლობის“ „გადახდა-მოხდა“, „პარაკლისისა“ და „პანაშვიდის“ შენაცვლება... უკვე არაფერი უდგას წინ რამდენიმე ცნობილი ფილოლოგის შეკრებას (ენის სახელმწიფო პალატა ხომ გაუქმდა) და ზოგიერთი სიტყვის ახალი ნორმით დაკანონებას – იმ მიზეზით, რომ ამ უკანასკნელმა უკვე გაიდგა ხალხის მეტყველებაში ფესვი (მაგალითისთვის დავასახელებდით სიტყვას „აბსოლიტურად“).

ამიტომ სასიამოვნოა, როდესაც კოდექსში ასეთი მუხლიც მოიძებნება: „74.13. *სამაუწყებლო ენასა და გამოთქმაში ეთიკური სტანდარტების დასაცავად სამაუწყებლო კომპანიაში უნდა ფუნქციონირებდეს სასაუბრო ლექსიკის მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც აწესებს ლექსიკისა და გამოთქმის შესაფერისობის სტანდარტებს, რეკომენდაციებს უწევს და მუდმივად ანახლებს გამოთქმისა და გრამატიკის გზამკვლევებს.*“ ამგვარი კომისიები თუ კონსულტანტები დღესაც არსებობენ, მაგრამ მათი კომპეტენცია წასაკითხად გამზადებულ ტექსტს არ სცილდება. ტელეჟურნალისტების „ცოცხალი მეტყველება“ კი გვაფიქრებინებს, რომ ეს ჩვენი ვირტუალური მოსაუბრეები ამჟამად მიმდინარე ეროვნულ გამოცდებზე – ქართულის ტესტირებაზე აუცილებლად ჩაიჭრებოდნენ.

საინტერესოა, რამდენად გავრცელდება ამგვარ კომისიათა უფლებამოსილება სატელევიზიო ეთერში გასულ რეკლამებზე.

თუმცა „გამართულ ენაში“ მხოლოდ სტილი და გრამატიკა არ იგულისხმება. **უკვე უდიეროების ნიშნებს შეიცავს ზოგიერთი მასალის იმგვარი დამონტაჟება, რომლის დროსაც რესპონდენტს აზრს, წინადადებით გამოხატულს, შუაზე უწყვეტენ. სამწუხაროა, რომ ამგვარი ქმედების ალმკვეთ მითითებას კოდექსში ვერ ვხედავთ.**

ყურადღებას იპყრობს შემდეგი პუნქტი: *„7.2. მაუწყებელი ვალდებულია, მიაწოდოს საზოგადოებას სრულყოფილი ინფორმაცია; ჟურნალისტი ვალდებულია, გააანალიზოს და გააშუქოს საკამათო საკითხები, აგრეთვე სანახაობრივად ნაკლებად შთამბეჭდავი ის ტენდენციები და მოვლენები, რომლებიც მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის“.*

გვახსენდება: „ვიღაცას შეშა მოუპარია, ვერის უბანში მოუპარია, თუ დაიჭირეს, ბასტა!“ სენსაცია, სენსაცია და საკმაზის სახით – თითო-ოროლა სხვა გვერდაუვლელი ინფორმაციაც! – აი, ზოგიერთი დღევანდელი ტელეარხის („გვარს“ არ დავასახელებ) დევიზი.

**იწყება საინფორმაციო პროგრამა და უკვე სისხლის გუბის დანახვის უსიამო მოლოდინი მეუფლება.** და აი, კოდექსის „მაშველი რგოლიც“: *„44.11. კრიმინალური თემის გაშუქებისას ჟურნალისტებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს სცილდება უმწეო მსხვერპლის, გვამებისა და დასახიჩრებული სხეულის და ა.შ. ჩვენება. მსგავსი სცენების გადაღება უნდა მოხდეს გარკვეული დისტანციიდან, რათა შეუძლებელი იყოს მსხვერპლის იდენტიფიცირება“.* ასევე: *„75.2. ... დაუშვებელია ძალადობის სენსაციად გადაქცევა ან მხოლოდ იმ მიზეზით ჩვენება, რომ ასეთი ფაქტი მოხდა. იმ ძლიერი ზეგავლენის ფონზე, რომელსაც ჩვეულებრივ ძალადობის სცენები ახდენს, უნდა მოხერხდეს სათანადო ობიექტურობის შენარჩუნება“.* და კიდევ უკეთესი: *„70.17. ახალი ამბების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყოველთვის ვერ ხერხდება წყალგამყოფამდე („წყალგამყოფი“ – სატელევიზიო დროის გამყოფი ზღვარი – 21.00 თ.გ.) ისეთი მასალის ჩვენებისაგან თავის შეკავება, რომელიც შეიძლება აუდიტორიის გარკვეული სეგმენტისათვის შეუფერებელი იყოს. ჟურნალისტებმა შეძლებისდაგვარად უნდა აცნობონ აუდიტორიას ასეთი მასალის შინაარსი და მიუთითონ ისეთი კადრების არსებობაზე, რომლებიც შეიძლება ბავშვებისათვის განსაკუთრებით შეუფერებელი იყოს“.* გახსენდებათ ამგვარი სიფრთხილის ერთი პრეცედენტი მაინც? მე მახსენდება, მაგრამ – მხოლოდ ერთი.

მოსაწონია კოდექსის ავტორთა (ქართველთა თუ უცხოელთა) სიფრთხილე ადამიანის პირადი აფექტური გრძნობების ასახვის მიმართ. კარგია, თუ მათ მითითებებს ტელევიზიაც შესაბამისად აღიქვამს: *„55.6. ... ნათესავების რეაქცია ოჯახის წევრის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის მიღებისას არ უნდა იყოს გადაღებული“.* სხვათა შორის კოდექსში არც ინფორმაციის გამოსატყუებლად კარების მტვრევაა მოწონებული.

**რეკლამების მხრივ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“ განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება სამედიცინო პროდუქციის რეკლამირებასთან დაკავშირებული პუნქტები. მათი გადაკითხვისას ჩემთვის ნათელი გახდა, თუ რა დიდ ხიფათს შეიძლება შეიცავდეს ამ სფეროში კომერციული მიკერძოება. თავად განსაჯეთ:**

*„123.5. სამედიცინო ნაწარმის (მომსახურების) რეკლამაში დაუშვებელია ექიმების, სტომატოლოგების, ვეტერინარული ქირურგების, ფარმაცევტული ქიმიკოსების, ექთნების, ბებია-ქალების და სხვათა წარდგენა, რომლებიც საზოგადოებას მისცემენ პროფესიულ რჩევასა თუ რეკომენდაციებს...“*

*„123.3. აკრძალულია წამლის შესახებ ისეთი რეკლამის გავრცელება, რომელიც არწმუნებს მომხმარებელს, რომ ... არა აქვს თანმხლები მოვლენები,..“*

*„123.9.ი. დაუშვებელია, სამედიცინო პროდუქციის რეკლამაში გაკეთდეს განცხადება, რომ ამ პროდუქციის უსაფრთხოება ან ეფექტიანობა გამომდინარეობს მისი „ბუნებრივი“ შემადგენლობიდან.“*

ვფიქრობ, წამლების სატელევიზიო რეკლამებს ბევრი არ ენდობა. მაგრამ როგორც გვიმტკიცებენ, რეკლამა, გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენზე მაინც ზემოქმედებს. თუ ასეა, აშკარაა, რომ დღევანდელ საქართველოში ამ მხრივ მეტი სიფრთხილე გვმართებს – ერთი და იგივე დანიშნულების წამალთა „საპიარო“ პაექრობა ჩვენთან უკვე ირონიას იწვევს. შეიძლება ტენდენციური აღმოვჩნდე, მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, სხვადასხვა აფთიაქშიც სწორედ იმ წამალს უწევენ რეკომენდაციას, რომელიც ამ აფთიაქის ფირმას შემოაქვს.

**არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ჩვენს ტელევიზიაში გადაცემის სპონსორობა რეკლამის ერთ-ერთი სახეობაა.** მაგრამ დახეთ: *„138.7. დაუშვებელია გადაცემაში სპონსორის სარეკლამო წარდგენა მისი სახელის, სავაჭრო ნიშნის, იმიჯის, საქმიანობის, მომსახურებისა და პროდუქციის რეკლამირებისათვის ან ზოგადად სპონსორის პოპულარიზაციისათვის“.* ნუთუ აღარ გვეყოლება „ოქროს“, „ვერცხლის“, „პლატინის“, „გენერალური“ სპონსორები, „მხარდამჭერები“, „გადამზიდველები“ და „პატრონაჟები“? იქნებ შემდეგ, პოსტ-ფაქტუმ მაინც გავარკვიოთ, ამ ჩამონათვალში რა რას ნიშნავს?

მაგრამ კოდექსი კიდევ უფრო შორს მიდის. იგი ჟურნალისტთა გაკერპების იმ ტენდენციასაც უპირისპირდება, რომლის გამოც გოგო-ბიჭთა დიდი უმრავლესობა ოცნებებში თავის თავს თოქ-შოუს წამყვანად წარმოიდგენს:

*„68.1. ჟურნალისტი სიტყვით არ უნდა გამოვიდეს ჯგუფის წინაშე, რათა ეჭვქვეშ არ დააყენოს საკუთარი მიუკერძოებლობა“.*

*„90.5 მაუწყებლის თანამშრომელი არ უნდა მონაწილეობდეს მრჩეველთა საბჭოში, კონკურსის ჟიურიში, ან ისეთ კომისიაში, რომელიც იმ ადამიანთა შექმნილია, რომლებზეც რეპორტაჟებს ამზადებენ, ან/და ასეთი რეპორტაჟების მომზადებას ხელმძღვანელობენ“.*

*„137.1. პროგრამის რედაქტორებს, ჟურნალისტებსა და წამყვანებს ეკრძალებათ ნებისმიერი ტიპის რეკლამაში მონაწილეობის მიღება“.*

დავძენთ: რადგან თავიანთ სამაუწყებლო კომპანიას რეკლამირებადი კამპანიის ლობისტად წარმოაჩენენ. მართალია. დღესდღეობით კი რა სიტუაციაა ამ მხრივ? ***სატელევიზიო დიქტორები არათუ რეკლამაში მონაწილეობენ, სარეკლამო კამპანიის (დავუშვათ, ბანკის პიარკამპანიის) მთავარ ფიგურებადაც კი გვევლინებიან.***

დაბოლოს, მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკის თემაზე კოდექსის შემდეგი მითითება: *„128.1. ხელისუფლების საქმიანობის შესახებ ინფორმაციისა და კომენტარის მიწოდებისას უნდა აღიკვეთოს მმართველი პარტიის ნებისმიერი მცდელობა, საარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის გამოიყენოს თანამდებობის პირების მიერ ოფიციალური ფუნქციების შესრულების გაშუქება“.*

მოვესწრებით კი ამ ბუნებრივი, თავისთავად ნაგულისხმევი, მართებული წესის ცხოვრებაში გატარებას? ღმერთმა დიდხანს გვაცოცხლოს!

ახლა კი მკითხველის ყურადღებას „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ იმ პუნქტებს მივაპყრობ, რომლებიც ან სრულიად მიუღებლად მიმაჩნია, ან – დახვეწას საჭიროებს.

მოვიყვან ცილისწამების გამართლების არაქრისტიანული გაგების ერთ-ერთ ნიმუშს: ცილისწამებისას *„6.7. პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ: ... გ) მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს“.* ე.ი. თუ კაცი ვინმესთან მართალი ხარ, უფლებამოსილი ხარ, მისი, ან მისი ახლობლების სახელი ყველა ბრუნვაში ატრიალო. და კიდევ ერთი „ინდულგენცია“ – *„თუ: ე) განცხადება წარმოადგენდა პირის მიერ მის*

იხ. 6 გვ.

# ეს იყო, იყო...

**● სემიონ იგნატოვი, ომის შემდგომ წლებში სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, ასახელებს 10 მილიონს, ასეთი იყოო რაოდენობა როგორც ფასიან დამსმენთა, ისე „მოწოდებით, გულის კარნახით მაბეზღარებისა“**



**◎ შავი იუბილე**

# ბოლშევიკების სისხლის საექსპერიმენტო პოლიგონი

● *წლეულს დიდი საბჭოური რეპრესიების „საიუბილეო“ წელია. „საიუბილეო“ ათვლის წერტილად რეპრესიების აპოგეა – 1937 წელია აღებული, თორემ, ფაქტობრივად, 1921 წლიდან დაწყებული, ყველა წელი „საიუბილეოა“.*

● *1934-1938 წ. წ. „სამეულების“ განაჩენით დახვრიტეს 9528 კაცი.*

...დასავლეთ საქართველოში ლიკვიდირებულია მასობრივი საამბოხო მენშევიკური ორგანიზაცია, რომელსაც თავისი უჯრედები ჰქონდა ფოთსა და ზუგდიდში. **სულ საქმეზე დაპატიმრებულია 2 ათას კაცამდე. 1931 წლის 6 თვეში საქართველოში მოხდა ბანდების მასობრივი განიარაღება და ლიკვიდაცია. ამის შედეგად ამოღებულია 12 ათასი ცეცხლსასროლი იარაღი და ლიკვიდირებულია 11 ბანდიტური ჯგუფი 96 კაცის შემადგენლობით და მრავალი მარტოხელა ბანდიტი“.**

ამ სრული განადგურების შემდეგაც კი მენშევიკებს ლამის 1950 წლებშიც ერთ-ერთ უპირველეს მტრად სახავდნენ და დაუნდობლად ძირკვავდნენ ნამდვილსაც და წარმოსახვითსაც.

* * *

საბჭოთა ხელისუფლება „ხალხის მტრების“ წინააღმდეგ თავისი არსებობის ბოლო წუთებამდე იბრძოდა.

ტერმინი „ხალხის მტერი“ გამორიცხავდა იდეოლოგიური შეცდომების მტკიცებათა აუცილებლობას, როგორც ზემოთ დავრწმუნდით „რკინის ფელიქსის“ ნააზრევით. ასეთი კონცეფცია იძლეოდა უსასტიკესი რეპრესიების მომარჯვების საშუალებას, არღვევდა „რევოლუციური კანონიერების“ ყველა ნორმას ყველას წინააღმდეგ. ეს კონცეფცია, აგრეთვე, მოქნილად გამოიყენებოდა მათ მიმართ, ვინც მხოლოდ ეჭვმიტანილი იყო მტრულ მიზნებში. „ხალხის მტრის“ კონცეფცია პრაქტიკულად გამორიცხავდა ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმას იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე ეხებოდა არა თეორიულ, არამედ პრაქტიკულ საკითხებს.



საბჭოთა ხელისუფლებამ ქვეყნის მოსახლეობა ერთმანეთის ტოტალურ თვალთვალსა და დაბეზღებაში ჩააბა. ვიკმაროთ ერთი ციტატი საქ. კპ (ბ)-ს XII ყრილობაზე ცენტრალური სარევიზიო კომისიის მდივნის ს. გუსევის გამოსვლიდან: **„ლენინი ოდესღაც გვასწავლიდა, რომ პარტიის თითოეული წევრი უნდა იყოს ჩეკას აგენტი. ე. ი. ყველას და ყველაფერს ადევნოს თვალი და დანიშნულებისამებრ შეატყობინოს... შეიძლება საუკეთესო მეგობრები ვიყოთ, მაგრამ რაკი სხვადასხვა თვალსაზრისს ვადგებით პოლიტიკაში, იძულებული ვხდებით, არა მარტო გავწყვიტოთ ჩვენი მეგობრობა, არამედ უფრო შორსაც წავიდეთ – დავასმინოთ“.**

ასეთი თვალსაზრისი გამოიხატა პირველივე საკანონმდებლო აქტებშიც. პროცედურას მნიშვნელოვნად ამარტივებდა ის, რომ დამსმენებს არავითარ დამამტკიცებელ საბუთს არ სთხოვდნენ. **„განივითარეთ დასმენის ნიჭი და ნუ შეგაშინებთ შეცდომით დასმენა“** – მოუწოდებდა გაზეთი „სოვეტსკაია იუსტიცია (1925 წ.ძ. თუ ვინმეს ამ სიტყვებში რამე დააეჭვებს, შეუძლია გადაფურცლოს დიდი საბჭოთა ენციკლოპედია: **„მოქალაქის კეთილსინდისიერი ცდომილება მის მიერ შეტყობინებული ცნობების... უტყუარობის შესახებ, დანაშაულს არ შეიცავს“.**

და მასობრივ „კეთილსინდისიერ ცდომილებაში“ ჩათრეული აღმოჩნდნენ მილიონები. მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ მოხალისე, „იდეურ“ დამსმენთა იმედად შორს ვერ წავიდოდნენ და იძმნება ცირკულარული წერილი, რომელიც მოუწოდებს: **„მოიზიდონ ახალი ცნობების მომწოდებლები, ფული არ დაიშურონ“.** სემიონ იგნატოვი, ომის შემდგომ წლებში სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, **ასახელებს 10 მილიონს, ასეთი იყოო რაოდენობა როგორც ფასიან დამსმენთა, ისე „მოწოდებით, გულის კარნახით მაბეზღარებისა“.**

* * *

საბჭოთა საქართველო და საქართველოს ჩეკა ტყუპისცალები არიან. ბოლშევიკებმა თბილისში 1921 წლის 25 თებერვალს შემოსვლის უმალ, ცხენებიდან ჩამოხდომისთანავე, შეაკოწიწეს თავიანთი ბატონობის მთავარი დასაყრდენი – ოქტომბრის მახინჯი, ბოროტი პირმშო – ჩეკას ფილიალი.

და ეს ფილიალი – საქართველოს სსრ საგანგებო კომისია-სახელმწიფო პოლიტსამმართველო-შინსახკომი-სუსი (სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო)-სუკი (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) ყოველთვის სსრ კავშირის ცენტრალური, „სათავო ოფისის“ მოწინავე რგოლი იყო, მათი ხელმძღვანელები კი სრულქმნილი ჯალათები, რომელთაგან ყველამ ეშაფოტზე დაასრულა ცოდვილი სიცოცხლე: საქართველოს ჩეკას პირველი (რამდენიმე კვირით) თავმჯდომარე გიორგი ელისაბედაშვილი ლამის ერთადერთი იყო ЧК-ГПУ-НКВД-КГБ-ს ხელმძღვანელთა შორის 1953 წლამდე, გენერალ ალექსი ინაურამდე (თუ გენერლების ალექსანდრე კოჭლავაშვილისა და ვარლამ კაკუჩაიას რამდენიმეთვიან მმართველობას არ ჩავთვლით ფათერაკიან 1952-1953 წლებში), ვინც ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა. დიდი რეპრესიების დროს – ოცდაათიან წლებში, პრინციპით „მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრი უნდა წავიდეს“, წირვა გამოუყვანეს კოტე ცინცაძეს, ეპიფანე კვანტალიანს, ტიტე ლორთქიფანიძეს, დავით კილაძეს, ცოტა მოგვიანებით (1953-1955 წ.წ.) დახვრიტეს ლავრენტი ბერია, სერგო გოგლიძე, ავქსენტი (ჭიჭიკო) რაფავა, ნიკოლოზ რუხაძე, ვლადიმერ დეკანოზოვი.

მაგრამ დავუბრუნდეთ „საიუბილეო“ თარიღს. ოღონდ, მინდა იგი მკითხველს წარმოვუდგინო სპეციფიკური კუთხით – „ყრმათა შემუსვრის“ კუთხით.

**„მაშინ წარგზავნა ხალხი ჰეროდემ და ამოაწყვეტინა ყოველი ყრმა ბეთლემსა და მთელს მის შემოგარენში. მაშინ აღსრულდა თქმული იერემია წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: ხმა გაისმა რამაში გოდებისა, ტირილისა და დიდი გლოვისა: რაქელი დასტირის თავის შვილებს და არა სურთ ნუგეში, ვინაიდან აღარ არიან“** (მთ. 2: 16, 17, 18).

1937 წლის 30 ივლისს, გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა **ნიკოლოზ ეჟოვმა** გამოსცა ოპერატიული ბრძანება №00447. მასში დასახულია ზუსტი ამოცანა: **„1937 წლის 5 აგვისტოდან ყველა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში დაიწყოს ყოფილი კულაკების, აქტიური ანტისაბჭოთა ელემენტებისა და სისხლის სამართლის დამნაშავეთა რეპრესიების ოპერაცია, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო მათს ძირგამომხრელ მუშაობას საბჭოთა სახელმწიფოს საფუძვლების წინააღმდეგ“.**

და დაიწყო „დიდი 37“. სწორედ ამ ოპერატიული ბრძანებით.

მასში გამოწვლილვით არის ჩამოთვლილი „რეპრესიას დაქვემდებარებული კონტინგენტი“, გამოძიების წარმოების, „სამეულების“ მუშაობის წესი და, რაც ყველაზე საშინელია, მოცემულია საკონტროლო ციფრები, ე. წ. დახვრეტებისა და დაპატიმრებების ლიმიტები.

მაგრამ მანამდე, ჯერ კიდევ 1934 წლის 8 ივნისს საკავშირო ცაკმა (ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა) „საკავშირო მამასახლისის“ მიხეილ კალინინის ხელმოწერით, გამოსცა **დადგენილება „სამშობლოს ღალატისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“, რომლის თანახმადაც ოჯახში მცხოვრები ყველა პირი, იცოდა თუ არა დანაშაულის შესახებ, პასუხს აგებდა.**

ეს დაპატიმრებას ნიშნავდა.

სწორედ ამ კანონის თანახმად დაპატიმრებულთა ათასობით ცოლი იხდიდა სასჯელს ციმბირის კოლონიებში.

მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, მოთელვა იყო.

აი, მჭევრმეტყველი საბუთი, რომლის კითხვისას სისხლი გეყინება და რომლის ანალოგიც, ალბათ, იშვიათად მოიპოვება კაცობრიობის ისტორიაში:

**„სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ოპერატიული ბრძანება №00486.**

**1937 წლის 15 აგვისტო,**

**ქ. მოსკოვი**

**ამ ბრძანების მიღებისთანავე შეუდექით სამშობლოს მოღალატეთა ცოლების რეპრესირებას. დაწყებული 1936 წლის 1 აგვისტოდან, შეგროვებული მასალების საფუძველზე შედგენილ იქნეს: ცალკე მოკლე ცნობები 15 წელზე უფროსი ბავშვების შესახებ, რომლებიც სოციალურად საშიში არიან და შეუძლიათ ჩაიდინონ ანტისაბჭოთა მოქმედება. დაპატიმრებულთა მთელი პირადი ქონება კონფისკებულ იქნას. დაპატიმრებულთა ბინები დაილუქება.**

**ყოველ დაპატიმრებულ ცოლზე და ყოველ სოციალურად საშიშ 15 წელზე უფროს ბავშვზე შეიქმნება საგამოძიებო საქმე.**

**მსჯავრდებულ სამშობლოს მოღალატეთა ცოლები დამწყვდეულ უნდა იქნენ ბანაკებში, სოციალური საშიშროების ზომის შესაბამისი ვადით, არანაკლებ 5-8 წლისა.**

**მსჯავრდებულთა სოციალურად საშიში შვილები ასაკის, საშიშროებისა და გამოსწორების შესაძლებლობების მიხედვით, დამწყვდეულ უნდა იქნენ ბანაკებში.**

**ალეკო ასლანიშვილი**

(გაგრძელება იქნება)

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 137.**

**◎ ინფორმაცია**

## სახელწოდება — აფხაზური, გადაცემა — მეგრული, ინტერესი — „რიანოვოსტური“

**აფხაზური მხარის მიერ დაფინანსებული ტელევიზია, რომლის მაუწყებლობა მეგრულადაც იწარმოებს, უახლოეს დღეებში ამოქმედდება.**

**ამის შესახებ გალის რაიონში აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენელმა რუსლან ქიშმარიამ განაცხადა.**

**მანვე დაადასტურა ინფორმაცია, რომ ტელევიზიის ჟურნალისტებმა მომზადება სააგენტო „რია ნოვოსტიში“ გაიარეს.**

**„ტექნიკური საკითხების მოწესრიგების შემდეგ ტელევიზია არა მხოლოდ გალსა და ზუგდიდს, არამედ სხვა რაიონებსაც დაფარავს“, – აღნიშნა ქიშმარიამ.**

**დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენელი ტელეკომპანიის სახელწოდებას ჯერ არ ახმაურებს, თუმცა აცხადებს, რომ სახელწოდება აფხაზური იქნება.**

## სამხრეთ ოსეთი საქართველოში ღირსეულად უნდა დაფუძნდეს

**საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხი ღირსეულად უნდა იყოს გადაწყვეტილი.**

**ამის შესახებ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა მერაბ ანთაძემ მთავრობის სხდომის დაწყების წინ განაცხადა.**

**მისივე თქმით, სტატუსის საკითხზე მსჯელობა ოსური საზოგადოების ფართო მონაწილეობით უნდა მოხდეს და ეს საკითხი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ღირსეულად უნდა გადაწყდეს.**

**როგორც ანთაძემ აღნიშნა, საქართველო კონფლიქტის ყველა მხარეს კიდევ ერთხელ სთავაზობს მოლაპარაკებებს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.**

**ინტერპრესნიუსი**

# აზრი

● გაეროს მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს 1.4 მილიარდი ადამიანი, ძირითადად აზიისა და აფრიკის მოსახლეობა, მოკლებულია სუფთა დასალევ წყალს. სასმელი წყლის დეფიციტის გამო მსოფლიოში ყოველწლიურად 3 მილიონი ბავშვი იღუპება. დედამიწის 2.6 მილიარდ მოსახლეს არა აქვს ისეთი სანიტარიული პირობები, რაც ევროპის პარამეტრებით ელემენტარულად ითვლება



◎ ტელეხედვის ავ-კარგი

## „თუ არ მოგწონს, გადართე!“

(მეოთხე გვერდიდან)

*წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ პასუხს“.* „ვირისგან წიხლი არ მწყინს“ — ამბობს ერთი პარლამენტარი მეორეზე და, ზემოთ მოყვანილი წესის მიხედვით, აქ არაფერია მიუღებელი.

მართლაც რომ შესაშური გულუბრყვილობით წარმოაჩენს ეს დებულებები დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში გამეფებული ურთიერთობის სტილს.

ან კიდევ: *„7.6. ჟურნალისტი ვალდებულია ... გ) არ დაუშვას დისკრიმინაციის გავრცელება. ... ეს მოთხოვნა არ უკრძალავს მაუწყებელს გადასცეს ფაქტობრივი მასალა ან საზოგადოებაში რეალურად არსებული მოსაზრება ახალ ამბებში, ასევე ლეგიტიმურ კონტექსტში იუმორისტულ, სატირულ ან დრამატულ გადაცემებში.“* საინტერესოა, რამდენად „ლეგიტიმურად“ ან „საზოგადოებაში რეალურად არსებულ მოსაზრებად“ ჩაითვლება „ღამისა“ და „შაბათის შოუებში“ სამამულო ომის ვეტერანის, როგორც ჭკუასუსტი, ტრაბახა მექალთანის გაშარჟება?

კიდევ ერთი არაჯანსაღი ინტერესის შესახებ: *„46.6. ჟურნალისტმა, როგორც წესი, არ უნდა დაასახელოს იმ მსხვერპლის ვინაობა, რომელიც ცოცხალია, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც იგი ისეთი დანაშაულის მსხვერპლია, როგორიცაა სექსუალური ძალადობა. გამონაკლისი დაიშვება, თუ: ა) მსხვერპლი თავად არის თანახმა ... ბ) არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი“.* რა-რა და ასეთი „საზოგადოებრივი ინტერესი“ დღეს ამგვარ ფაქტებს ჩვენს საზოგადოებაში გარანტირებული აქვს.

საზოგადოდ, **სექსუალური თემატიკა კოდექსის „აქილევსის ქუსლია“.** აი, კოდექსის ამოსავალი წერტილი ამ თემის განხილვისას: *„98.2. ქალისა და მამაკაცის ბუნებრივი სიშიშვლე, არა სექსუალური კონტექსტით, მისაღებია კლასიფიკაციის ყველა დონისთვის“.* ე.ი. — ნებისმიერი ასაკის მაყურებლისთვის. მკითხველი დამეთანხმება, რომ მითითების ამგვარი ფორმულირება, ცოტა არ იყოს, უპასუხისმგებლოა და, აბსოლუტური გაგებით, მხოლოდ ნუდისტი მშობლებისა და შვილების თვალსაზრისს შეიძლება დაემთხვეს.

კოდექსის მხრივ გაუმართლებელი ლიბერალისტური განწყობა ნარჩუნდება ზემონახსენები კლასიფიკაციის თითოეული წევრის — კატეგორიებისათვის გათვალისწინებულ სექსუალური მასალის ჩვენების ზნეობრივ ნორმებზე. კერძოდ, U კატეგორიაში (აქ მაყურებელთა ასაკი 4 წლიდან იწყება) ნაჩვენებ გადაცემებში დასაშვებია: *„99.2 ... ა) მსუბუქი უხამსური სიტყვების იშვიათად გამოყენება; ბ) ბუნებრივი სიშიშვლის არასექსუალურ კონტექსტში ჩვენება; გ) მსუბუქი სექსუალური ქმედება (კოცნა, ხელის მოხვევა, ჩახუტება); დ) მსუბუქი სახის ძალადობა...“* როგორ იზომება ეს სიმსუბუქე? ადვილად. გავიხსენოთ, რომ ჩვენი ტელევიზიით პერმანენტულად გადმოცემული ლათინურამერიკული სერიალები სწორედ ამ U კატეგორიითაა მონიშნული.

მაყურებლის ასაკის ზრდასთან ერთად, „ამტანობის“ შესაბამის კატეგორიებში იზრდება სექსუალური ქმედებების, ძალადობისა და ბილწსიტყვაობის დასაშვები ნორმებიც. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სექსისა და სიშიშვლის ჩვენება კოდექსს დროის მხრივ ერთგვარი შეზღუდვით აქვს გათვალისწინებული: *„114.2. პროგრამები, რომლებიც გადაიცემა წყალგამყოფამდე ან რომლებსაც სავარაუდოდ ბევრი ბავშვი უსმენს (აქ აშკარად „უყურებს“ უნდა იყოს თ.გ.) არ უნდა შეიცავდეს სექსუალური აქტის ამსახველ სცენებს, თუ ამას საგანმანათლებლო მიზანი არა აქვს“* (ანუ — თუ განმარტებითი ხაზგასმა არ ახლავს). და: *„114.1. წყალგამყოფამდე სიშიშვლის ჩვენება გამართლებული უნდა იყოს კონტექსტით“.* და როგორი შეიძლება იყოს კონტექსტი? კოდექსი ამის შესახებ დუმს, სამაგიეროდ ხსნის, თუ რა იგულისხმება ტერმინ „სიშიშვლეში“: *„3.ლ) შიშველი სხეული — ადამიანის სხეული, რომელზეც დაუფარავია სასქესო ორგანოები“.*

**ნუთუ ასე უკანმოუხედავად უნდა „გადავეწყოთ“ დასავლური ზნეობის დღევანდელ სტანდარტებზე? ნუთუ შეუძლებელია საკუთარი, უფრო „ჩვენებური“ კლასიფიკაცია დავაფიქსიროთ? რა გვაიძულებს, გადავიდეთ განვითარების იმ ტრადიციული რელსებიდან, რომელიც ჩვენი ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებების შესაბამისია?**

სხვათა შორის, კოდექსი ამგვარ თავისებურებებზე გარკვეულწილად ყურადღებასაც ამახვილებს, ოღონდ სხვა თემის განხილვისას: *„124.4. ალკოჰოლიანი სასმელის რეკლამას, რომელიც შეიცავს ასეთი სასმელის გახსნილ მდგომარეობაში ან მისი მოხმარების პროცესის დემონსტრირებას, მოწოდებებს მისი გამოყენების შესახებ, უნდა ახლდეს გაფრთხილება: „ალკოჰოლის დიდი ოდენობით მიღება ვნებს ჯანმრთელობას“. ამასთანავე, იგი არ უნდა არღვევდეს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ, ეთიკურ და ეთნოფსიქოლოგიაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს“.*

იმ სავარაუდო ქვეყანაში, რომლის კანონითაც, შესაძლოა, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ შემდგენლებმა იხელმძღვანელეს, „სასმელის დიდი ოდენობით სმა“, ჩანს, უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე ნაადრევი სექსუალური განათლება, სექსუალური აღგზნების ხელშეწყობა და მისგან გამომდინარე შედეგები. შესაძლოა, ამ დინებას საბოლოოდ თავი ვერც დავაღწიოთ, მაგრამ დღეს კი ჩვენი შვილების სულიერ და, ხორციელ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ცხადია, არ უნდა შევანელოთ!

არაფერი გვითქვამს ჩვენი ტელევიზიის დადებით თვისებებზე. მედიის სხვა საშუალებებში კი ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა? — იკითხავს მკითხველი. მაგრამ, ვფიქრობთ, ქართული ტელევიზია ჩვენგან ქებას არც საჭიროებს. **ბევრ ქართულ ტელეარხს საზოგადოების ნდობის საკმაო რეიტინგი აქვს. ქართველი მაყურებელი შეცდომების მიმართ მომთმენია, ხოლო წარმატებების მიმართ — გულითადი. მოდით ერთად, თუნდაც — მოყვრისათვის პირში თქმით — ვეცადოთ მაყურებლის, მსმენელის, მკითხველის ნდობის გამართლებას.**

**თამაზ გაბისონია,**
გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“
რედაქტორის მოადგილე

◎ გლობუსი

## წყალში ვიხრჩობით და

**2005 წელს შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში ჩატარებული ფორუმის „წყლის საერთაშორისო კვირეული“ მსვლელობის დროს, მასში მონაწილე 100-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გლობალური კლიმატური ცვლილებები უეჭველად გამოიწვევს სასმელი წყლის დეფიციტს, რაც შეიძლება გახდეს რეგიონული კონფლიქტების საბაბი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის ქვეყნებში.**

„როცა დედამიწის მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტი განიცდის სასმელი წყლის ნაკლებობას, კონფლიქტების საფუძველი, რომელიც ბიბლიური პერიოდიდან იღებს სათავეს, კვლავაც იარსებებს“, — განაცხადა წყლის რესურსების სამართლის კვლევის შოტლანდიის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორმა პატრიშია უოტერსმა. მკვლევარის მიხედვით, ერთადერთი იმედის მომცემია ჩინეთის, ისრაელის, არაბული სახელმწიფოების პოზიცია — პრობლემა გადაწყვიტონ ცივილიზებულად და არა ძალისმიერი გზით. აღნიშნული ქვეყნების მშვიდობიანი დამოკიდებულება მწვავე საკითხისადმი მით უმეტეს მისასალმებელია, ვინაიდან სწორედ ეს ქვეყნები განიცდიან სასმელი წყლის ნაკლებობას.

გაეროს მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს 1.4 მილიარდი ადამიანი, ძირითადად აზიისა და აფრიკის მოსახლეობა, მოკლებულია სუფთა დასალევ წყალს. სასმელი წყლის დეფიციტის გამო მსოფლიოში ყოველწლიურად 3 მილიონი ბავშვი იღუპება. დედამიწის 2.6 მილიარდ მოსახლეს არ აქვს ისეთი სანიტარიული პირობები, რაც ევროპის პარამეტრებით ელემენტარულად ითვლება.

„წყალი ისეთ ქვეყანას, როგორიც ინდოეთია ან წარმატებას მოუტანს ან წარუმატებლობას“, — ამბობს დელის მეცნიერებისა და გარემოს დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი სუნიტა ნარაიანი.

სუფთა წყლის მოპოვების პრობლემას აზიისა და აფრიკის ქვეყნებში სქესთა შორის გარკვეული უთანაბრობა მოჰყვა. განვითარებად, წყლის ნაკლებობით ცნობილ ქვეყნებში წყლის მოტანით ძირითადად გოგონები არიან დაკავებული. აზია-აფრიკის ქვეყნებში წყლის მოტანას ყოველდღიურად, საშუალოდ, 5 საათზე მეტი დრო სჭირდება. გოგონებს ყოველდღიურად 20 ლიტრი წყლით 6 კილომეტრის გავლა უწევთ. ამ აუცილებელი საქმის გამო წყლის მომტანებს არ შეუძლიათ სკოლაში სიარული.

გაეროს მონაცემების მიხედვით, დედამიწის სკოლების ნახევარს არ გააჩნია აუცილებელი სანიტარიული პირობები, მათ შორის, ცალკე ტუალეტები გოგონებისა და ბიჭებისათვის. 2,6 მილიარდ ადამიანს არა აქვს ტუალეტის გამოყენების შესაძლებლობა, რაც კატასტროფულად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. 6.000-ზე მეტი ბავშვი იღუპება ყოველდღიური მარტივი ჰიგიენური პირობების არარსებობის გამო.



პრობლემებია ექსკრემენტებთან დაკავშირებითაც, რაც მრავალი ათასი ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება. ეს პრობლემა ძირითადად ჩინეთს, ინდოეთს, აფრიკის სახელმწიფოებს ეხებათ, სადაც თანამედროვე საპირფარეშოები 1,3 მილიარდ ადამიანს არა აქვს. გაეროს სტატისტიკით, ტუალეტების დეფიციტს განიცდის 400 მილიონი ჩინელი, 600 მილიონი ინდოელი, 350 მილიონი აფრიკელი.

ექსპერტების დიდი ნაწილის მიხედვით, ტუალეტების წყლით ჩარეცხვა ქვირადღირებული ფუფუნებაა და ეკოლოგიურად მავნეა, ვინაიდან აუარება რაოდენობის წყალს ანადგურებს. გამოთვლის მიხედვით ერთი ტუალეტი ყოველწლიურად 15.000 ლიტრ წყალს შთანთქავს, მაშინ, როდესაც 15-დან 30.000-მდე ლიტრი წყალი იხარჯება დაბანის, თეთრეულის რეცხვის და საჭმლის მომზადებისათვის.

სპეციალისტების აზრით, ტუალეტებისათვის უმჯობესია ალტერნატივის — მშრალი ტუალეტის გამოყენება, სადაც სხვადასხვა ქიმიკატების საშუალებით ექსკრემენტი სასუქად იქცევა. ამ დარგში ექსპერიმენტები ტარდება ჩინეთში, მექსიკაში, ზიმბაბვეში, სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიაში, შვეიცარიაში. შვედეთში მშრალი ტუალეტები აგარაკებზე გამოიყენება. თუმცა მოსახლეობა დიდად აღფრთოვანებული არ არის, ვინაიდან ასეთი ტუალეტი სხვადასხვა სახის სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს. მაგ. ექსკრემენტის სასუქად გადაქცევის მიზნით, სხვადასხვა სახის ქიმიკატის გამოყენებას და სხვა.

წყლის სერიოზული პრობლემაა შექმნილი ერაყის დედაქალაქ ბაღდადში. ომმა და ტერორისტულმა აქტებმა საფუძვლიანად დააზიანეს წყლით მომარაგების სისტემა. მის მწყობრში ჩაყენებას 4 წელი დასჭირდება.

ახლო აღმოსავლეთში, სადაც წყალს ოქროს ფასი აქვს და საუკუნეთა განმავლობაში ომისა და ქიშპის საგანი იყო, ვითარება უკეთესობისკენ იცვლება. მაგალითს ისრაელი იძლევა, რომელმაც შესაბამისი ხელშეკრულებები გააფორმა იორდანიასა და პალესტინასთან წყლის საკითხებთან დაკავშირებით. თელ-ავივმა, რომ მოინდომოს წყლის რესურსებზე მთლიანი კონტროლის დაწესება, მაშინ მან სირიის, იორდანიის და ლიბანის ტერიტორიების დიდი ნაწილი უნდა დაიპყროს. ებრაელები მიზანს სხვა გზებით აღწევენ, თუმცა საკმაოდ ძვირით — ზღვის მარილიანი წყლის გადამუშავებით.

ახლო აღმოსავლეთის ბევრი ქვეყანა, რომელსაც სარწყავი წყლის ნაკლებლობა აქვს, იძულებულია განახორციელოს კვების პროდუქტების იმპორტი. ცნობისათვის, 1 კილოგრამი ბრინჯის მისაღებად საჭიროა 2-4 ათასი ლიტრი საირიგაციო წყალი. ასეთი ქვეყნების მოსახლეობა კვების პროდუქტების იმპორტს „წყლის იმპორტს“ უწოდებს.

წყლის საკითხებით არის დაკავებული გაეროს კვების პროდუქტებისა და სასოფლო-სამეურნეო საკითხების ორგანიზაცია FAO, რომლის გენერალური სამდივნო რომშია განთავსებული.

გაეროს მიხედვით, წყალი სიცოცხლის და სიკვდილის საკითხია. გაერომ 2003 წელი მტკნარი წყლის საერთაშორისო წლად გამოაცხადა. გაეროს გადაწყვეტილება მარტივი რეალობით არის გამოწვეული. სასმელი წყალი კატასტროფულად მცირდება და საჭიროა ზომების მიღება. გასულ საუკუნეში წყლის გამოყენება 6-ჯერ გაიზარდა. ზრდამ ორნახევარჯერ გადააჭარბა დედამიწის მოსახლეობის ზრდას. დღეს კაცობრიობა იყენებს დედამიწის მტკნარი წყლების ნახევარზე მეტს მდინარეებიდან, ტბებიდან, წყაროებიდან, გრუნტის წყლებიდან. 2025 წლისათვის წყლის მოხმარება 70 პროცენტს მიაღწევს. თუ სად მიიყვანს კაცობრიობას ეს, მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. მაგრამ თუ სადამდე მიგვიყვანა მტკნარი წყლების დიდი რაოდენობით ხარჯვამ, კარგად არის ცნობილი. აფრიკაში მდებარე ჩადის ტბა, რომლის ზედაპირი 1960 წელს 25.000 კვ. კილომეტრს შეადგენდა, დღეს 2.000 ძლივს აღწევს. ყველას თვალწინ ქრება არალის ზღვა. ერთ დროს ის თავისი ზომით მსოფლიოში მეოთხე შიდა ზღვად ითვლებოდა, მსოფლიოს წყლის რესურსების საბჭოს გამოთვლით, 2020 წლისათვის კაცობრიობას 17 პროცენტით მეტი წყალი დასჭირდება, ვიდრე ამის შესაძლებლობა ექნება ბუნებას.

სინგაპურის გაზეთი „სტრეიტს ტაიმსი“ წერდა, რომ წყალი ისეთივე სტრატეგიული ხდება, როგორც ნავთობი. მსოფლიო ბანკის მიხედვით, 21-ე საუკუნეში კონფლიქტები უფრო მეტად წყლისათვის იქნება, ვიდრე ნავთობისათვის. ვითარებას ამძიმებს ისევ და ისევ კლიმატური პირობების გაუარესება. ჩინეთის მდინარე ხუანხე, ხშირად სიცხეების გამო შრება და ზღვამდე ვერც აღწევს. ანალოგიური მდგომარეობაა აშშ-ში მდინარე კოლორადოსთან დაკავშირებით, ამერიკაში, ჩინეთსა და ინდოეთში მიწისქვეშა წყლების მოხმარების ტემპი აჭარბებს მათი შევსების ტემპს. ამასთანავე, გრუნტის წყლების გამოყენებით შექმნილი სიცარიელე იწვევს ნიადაგის დაწევას.

# დროის სივრცეში

წინა ხელისუფლების დროს მოხერხებულმა, ხელისუფლებასთან ახლოს მყოფმა „ბიზნესმენებმა“ ხელში ჩაიგდეს მინერალური წყლები და კარგა გვარიანად მოსუქდნენ კიდევაც. მინერალური წყლებით მდიდარ ქვეყანაში ლიტრი „ბორჯომი“ და „ნაბეღლავი“ 1 ლარი ღირს, ნახევარი ლიტრი – 80 თეთრი. შესანიშნავი „გათვლაა“. ასე ძვირი მინერალური წყალი ძნელი მოსაძებნია სხვაგან, ანუ საზღვარგარეთ. იქ წყალზე გაცილებით დაბალი ფასებია



მავნებელი

## ნურც მოურჩენილხარ, თეთრო პეპელავ!

**სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა, როგორც დაგეგმილი იყო, საკარანტინო მავნებლის – ამერიკული თეთრი პეპელას პირველი თაობის წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური ღონისძიებების განხორციელება დაიწყო. ამ დღეებში ხობის რაიონში 700 ჰექტარი ფართობი დამუშავდა. აბაშისა და ჩოხატაურის რაიონებში კი ეროვნული სამსახურის პესტიციდების სარეზერვო ფონდიდან გაცემული პრეპარატით მოსახლეობამ საკარმიდამო ნაკვეთებზე საკუთარი ძალებით დაიწყო ღონისძიებების განხორციელება.**

– 26 ივნისს აღნიშნული სამსახურის სპეციალისტები ზუგდიდის რაიონში ჩავიდნენ, სადაც 2000 ჰექტარი ფართობია ქიმიურად დასამუშავებელი. ამ მიმართულებით სამუშაოები ადრევე, 12 ივნისიდან დაიწყო ოზურგეთის რაიონში, სადაც სამეგრელოსა და გურიის სხვა რაიონებთან შედარებით მავნებლის ყველაზე ძლიერი შემოტევაა. დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში კეროზრივი დაზიანებაა და მავნებელი მთლიანად არ არის მოდებული, – თქვა ჩემთან საუბარში **ეროვნული სამსახურის მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა ზურაბ ლიპარტიამ.**

ოზურგეთის რაიონის საკურორტო ზონაში წამლობა ბიოლოგიური პრეპარატით – დიპელით, ხოლო ქალაქის ტერიტორიასა და დანარჩენ ოთხ სოფელში ქიმიური პრეპარატით – დეცისით ტარდება. სამუშაოს ტენდერში გამარჯვებული კომპანია, კერძო ინდ. მეწარმე „ლევან ზენაიშვილი“ ატარებს. პირველი თაობის წინააღმდეგ ღონისძიებების განხორციელება 1400 ჰექტარ ფართობზეა განსაზღვრული, მეორე თაობისა კი – 600 ჰექტარზე.

– თუკი ამინდებმაც ხელი შეგვიწყო, მეორე თაობაზე უკვე მავნებლის ნაკლები რაოდენობა დაფიქსირდება. კლიმატურ პირობებთან დაკავშირებული მავნებლის ბიოლოგიის და მისი გავრცელება-განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით, დასამუშავებელი ფართობი შეიძლება შეიცვალოს მავნებლის თაობების მიხედვით, – აცხადებს ბატონი ლიპარტია.

რაც, შეეხება მოსახლეობის აქტივობას მავნებლის წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებებში, ზურაბ ლიპარტიას თქმით, საკმაოდ დაბალია (არადა, პირიქით, იგი მაღალი უნდა იყოს. „ამასთან, – ამბობს იგი, – მინდა მადლობა მოვახსენო იმ ადამიანებს, რომლებმაც მექანიკური ღონისძიებები ჩაატარეს, რამაც საგრძნობი შედეგი გამოიღო, სამწუხაროდ, ასეთთა რიცხვი ცოტაა, ძირითადი ნაწილი კი პასიურობს. იქ, სადაც საკუთარ ფართობში მეპატრონემ აბლაბუდა შემოხვეული ტოტები მოჭრა და დაწვა, მავნებელი ან ძალიან ცოტაა, ან საერთოდ არ არის. ეს არც თუ ძნელი გასაკეთებელია, ამიტომ ნაკვეთის მეპატრონემ ერთი საათი მაინც რომ იმუშაოს თავის ნაკვეთში, საკმარისია იმისათვის, რომ იქ მავნებელი მოისპოს. მიუხედავად „ჩვენი ახსნა-განმარტებებისა, მოსახლეობა მაინც პასიურობს.

წამლობის დაწყებამდე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ თითქოს ქიმიური ღონისძიებების ჩატარება გვიანდებოდა.

ამის თაობაზე ჩვენი გაზეთის რედაქციასაც შეატყობინეს ლანჩხუთის რაიონიდან – თუ წამლები არ არის საკმარისი, დროულად გვითხრანო, წუხდნენ და ტრადიციულად წამლობის დაჩქარებას ითხოვდნენ გურულები.

მაგრამ, როგორც ბატონი ზურაბი განმარტავს, ქიმიური წამლობის ვადები მკაცრად არის განსაზღვრული. იგი მავნებლის პირველი თაობის ბოლო ხნოვანებამდე გრძელდება: 6-7 ხნოვანების მატლების წინააღმდეგ ბრძოლას უკვე აზრი არ აქვს. საქმე ისაა, რომ გარკვეული დროის შემდგომ მატლი არ იკვებება, იგი ხიდან ჩამოდის და ბუსუსებს იკეთებს. იმ ჯგუფის პრეპარატი, რომელსაც ვიყენებთ, ან კონტაქტურად უნდა მოხვდეს მავნებლის სხეულზე, ანდა უნდა შეჭამოს, რათა მოიწამლოს. ბოლო ხნოვანების მატლს კი, რადგან ბუსუსებით არის დაფარული, წამალი ვერ ხვდება, აღარც იკვებება, ამიტომ პრეპარატი, ბუნებრივია მასზე ვერ იმოქმედებს“.

ზურაბ ლიპარტიას თქმით, მავნებლის გავრცელების ინტენსივობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კლიმატურმა პირობებმა კოლხეთის დაბლობზე, სადაც ცხელი ქარები აღინიშნა, ოზურგეთის გარდა, მავნებლის შემცირებაში ძალიან დიდი როლი შეასრულა. მონიტორინგის დროს ბევრ ადგილზე აღინიშნა გამომშრალი კვერცხები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თუ წელს ჭუპრს არახელსაყრელი პირობები დაუდგა, შესაძლებელია მეორე წელს გამოვიდეს. ამიტომ ყოველდღიური მონიტორინგია საჭირო, მოსახლეობა დაცული რომ იყოს. ამიტომ ეროვნული სამსახურის სპეციალისტები ყველა ზემოთ აღნიშნულ რაიონსა და სოფელში აწარმოებენ დაკვირვებას და მოსახლეობასთან ერთად მონაწილეობენ ადგილზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებაში.

მთლიანად, ამერიკულ თეთრ პეპელასთან ბრძოლის პროგრამის შესაბამისად, ტენდერით გათვალისწინებული გეგმიური დასამუშავებელი ფართობი შეადგენს 6,8 ათას ჰექტარს, რისთვისაც გამოყოფილია 408 ათასი ლარი. განხორციელებული ღონისძიებები იძლევა იმის გარანტიას, რომ მეორე თაობის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო მცირე ფართობზე დაიგეგმება, ვიდრე პირველი თაობის დროს.

იქ, სადაც ტენდერით არ არის მსგავსი ღონისძიებები გათვალისწინებული, მაგრამ მავნებლის არსებობა აღინიშნება, მოსახლეობას, რა თქმა უნდა, უფასოდ დაურიგდება პრეპარატი და საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთებს თავად ჩაუტარებენ წამლობას.

**ამერიკული თეთრი პეპელა, სახუმარო სულაც არ არის, ამიტომაც დაიგეგმა ღონისძიებების ფართო სპექტრი. იგი 300-მდე სახეობის მცენარეს, განსაკუთრებით კი თხილს, კაკალს, თუთას, ვაშლს, მსხალს აზიანებს (ცოდნია ამორჩევა!). იგი პირველად, 1976 წელს სამტრედიის რაიონში შეუნიშნავთ. ამჟამად საქართველოში მისი ფართო გავრცელების ზონებია ფოთის, ზუგდიდის, ხობის, ოზურგეთის, ლანჩხუთის რაიონები, აჭარისა და აფხაზეთის რეგიონები, საშუალო გავრცელების – აბაშის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, ხონის რაიონები, დაბალი რისკის რაიონებს მიაკუთვნებენ ქუთაისს, ჩოხატაურს, ხონს, ზესტაფონს, თერჯოლას, ბაღდათს, ვანს და წყალტუბოს. სურამის ქედი წარმოადგენს ბუფერულ ზონას – გამყოფს საკარანტინო და მავნებლისაგან თავისუფალ ზონას შორის**

**ნაზი იმნაიშვილი**

გლობუსი

## წყურვილი გვახრჩობს

ბევრი ქვეყანა უჩივის უწყლობას, მაშინ, როდესაც დედამიწის 70 პროცენტი წყალს უკავია. სამწუხაროდ, ამ წყლების 98 პროცენტი მარილიანია.

ჩვეულებრივი ონკანის წყალი დიდი ბიზნესის საფუძველია, რომ არაფერი ვთქვათ მინერალურ წყლებზე. ჟურნალ „ფორჩუნის“ მონაცემებით, იმ კომპანიების მოგება, რომლებიც ჩვეულებრივი წყლის გაყიდვით არიან დასაქმებული, ნავთობის მომპოვებელ კომპანიათა 40 პროცენტს აღწევს. მათ გაუსწრეს ფარმაცევტულ შემოსავლებს და წელიწადში ტრილიონ დოლარს მიაღწევს.

წყლის დეფიციტის ცნობილი მიზეზებია: მოსახლეობის ზრდა, არამომჭირნე მელიორაცია, ბუნების დაბინძურება, ხეტყის განადგურება და სხვა.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები სერიოზულ დაფიქრებას და ქმედითი ზომების მიღებას საჭიროებს თუნდაც ჩვენთან, სადაც წყლის რესურსების სიმცირე ნამდვილად არ შეინიშნება. დეფიციტია მხოლოდ მისი გონივრულად მოხმარება.

საქართველოში 26.000-ზე მეტი მდინარეა. არის ტბები, გრუნტის წყლები, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი სასმელი წყლის სერიოზულ დეფიციტს განიცდის, რაც წყლის მიწოდების სისტემათა გაუმართაობით ან არარსებობით არის გამოწვეული. საქართველოს ქალაქებიდან შედარებით მხოლოდ თბილისი მარაგდება რეგულარულად, თუმცა აქაც არსებობს წყლის მიწოდების გრაფიკისმაგვარი პროცესი. ქალაქის ბევრ უბანს დღის განმავლობაში და ღამის თორმეტი საათიდან დილის 7 საათამდე წყალი არ მიეწოდება. ხშირია გამორთვები ავარიების გამო და სხვა. სხვა ქალაქები (სოფლებზე ზედმეტია ლაპარაკიც), წყლის წარმოუდგენელ უკმარისობას განიცდის. ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, სხვა ქალაქების წყალმომარაგებასთან დაკავშირებით არაერთხელ ითქვა და დაიწერა. ითქვა ონკანიდან ყავისფერი წყლის ნაკადის შესახებაც, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა. როგორც წინა, ისე დღევანდელი ხელისუფლება, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ამ საკითხის მოგვარებას. ხელისუფლებას არავითარი პროგრამა არ გააჩნია საქართველოს მოსახლეობის სუფთა სასმელი წყლით პერმანენტულად მომარაგებისათვის.

და ასეთ დროს გაოცებს, გაკვირვებს და გაოგნებს მავანთა აკვიატებული სურვილი ახალ-ახალი შადრევნების გაკეთებასთან დაკავშირებით. ნაკლებად დასაჯერებელია გმირთა მოედანზე, თერთმეტსართულიანი სახლის მაცხოვრებლები, მოედნის შუაში მდებარე შადრევნის ცქერით იკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებას, როდესაც ბინებში წყალი არ მოდის. რთული მდგომარეობაა ქალაქის სხვა რაიონებშიც. შადრევნების თემა მასმედიისა და მოსახლეობის დაცინვა-ქილიკის თემა გახდა, რის საპასუხოდ პრეზიდენტი ჯიუტად აცხადებს, რომ კიდევ უფრო მეტ შადრევანს გააკეთებს. როგორც საქმეში ჩახედული ავი ხმები ამბობენ, შადრევანს წყლის ხარჯვის გარდა სხვა ხიბლიც აქვს – მიმზიდველი ხარჯი. სწორედ ეს იზიდავს ქალაქის „მესვეურებს“ და არა ქალაქის გალამაზება. დარბეულ, გავერანებულ ფილარმონიას 700000-ლარიანმა შადრევანმა რომ დიდი ხიბლი ვერ შესძინა, დამეთანხმებით. შადრევნები რომ საკუთარი და არა მოსახლეობის კეთილდღეობისათვის კეთდება, ამას დიდი მიგნება არ სჭირდება, ისე, როგორც ბევრ სხვა „ნოვატორულ“ წამოწყებას.



ამას წინათ რადიო „იმედის“ სტუმრები ჰიდროსაქმის ექსპერტები გულდათუთქულად ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რა ზედაპირულად, არაპროფესიულად მიუდგა ეკონომიკის მინისტრი წყალთან დაკავშირებულ პროექტებს, იმას, თუ რა ეკონომიკური დოვლათის მოტანა შეუძლია წყლის რესურსების საზრიან გამოყენებას, თუ რამდენი მილიარდი დოლარის მოტანა შეუძლია ქართული წყლის ექსპორტს, შემოსული თანხით კი ქალაქებისა და სოფლების წყლის გამართული სისტემების მოწყობას. გამოუცდელ მინისტრს პროექტისათვის ცისფერი ოცნება უწოდებია. მაგრამ მართლაც ასე ზერელედ უყურებს მინისტრი და ხელისუფლება ამ განძს? მეეჭვება, რომ ასე იყოს. ერთი შეხედვით გულუბრყვილო დამოკიდებულების მიღმა, ალბათ მზაკვრული გეგმაც არსებობს. დაუჯერებელია ხელისუფლებაში ისეთი ძორი გყავდეს, როგორიც ბენდუქიძეა და წყალი გაუყიდავი დარჩეს, რაც არა მარტო ყმაწვილი ხელისუფლების ისედაც სქელ ჯიბეებს გაასქელებს, არამედ გადამთიელი შეიხებისაც. ეს ის ხელისუფლებაა, რომელიც მდინარეებს ნაწილ-ნაწილ გაყიდის, ისე, როგორც ტყეებს, დასვენების პარკებს, საძოვრებს და სხვა მრავალს.

წინა ხელისუფლების დროს მოხერხებულმა, ხელისუფლებასთან ახლოს მყოფმა „ბიზნესმენებმა“ ხელში ჩაიგდეს მინერალური წყლები და კარგა გვარიანად მოსუქდნენ კიდევაც. მინერალური წყლებით მდიდარ ქვეყანაში ლიტრი „ბორჯომი“ და „ნაბეღლავი“ 1 ლარი ღირს, ნახევარი ლიტრი – 80 თეთრი. შესანიშნავი „გათვლაა“. ასე ძვირი მინერალური წყალი ძნელი მოსაძებნია სხვაგან, ანუ საზღვარგარეთ. იქ წყალზე გაცილებით დაბალი ფასებია.

წყალში ვიხრჩობით და წყურვილი გვახრჩობს. საბჭოთა კავშირის დროს გაყვანილი საირიგაციო არხების გაყიდვის შედეგად ქართლ-კახეთის მოსახლეობა სისტემატურ პრობლემებს განიცდის. გლეხები ჩივიან, წყლის მეპატრონეები სარწყავ წყალს გვიკეტავენ, გადაიხადეთ და მოგცემთო. გადასახადი ისეთია, რომ გლეხის ჯიბე ვერ შეწვდება. თუ შეწვდა, მოწეული მოსავლის ფასი ისედაც გაძვირებულ ბაზარს კიდევ უფრო გააძვირებს. გახსოვთ ალბათ, რა ჟივილ-ხივილი იყო აგორებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების, პირადად კოკოითის წინააღმდეგ, წყალს არ გვაძლევსო. სპექტაკლიც გაითამაშეს, თუ როგორ ართმევს დევ-კოკოითს წყალს მოსახლეობა. კოკოითის წინააღმდეგ დადგმული სპექტაკლები რომ ხელისუფლების უყურადღებოდ არ მიმდინარეობდა, ეს ბავშვმაც კი იცის, მაგრამ გაუგებარია, რატომ არ აქცევს ყურადღებას ხელისუფლება საკუთარ კოკოითებს? საბაზრო ეკონომიკა ნამდვილად არ ნიშნავს ბაზრის ეკონომიკას, რასაც სამწუხაროდ, საქართველოში აქვს ადგილი. თუმცა ხელისუფლება თავის მიერ დანიშნულ „ბიზნესმენებს“ ხომ არ გაწირავს? ისინი ისეთ ფასებს აწესებენ, როგორიც გაუხარდებათ. ამ „ბიზნესმენებმა“ საკუთარი მოსახლეობის დანდობა არ იციან. მათთვის მთავარია, ერთი სიმღერისა არ იყოს, „მანი, მანი, მანი“ და როდესაც „მანია“, მაშინ ყოველთვის „სანი“, ანუ მიზანი იქნება.

დასაწყისში აღვნიშნე საქართველოში წყლის რესურსების სიუხვის შესახებ, მაგრამ თუ ასე უდიერად მოვეპყარით ბუნებას, როგორც აქამდე, არც წყალი იქნება, არც ის შესანიშნავი ბუნება, რითაც ამაყობს ქართველი.

**დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებიდან გათბობის სხვა საშუალებათა უქონლობის გამო, ათეულ ათასობით კუბ. მეტრი ხეტყე მოიჭრა და განადგურდა. განადგურდა საბჭოთა კავშირის დროს გაშენებული ქარსაცავი ზოლები, ქალაქებში გაიჩეხა პარკები. ჩვენს თვალწინ ხელოვნურად, მამასისხლად გაშენებულ ვაკის პარკში სხვადასხვა დანიშნულების სახლები წამოიჭიმა. ამას წინათ ქალაქის ერთ-ერთმა „მამამ“ „გვახარა“, რომ „ლოკომოტივის“ სტადიონს ყიდიან და მყიდველი პარკის ტერიტორიაზე 4-სართულიან სასტუმროს ააშენებს. არც ერთი ხე რომც არ მოიჭრას, ადამიანთა სისტემატური სიჭარბეც ცუდად მოქმედებს მწვანე განაშენიანებაზე. აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა საქართველოს ტყეებს უკანონო თუ კანონიერმა ჭრამ. და როდესაც ქართველმა „ბიზნესმენებმა“ გემო გაუგეს იოლი გზით გამდიდრებას, ათასობით კუბმეტრი ძვირფასი ხის მორები კაპიკების ფასად გაუყენეს საზღვარგარეთის გზას. აქედან გამომდინარე, ძნელი არ უნდა იყოს იმის წარმოდგენა, თუ რა იქნება მომავალში. ტყის გაყიდვა ცუდის მომასწავებელია. ტყე, მწვანე საფარი, ერთადერთი პირობაა მეწყერისაგან გადარჩენისათვის და, რაც მთავარია, წყლის შენარჩუნებისათვის. სამწუხაროდ, ამ მარტივ ჭეშმარიტებას არც ბერი და არც ერი არ იზიარებს. მცირე გამონაკლისი ვითარებას ვერ შეცვლის. ყველა დღევანდელი დღით ცხოვრობს, დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ ხვალინდელ ქათამს.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

№ 138. ხუთშაბათი, 19 ივლისი, 2007 წელი.

**● მაინც რა უნდა ვქნათ, რომ როგორმე საღამოს ჭამას გადავეჩვიოთ, რასაკვირველია, არაფერს ვამბობთ გახდომის მსურველთა საგანგებო დიეტაზე, მხოლოდ იმაზე მოგახსენებთ, დილით კაცს რომ ათქმევინებს ხოლმე, წუხელის კუჭმა (თუ მუცელმა) არ დამაძინაო**

◎ მთავარი ჯანმრთელობაა

# ნუ გამომღებით... ძილის წინ!

**საღამო ხანს მაძღრისად ჭამა — ეს ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესისადმი თქვენი სისუსტე როდია. როგორც საქმეში ჩახედულნი ამბობენ, სწორედ ძილის წინ ორგანიზმი იკეთებს შიმშილობის შემთხვევისათვის ენერგიის ტრადიციულ მარაგს და ინსტინქტი თითქოს გაჰკივის — „მიდი, ჭამე!“**

განა ჩვენს ირგვლივ ცოტაა ხალხი, დილით საუზმეს რომ არ ეკარება, სამაგიეროდ ვახშამზე სამი კაცის ულუფას ულევს ბოლოს. მოდი და ამის შემხედვარმა, თქვი ვახშამზე უარი. ალბათ ამიტომაც გვექნელება საღამოს წაუხემსებლობა. თანაც იმის იმედსაც არ ვკარგავთ, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც ვიტყვით მასზე უარს.

მაინც რა უნდა ვქნათ, რომ როგორმე საღამოს ჭამას გადავეჩვიოთ, რასაკვირველია, არაფერს ვამბობთ გახდომის მსურველთა საგანგებო დიეტაზე, მხოლოდ იმაზე მოგახსენებთ, დილით კაცს რომ ათქმევინებს ხოლმე, წუხელის კუჭმა (თუ მუცელმა) არ დამაძინაო.

მოდით, მაშინ ზოგიერთ რამეზე მოვილაპარაკოთ:

**1) ჭამეთ, მაგრამ ძალზე ცხიმიანი კი არა** — ცილები და რთული ნახშირბადები წონის მატებას ხელს არ უწყობს, ამიტომაც თქვენს მენიუში რაც მეტია უცხიმო ხორცი, ხაჭო, ბურღული და მაკარონი, იმდენად უკეთესია — არც წონაში მოიმატებთ და სწრაფადაც დანაყრდებით.

სულაც არაა საშიში, თუ ძილის წინ საათით — საათნახევრით ადრე მიირთმევთ ხორცის ნაჭერს ბოსტნეულით და ხორბლის ფუნთუშით, თანაც ჭიქა მაწონის დაყოლებით.



**2. ცნობილია, რომ რაც უფრო ცხიმიანი და უხვია ვახშამი, ორი საათის შემდეგ უფრო მოგინდებათ ჭამა.** ამიტომ აჯობებს — ვჭამოთ ცოტ-ცოტა და რამდენიმეჯერ.

ჯერ ერთი, მსუბუქად წაიხემსეთ სამუშაოდან წასვლის წინ — გამოდგება ხაჭო ან იოგურტი სიმინდის ფანტელებით.

შინ მსუბუქად წაისაუზმეთ, უკეთესია ცხოველური ცხიმებისა და რთული ნახშირბადების შერწყმა. უცხიმო ხორცი ან თევზი, პლუს ჭიქა რძიანი ჩაი. არ დალიოთ ყავა ან წვენები — ისინი ასტიმულირებენ კუჭის წვენის გამოყოფას და აუარესებენ აპეტიტს. 20 წუთის შემდეგ კი ივახშმეთ — აირჩიეთ უცხიმო პროდუქტები და მიირთვით ნელ-ნელა.

**3. თავიდან აიცილეთ ერთფეროვნება.** რაც უფრო მოსაწყენია ვახშამი, იმდენად მეტი შანსია, რომ ორიოდე ლუკმის შემდეგ თქვენ გადაერთოთ რაიმე უფრო საინტერესოზე — საუბარზე, ტელევიზორზე და ვერც კი შეამჩნევთ, ისე შეჭამთ იმდენს, რომ არც კი აპირებდით და მაინც მშიერი დარჩებით! ეს იმიტომ, რომ დაარღვიეთ მთავარი წესი — რაც უფრო ნელ-ნელა და მოფიქრებულად ჭამთ, იმდენად სწრაფად ნაყრდებით.

**4. ისეირნეთ ძილის წინ.** მაცივარზე საღამოს იერიში ხშირად შიმშილით კი არა, გართობის გულისთვისაა. ამიტომაც საყოფაცხოვრებო ანტიდეპრესანტად გამოიყენეთ საღამოს გასეირნება.

საშუალო ტემპით სიარული აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, მატებს სიმხნევეს და აქვეითებს აპეტიტს. სეირნობის ხანგრძლივობა — 20-30 წუთი დღეში, ოპტიმალური დრო — 7-8 საათი.

**5. გაახარეთ სხეული და არა კუჭი!** გამშვიდებთ და ჭამის მოთხოვნილებას გიქვეითებთ აბაზანა, შხაპი ან მასაჟი. ისინი სასიამოვნო გრძნობების მოზღვავებას იწვევს. ფსიქოლოგიური კომფორტის შესაქმნელად ჭამა საჭირო თითქმის აღარაა.

**6. ჭამა გინდა? — დაიძინე!** არ თქვათ, მშიერ კუჭზე რა დამაძინებსო. თქვენ მშიერი როდი ხართ. სრულფასოვანი ძილი კი ამაღლებს ცხოვრებისეულ ტონუსს, აუმჯობესებს ხასიათს და აიოლებს წონის კონტროლსაც.

**7. ერთმანეთში ნუ აურევთ საჭმელსა და ტკბილეულს.** ხშირად ვძღებით მხოლოდ იმიტომ, რომ კი არ გვშია, არამედ პირს ვიტკბარუნებთ. თან ერთმანეთში ვურევთ ძეხვს, შოკოლადს, ხიზილალას თუ ტორტს. ნუ წაისუსნავთ მშიერ კუჭზე და დელიკატესებით ნუ შეცვლით ნორმალურ პროდუქტებს. ისინი სუფრის „ფარდის დაშვებისთვის“ შემოინახეთ, როგორც დამაგვირგვინებელი აკორდი!

და ბოლოს, **მაინც ნუ აიკრძალავთ ღამე ჭამას.** რაც გინდა, იფიცოთ, ღამე არასოდეს არა ვჭამო, ასე იქნება თუ ისე, მაინც მოგიწევთ სიტყვის გატეხვა. ჯერ ერთი, მუდამ ამაზე ფიქრობთ.

ფსიქოლოგები კი ამას „ავადმყოფურ ფიქსაციას“ უწოდებენ. ხომ გაგიგიათ, აკრძალული ხილი უტკბილესიაო. რაც უფრო ნათლად წარმოიდგენთ აკრძალულს, მით უფრო მეტი სულიერი ძალების ხარჯვა გიწევთ ცდუნების თავიდან ასაცილებლად. ფიქრი ჭამაზე თუ საჭმელზე მაცდურია. ამიტომ ბოლოს და ბოლოს უნდა დამორჩილდეთ. აჯობებს თქვათ, რომ შემიძლია მაშინ ჭამა, როცა მომინდება და დაადგეთ გონივრული კომპრომისების გზას — ყველაფერში ზომიერებას!

*უცხოური პრესის მიხედვით*
*მოამზადა ვალიკო სიმონიშვილმა*



## წიწაკა „ექიმის“ როლში

**სწორედ რომ ასეა — ცხარე წიწაკა თურმე ძალზე სასარგებლო ყოფილა ჩვენი ჯანმრთელობისთვის. როგორც სწავლულებმა დაადგინეს, ის სპობს ყველა მიკრობის დაახლოებით 75 პროცენტს თურმე წიწაკის შემადგენლობაში ყოფილა კასაიცინი — მუნებრივი ანტიბიოტიკი, ის ხელს უშლის ბაქტერიების გამრავლებას, აგრეთვე ეწინააღმდეგება ტრომბების ჩამოყალიბებას, სისხლ-ძარღვთა გაფართოებას, ხსნის ანთებით ტკივილებს, ამასთან სტიმულს აძლევს ორგანიზმში ბედნიერების ჰორმონების — ენდოსფინების — გამომუშავებას.**

**წიწაკაში შემავალი ანტიოქსიდანტები და ვიტამინები ხელს უშლიან კიბოს უჯრედების წარმოქმნას, ამცირებენ სისხლში ქოლესტერინის დონეს.**

**ყოველივე ამას გარდა, წიწაკა გვეხმარება გახდომაშიც. კანადელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ის აძლიერებს სიმაძღრის შეგრძნებას.**

**მოხალისეებს, კერძებს უხვად რომ აყრიდნენ მწვავე წიწაკას, უკვე აღარ უნდოდათ ჭამა, თანაც უფრო მეტ კალორიებს „წვავდნენ“.**

**სპეციალისტები ამ ფენომენს იმით ხსნიან, რომ წითელი წიწაკა 27 პროცენტით აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას. წიწაკის ნაყოფში ბევრი კაროტინი, კალიუმი, კალციუმი, ფოსფორი, კალა და მარგანეცია, რაც ასე აუცილებელია ჯანმრთელი ორგანიზმისთვის.**

# რა უნდა ვიცოდეთ, თუ მოვიწამლეთ

**შხამიანი ნივთიერებებით (ტოქსინებით) ორგანიზმის მოწამვლას ინტოქსიკაცია ეწოდება. სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის მომწამვლელი ნივთიერებები არღვევს სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქციებს და არა მარტო ჯანმრთელობას, თვით სიცოცხლესაც დიდ საფრთხეს უქმნიან.**

**ტოქსინები ორგანიზმში სხვადასხვა გზით აღწევენ.**

● **კვებითი გზა** — ამ დროს შხამიანი ნივთიერება ორგანიზმში პირიდან ხვდება, კუჭნაწლავის ტრაქტიდან შეიწოვება (ამა თუ იმ ნივთიერების შეწოვის დრო და სიჩქარე განსხვავებულია), გადადის სისხლში და მისი მეშვეობით მთელ ორგანიზმს, მის ცალკეულ სისტემებსა და ორგანოებს აღწევს.

● **ინჰალაციური გზა** — ინტოქსიკაცია მავნე აირთა და ტოქსიკურ ნივთიერებათა ორთქლის ჩასუნთქვისას ხდება.

● **კანისმიერი გზა** — ცალკე გამოყოფენ ე.წ. ინექციურ ინტოქსიკაციას, როცა ტოქსინი შპრიცით ნივთიერების შეყვანისას ან შხამიანი მწერებისა თუ ქვეწარმავლების კბენისას უშუალოდ ქსოვილში ან სისხლის მიმოქცევის წრეში ხვდება.

* * *

ინტოქსიკაციის გამომწვევი ქიმიური ნაერთი უამრავია. მოწამვლა შეიძლება გამოიწვიოს:

● რომელიმე სამკურნალო პრეპარატმა დიდი დოზით მიღებისას, შეუთავსებელ მედიკამენტებთან კომბინაციაში გამოყენებისას და სხვა.

● საყოფაცხოვრებო და სანიტარიული დანიშნულების ხსნარებმა.

● ქიმიურ წარმოებაში გამოყენებულმა და სხვადასხვა სამრეწველო დანიშნულების ნივთიერებებმა.

● სოფლის მეურნეობაში საჭირო ან მავნებლების საწინააღმდეგო შხამქიმიკატებმა

● მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნივთიერებებმა (მათ შორის ბუნებრივმა შხამებმა), რომელთაც მედიკამენტებისა და სხვადასხვა პროდუქციის წარმოებაში იყენებენ.

ტოქსიკურ ნივთიერებათა მრავალფეროვნება, ორგანიზმზე მათი ზემოქმედებს თავისებურება და სპეციფიკურობა ართულებს მოწამვლის დიაგნოსტიკას, დროულ მკურნალობასა და პროფილაქტიკას. მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში ბოლო 10 წლის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ე. წ. ტოქსიკურ სიტუაციას — მდგომარეობას, რომელიც გარემოში მავნე, ტოქსიკურ ნივთიერებათა დაგროვებამ განაპირობა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მარტო ევროპაში ყოველი 1000 ადამიანიდან ორი მწვავე მოწამვლით ხვდება კლინიკაში, ერთ პროცენტზე მეტი კი ამ მიზეზით იღუპება. ეს საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველწლიურად მატულობს ბავშვების ინტოქსიკაციის შემთხვევები, რაც უმთავრესად მედიკამენტებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების (სადეზინფექციო ხსნარების და სხვა) შენახვის წესების დარღვევის გამო ხდება.

**გთავაზობთ ყველაზე გავრცელებული ტოქსინების, ანუ იმ ნივთიერებების ჩამონათვალს, რომლებიც ყველაზე ხშირად იწვევს მოწამვლას, გაგაცნობთ შესაბამის ანტიდოტებსა და პირველი დახმარების წესებს, რომელთა ცოდნაც ყველასათვის აუცილებელია.**

● **დარიშხანი და მისი შენაერთები** — კუჭის განმეორებითი ამორეცხვა წყლით, რომელსაც დამატებული ექნება გამომწვარი მაგნეზია (20 გ. 1 ლ. წყალზე), დარიშხანის ანტიდოტის ხსნარი (100 მლ. 2-4 ლ. წყალზე) ან კარბოლენი. შინაგანი მიღებისთავის — ყოველ 5 წუთში 1 კოვზი გამომწვარი მაგნეზია, დარიშხანის ან მეტილების შხამსაწინააღმდეგო ნივთიერება. მარილოვანი საფაღარათო, რძე, ზეთი, სხეულის ჩათბუნება, სათბურა მუცელზე.

● **ამიაკი, ნიშადურის სპირტი** — კუჭის მრავალჯერადი ამორეცხვა წყლით, რომელსაც დამატებული ექნება ლიმონმჟავა ან ძმარმჟავა. აუცილებელია ამ მჟავათა 1-პროცენტიანი ხსნარის დალევა.

● **მორფინი, კოდეინი, ლიონინი, ჰეროინი, ოპიუმი, ომნოპონი** — კუჭის განმეორებითი ამორეცხვა წყლით, რომელსაც კარბოლენი (გააქტიურებული ნახშირი) ან კალიუმის პერმანგანატის 0,1-პროცენტიანი ხსნარი ექნება დამატებული, მარილოვანი საფაღარათო. ჟანგბადის შესუნთქვა. შინაგანი მიღებისთვის — 6-№ წვეთი ატროპინის სულფატის ხსნარი. სუნთქვის დარღვევისას — ხანგრძლივი ხელოვნური სუნთქვა. სიმშვიდე, ყინული თავთან. არ შეიძლება პირსასაქმებელის გამოყენება.

● **ბორის მჟავა** — კუჭის ამორეცხვა კარბოლენდამატებული წყლით. დასალევად — 20 გ. გამომწვარი მაგნეზია 1 ჭიქა წყალზე, რძე, მარილოვანი საფაღარათო.

● **კოკაინი, დიკაინი, ნოვოკაინი** — კუჭის ამორეცხვა წყლით, რომელსაც დამატებული ექნება კორბილენი ან კალიუმის პერმანგანატის 0,1-პროცენტიანი ხსნარი; შინაგანი მიღებისათვის — 23 წვეთი ნიტროგლიცერინი, ცხელი ყავა, ღვინო, ჟანგბადის ინჰალაცია. სუნთქვის დარღვევისას და გულის გაჩერებისას გულის მასაჟი, ჩათბუნება.

● **იოდი, იოდფორმი, ლუგოლის ხსნარი** — დალიეთ მოწამვლის შემთხვევაში — კუჭის ამორეცხვა ნატრიუმის თიოსულფატის 0,5-პროცენტიანი ხსნარით ან 2-3 ჭიქა ამავე ნაერთის 5-პროცენტიანი ხსნარის დალევა. სახამებლის თხელი წებო, რძე, ლორწოვანი ნახარში. ტუტემინერალური წყალი. ორთქლით მოწამვლისას — სუფთა ჰაერი. ნატრიუმის ჰიდროკარდონატის 2-პროცენტიანი ხსნარის ან ნატრიუმის სულფატის 5-პროცენტიანი ხსნარის ორთქლის ჩასუნთქვა (ინჰალაცია).

● **ბენზოლი, ბენზინი, ნავთი, აცეტილენი** — ორთქლით მოწამვლისას — სუფთა ჰაერი, ჟანგბადის ჩასუნთქვა, ხელოვნური სუნთქვა, სხეულის გათბობა, შინაგანი მიღებისთვის კოფეინი, C ვიტამინი. დალევით მოწამვლის შემთხვევაში — ზემოთ ჩამოთვლილ საშუალებებთან ერთად კუჭის ამორეცხვა კარბოლენდამატებული წყლით. საფაღარათოდ — აბუსალათინის ზეთი, დასალევად — ყავა, ცხელი რძე.

● **ქლორი, ქლორამინი, ქლორანიდი, ქლორწყალბადი** — ჩასუნთქვით მოწამვლისას — დაუყოვნებლივ გაყვანა მომწამვლელი ატმოსფეროდან. სუფთა ჰაერი, ჩათბუნება, ჩასუნთქვა, წყლის თბილი ორთქლისა, რომელსაც ნიშადურის სპირტი ექნება დამატებული. დალევით მოწამვლისას — კუჭის ამორეცხვა კალიუმის პრეპარატის ხსნარით, რომელსაც დამატებული ექნება გააქტიურებული ნახშირი, წყალბადის ხსნარი ან ნატრიუმის თიოსულფატის 5-პროცენტიანი წყალბადის ხსნარი. საჭიროების შემთხვევაში — ხელოვნური სუნთქვა, ჟანგბადის ჩასუნთქვა.

*მოამზადა*
**ბელა ლომიძემ**

№ 138. ხუთშაბათი, 19 ივლისი, 2007 წელი.

● გამოთვლით მათემატიკაში, გამოყენებით მათემატიკასა და უწყვეტი გარემოს მექანიკაში თამაზ ვაშაყმაძეს გამოქვეყნებული აქვს 140-მდე შრომა, იმათ რიცხვში – 5 მონოგრაფიული. კაპიტალური წიგნი „ანიზოტროპიული დრეკადი ფირფიტების თეორია" 1999-ში ინგლისურ ენაზე დასტამბა ცნობილმა ჰოლანდიურმა ფირმამ და მსოფლიოს სპეციალისტთა წრეებში არგუნა ფართო გამოხმაურება

◎ სახელოვანი თანამედროვენი

# არს ღამეთა მთეველი...


თამაზ ვაშაყმაძე

**შენი ნასტუდენტარის 70 წლისთავზე სიტყვით გამოსვლისას ძალაუნებურად გიჩნდება ფიქრი, რომ თავად გვარიანად დაბერიკაცებულხარ. ნუგეშად „მაკომპენსირებელი" ფიქრიც ამოტივტივდება, რომ იუბილარის მათემატიკურ განათლებაში მცირე წვლილი შენც გიძევს და რომ „ერთი „შვილ" მაინც გაზარდე, იქსებთან მეომარია...**

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თამაზ ვაშაყმაძეს ეს მრგვალი თარიღი ამას წინათ აღუნიშნეს თსუ-ის სხდომათა დარბაზში მშობლიურმა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტმა, აგრეთვე საქართველოს მათემატიკოსთა კავშირმა, მექანიკოსთა კავშირმა, სიანჭინრო აკადემიამ და მეცნიერების ისტორიის საზოგადოებამ.

იმისათვის, რომ კარგი სტუდენტისგან მკვლევარიც კარგი დადგეს, ის კარგი სტუდენტობა არც აუცილებელი პირობაა და არც საკმარისი. თამაზმა ამ „წესიდან" გამონაკლისი გააკეთა და როგორც წარჩინებით სწავლობდა ფაკულტეტზეც და ასპირანტურაშიც, ასევე ჩინებულ მეცნიერად ჩამოყალიბდა; ისეთი მათემატიკოსი და მექანიკოსი გამოვიდა, რომელსაც „ხელის გულზე ატარებდნენ" მარტო ყოფილი საბჭოეთის რესპუბლიკებში კი არა, საზღვარგარეთაც – აშშ, ბულგარეთი, გერმანია, იაპონია, იტალია, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი... იწვევდნენ ხანგრძლივი, ხანმოკლე თუ ერთჯერადი მივლინებებით საკუთარი შედეგების მოსახსენებლად, ლექციების ციკლის წასაკითხად, საკონსულტაციოდ, რეცენზენტადა თუ ოპონენტად. მშობლიური ენის გარდა რუსულს, ინგლისურს კარგად დაუფლებული და გერმანული სპეციალური ლიტერატურის თავისუფლად წამკითხველი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ყველგან სასურველი მივლინებული გახლდათ და გახლავთ.

გამოთვლით მათემატიკაში, გამოყენებით მათემატიკასა და უწყვეტი გარემოს მექანიკაში თამაზ ვაშაყმაძეს გამოქვეყნებული აქვს 140-მდე შრომა, იმათ რიცხვში – 5 მონოგრაფიული. კაპიტალური წიგნი „ანიზოტროპიული დრეკადი ფირფიტების თეორია" 1999-ში ინგლისურ ენაზე დასტამბა ცნობილმა ჰოლანდიურმა ფირმამ და მსოფლიოს სპეციალისტთა წრეებში არგუნა ფართო გამოხმაურება (ამის თაობაზე თავის დროზე ვუამბეთ კიდევაც „სრ"-ის მკითხველსძ.

ორიოდ წლის წინათ შპრინგერის გამომცემლობამ გამოაქვეყნაა მერილენის კოლეჯ-პარკის (მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი უნივერსიტეტი, აშშ) პროფესორის სტიუარტ ანტმანის ფუნდამენტური ვრცელი ნაშრომი „დრეკადობის არაწრფივი პრობლემები". აქ მოხსენიებულია ამ დარგში ისტორიული წიგნები ქართული მათემატიკის კლასიკოსების ნიკოლოზ მუსხელიშვილისა და ვიქტორ კუპრაძისა და საგანგებო ყურადღება ეთმობა თამაზ ვაშაყმაძის ზემოთ ციტირებულ წიგნს. ცნობილი ავტორების შედეგებზე საუბრის შემდეგ ანტმანი შენიშნავს, რომ ვაშაყმაძეს განსხვავებული ალტერნატიული მსოფლმხედველობა აქვს გადმოცემული და რომ იმისი გამოკვლევა იყო პირველი, რომელშიც ფონ კარმანის განტოლებები გამოყვანილია რაციონალური მექანიკის პოზიციიდან არაწრფივი დრეკადობის ზოგადი თეორიის საფუძველზე...

ჩემს ყოფილ სტუდენტს იშვიათად ვხვდები, მაგრამ „სამაგიეროდ" ხანგრძლივი და ათასგვარ რამეზე საუბრით ვიჯერებთ ხოლმე გულს – ათასგვარი რამ აინტერესებს და იმიტომ. ყველაფერთან ერთად ორივე გამოუსწორებელი მელომანი ვართ...

ახალგაზრდობისას თამაზი მარჯვედ თამაშობდა ფეხბურთს, მაგიდის ჩოგბურთს, ჭადრაკს. ძალიან უყვარდა მხატვრული ლიტერატურის კითხვა, იცნობდა კლასიკოსთა შემოქმედებას. სპორტისადმი დიდი სიმპათიები აქამდე შემორჩა და „ყურებად" (მოდურ სიტყვას თუ ვიხმარ) სახეობებსფეხბურთს, ჩოგბურთს, კალათბურთს დღემდე სწყალობს. მით უფრო, რომ ღამეების გათეხვას კვლევაშია მიჩვეული. ბოლო შეხვედრაზე იმაშიც გამომიტყდა, რომ უმხატვრულლიტერატუროდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია.

მელომანობას რაც შეეხება, უკვე „ვალდებულიც" არის ოპერის მხურვალე ტრფიალი იყოს: ქალიშვილი დიანა საერთაშორისო სახელის მეცო-სოპრანო და სოპრანო ჰყავს (იტალიაში, გერმანიაში, ესპანეთში, ირლანდიაში, ჩილეში ნამღერი „აიდაში", „ლედი მაკბეტში", „ტურანდოტში"...ძ, ხოლო დისწული ირაკლი გრიგალაშვილი (უცხოეთში აუცილებელი შეკვეცით „გრიგალი"ძ – ტენორი. სხვათა შორის, „აგრიგალებული" ირაკლი სულ ახლახან „რომაული არდადეგებით" ჩამოვიდა თბილისში და ეგებ ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც გამოვიყვანო...

ისეთი შესანიშნავი ოჯახი ჰყავს თამაზს, რომ უთუოდ უნდა გავახმიანო სხვა ახლობლებიც: მეუღლე, ქალბატონი ნონა ცნობილი ბიოფიზიკოსია, რომელმაც ამ დარგში პირველმა გამოიყენა კვანტური მექანიკის მეთოდები საქართველოში. მეორე ქალიშვილი ეკა ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის უმაღლესი კატეგორიის ეკონომისტი გახლავთ. პირველი სიძე (მომღერალი ქალიშვილის ქმარიძ იტალიელი დირიჟორი და კონტრაბასისტი ავგუსტო ვერონეზეა, მეორე სიძე – ბიზნესმენი ანტონ ჯორბენაძე. სამ შვილიშვილზე მერე ვილაპარაკოთ, როცა წამოიზრდებიან...

**თამაზ ეზანოიძე**

◎ ინფორმაცია

## პასუხს ერთი კვირა დაელოდებიან

**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის წარმომადგენლები საქართველოს პრეზიდენტისგან მთავრობის 11 ივლისის გადაწყვეტილების შეჩერებასა და აკადემიის საკითხის ხელახალ განხილვას ითხოვენ.**

მათ სახელმწიფო კანცელარიასთან საპროტესტო აქცია გამართეს და აკადემიისთვის დამოუკიდებელის სტატუსის შენარჩუნება კიდევ ერთხელ მოითხოვეს. მასში 200-მდე ადამიანი მონაწილეობდა.

აქციის დასრულების შემდეგ მათ კანცელარიის მისაღებში აკადემიის გადასარჩენად შეგროვილი 3000-ზე მეტი ხელმოწერაც დატოვეს.

სპორტის აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ირაკლი დოლაბერიძემ განაცხადა, რომ პასუხი მათ მოთხოვნაზე ერთ კვირაში გახდება ცნობილი.

მისივე თქმით, აკადემია მზად არის, კომპრომისზე წავიდეს და ხელისუფლებას დაუთმოს მისი კუთვნილი შენობა ილია ჭავჭავაძის გამზირზე, ასევე, 13 ნაგებობა, 40 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი იმ შემთხვევაში, თუ აკადემიას დამოუკიდებლობის სტატუსი შეუნარჩუნდება.

**ინტერპრესნიუსი**

№ 138. ხუთშაბათი, 19 ივლისი, 2007 წელი.

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2007 წლის 3 აგვისტოს დღის 14 საათზე, ზესტაფონში, წერეთლის № 11-ში (ზესტაფონის ყოფილი ზონალური საგადასახადო ინსპექციის შენობაში) ს/ს „მარსი"-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

**1. ძველი ადმინისტრაციული შენობა ორსართულიანი, აგებული თეთრი დეკორატიული გათლილი ქვით, გადახურვა ხის ნივნივებზე, შავი ლითონის ფურცლოვანი სახურავით, კარ-ფანჯარა ხის, შემინული, სართულებს შორის გადახურვა ხის კოჭებზე, ხის იატაკი, არის ელგაყვანილობა, წყალ-კანალიზაციის ქსელი, შენობის საერთო ფართია 600კვმ. სასარგებლო ფართია 500კვმ. შეფასებულია 20000 ლარად.**

**2. ადმინისტრაციულ-საწარმოო კორპუსის ნაწილი, ოთხსართულიანი შენობა, აგებული მსხვილი საკედლე ფილებით და წვრილი საკედე ბლოკით, შენობა დახურულია წიბოვანი ანაკრები რკინა-ბეტონის გადახურვის ფილებით, გადახურვა ბრტყელი ჭიქისებრი წერტილოვან საძირკველზე მოწყობილი რკინა-ბეტონის ანაკრებით და კოლონების თავზე გადებულია რკინა-ბეტონის კოჭები, იატაკი ბეტონის, ზოგან მოზაიკის დეკორატიული ფილებით, ფანჯრები ლითონის, კარებები ხის, ნაწილი რკინის, კორპუსის ოთხივე სართული შელესილია, წარმოდგენილი შენობის ნაწილის საერთო ფართია 4800კვმ, სასარგებლო ფართი 3456კვმ, ხოლო დამხმარე 944კვმ, ყადაღადადებული შენობის ნაწილი წარმოადგენს მთლიანი კორპუსების ნაწილს აღმოსავლეთის მხრიდან დასავლეთის მიმართულებით 40 მეტრ სიგრძეზე. შეფასებულია 73000 ლარად.**

**3. წყლის საქაჩი სადგურის შენობა აგებული რკინა-ბეტონის საკედლე ფილებით, გადახურულია წიბოვანი ანაკრები რკინა-ბეტონის გადახურვის ფილებით, შენობა ექსპლუატაციისთვის უვარგისია, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სამშენებლო მასალა, შეფასებულია 7000 ლარად.**

**4. შავი ლთონის ჯართი 229,8 ტონა — 49416,03 ლარი.**

**5. ფერადი ლითონის ჯართი 555კგ. — 1387,5 ლარი.**

**6. ვარგისი მოწყობილობა: ვენტილატორი ელძრავით 37კვტ. 2 ცალი — 700 ლარი.**

**7. ელ. ძრავი 4 პ10 75 კვტ. 3 ცალი — 1980 ლარი.**

**8. ელ. ძრავი 30 კვტ. 6 ცალი — 1440 ლარი.**

**9. გოგორწყვილი 1 — 500 ლარი.**

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 155423,53 (ასორმოცდათხუთმეტი ათას ოთხასოცდასამი ლარი და ორმოცდაცამეტი თეთრი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

**ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.**

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.**

**ტელ.: 8-231-4-20-95,**
**8-231-4-45-79**

# უცხოური პრესა

● გაეროს მიერ განხორციელებულმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ზემო აფხაზეთზე თავდასხმის დროს გამოიყენეს არა მარტო არტილერია, არამედ საბრძოლო ვერტმფრენი ან ვერტმფრენებიც კი, რომლებიც იქ შემოვიდნენ „საზღვრის დარღვევით“



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## სააკაშვილი ნამდვილი ლიდერია

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს მეთიუ ბრაიზას მიაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კოდორის ხეობისათვის ცეცხლის დაშენასთან დაკავშირებული ამბების დროს ნამდვილი ლიდერისათვის დამახასიათებელი თვისებები გამოიჩინა. ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა ბრაიზამ, კოდორის ინციდენტი იყო „თავდასხმა საქართველოზე – შეერთებული შტატების მეგობარ ქვეყანაზე, რომელთანაც ამერიკელებს საერთო ღირებულებები აკავშირებს“.**

„ჩვენ ვაფასებთ საქართველოს რეაქციას ამ ინციდენტის შემდეგ – იგი საკმაოდ თავშეკავებული იყო. ასევე იმედი გვაქვს, რომ მსგავსი ინციდენტები აღარ განმეორდება. საქართველოში არავის უნდა ეპარებოდეს ეჭვი იმაში, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერს მას. საქართველო ჩვენი მეგობარი ქვეყანაა, და მალე იგი ამერიკელთა მოკავშირეც გახდება. ჩვენ მხარს ვუჭერთ ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებს და მის სამშვიდობო პოლიტიკას“, – განაცხადა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ.



როგორც მან თქვა, საქართველო არის „წარმატებულ რეფორმათა ქვეყანა“. რაც შეეხება მის პრეზიდენტს, „სააკაშვილმა გამოიჩინა ნამდვილი ლიდერისთვის დამახასიათებელი თვისებები“. „როცა მოხდა თავდასხმა კოდორის ხეობაზე, შეერთებული შტატების მთავრობაში ყველა აღტაცებით ადევნებდა თვალყურს საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს“, – აღნიშნა ბრაიზამ.

საქმე ასევე შეეხო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებას. 23 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიხილავენ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის მოხსენებას, რომელიც ეხება აფხაზეთსა და მის ირგვლივ შექმნილ ვითარებას. „ვეცდებით დავარწმუნოთ ჩვენი რუსი კოლეგები, რომ მათ აიძულონ აფხაზურ მხარეს დიალოგის დაწყება. მისი ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი, და აფხაზთა დე-ფაქტო მთავრობას არა აქვს იმის მორალური უფლება, რომ უარი თქვას სააკაშვილის წინადადებაზე“, – მიაჩნია კონდოლიზა რაისის თანაშემწეს.

შეგახსენებთ, რომ წინადღით შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ დაუშვებელია შემდგომშიც განმეორდეს ზემო აფხაზეთზე (კოდორის ხეობაძ თავდასხმა. დოკუმენტში შეერთებული შტატები დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ გაერომ მოამზადა მოხსენება კოდორის ხეობისათვის მიმდინარე წლის 11 მარტს ცეცხლის დაშენის საქმის გამოძიების შედეგების მიხედვით.

საქართველოში მიაჩნიათ, რომ კოდორის ხეობას ცეცხლი გაუხსნეს ვერტმფრენებმა, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე შემოვიდნენ რუსეთის მხრიდან. ამ აქტის შედეგად დაზიანდა მრავალი შენობა-ნაგებობა, კერძოდ, აფხაზეთის დევნილი მთავრობის ადმინისტრაციის შენობა. გაეროს მიერ განხორციელებულმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ზემო აფხაზეთზე თავდასხმის დროს გამოიყენეს არა მარტო არტილერია, არამედ საბრძოლო ვერტმფრენი ან ვერტმფრენებიც კი, რომლებიც იქ შემოვიდნენ „საზღვრის დარღვევით“. თუმცა, უშუალოდ მითითებული არ არის, რომ კოდორის ხეობისათვის ცეცხლის დაშენასთან კავშირი ჰქონდა რუსეთს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოთქვა ინიციატივა საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის პუნქტის კოდორის ხეობაში განლაგების შესახებ. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების განცხადების თანახმად, ზემო აფხაზეთის სოფელ აჟარაში ასეთი სტრუქტურის არსებობა „თავიდან აგვაცილებს სამომავლოდ მსგავს პროვოკაციულ ინციდენტებს“.

РОСБАЛТ




## მოსკოვში გამოიცა წიგნი საქართველოს ეკონომიკისა და თურქული ექსპანსიის შესახებ

**REGNUM საინფორმაციო სააგენტოს გამომცემლობაში გამოვიდა „კავკაზ“ ანალიზური ცენტრის (ერევანიძ ექსპერტის აშოტ ეგიაზარიანის წიგნი „საქართველო: ეკონომიკის სტრუქტურული პრობლემები და თურქეთის ეკონომიკური ექსპანსია (1994-2007ძ“. ამ ნაშრომში, რომელიც არის „კავკაზ“ ანალიზური ცენტრის მიერ განხორციელებულ გამოკვლევათა და პუბლიკაციათა სერიის გაგრძელება, განხილულია საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა, გაანალიზებულია მისი განვითარების დინამიკა და ტენდენციები, გამოკვლეულია ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებაში გარედაფინანსების როლი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის შეფასებას. გარდა ამისა, წიგნის ავტორმა წამოჭრა ასევე ის საკითხებიც, რომლებიც ეხება თურქეთ-საქართველოს სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობის შეფასებას, კერძოდ, თურქეთის სატრანსპორტო სტრატეგიის კონტექსტით.**

აშოტ ეგიაზარიანის აზრით, საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობა თურქეთს მიიჩნევს რუსეთის ეგრეთ წოდებულ „საპირწონე ძალად“ ქვეყნის ვაჭრობის ალტერნატიული წყაროებით და ინვესტიციებით უზრუნველყოფის საქმეში, რაც თურქეთს აძლევს საქართველოზე თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენის გაფართოების საშუალებას.

კავკასია-ცენტრალური აზიის მიმართულება არის პრიორიტეტული დღევანდელი თურქეთის საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკაში. ამ გზაზე თურქეთი აწყდება სატრანსპორტო მარშრუტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს, მიაჩნია აშოტ ეგიაზარიანს.

90-იანი წლების დამდეგს თურქეთმა შეცვალა თავისი სატრანსპორტო პოლიტიკა და განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო რკინიგზის განვითარებას, ამის პარალელურად ზრდიდა ქვეყნის სანავსადგურო ინფრასტრუქტურას. ვარაუდობენ, რომ ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო შტოს მშენებლობის პროექტი გადაჭრის ამ ამოცანებს და მისი წყალობით განხორციელდება თურქეთისა და რეგიონის ქვეყნების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურათა ინტეგრაცია.

აშოტ ეგიაზარიანის აზრით, ამ სტრატეგიის წარმატებული რეალიზაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შემცირდება საქართველოს, როგორც ევროპა-აზიას შორის სატრანზიტო ქვეყნის როლი, რაც თანამედროვე საქართველოსთვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის ერთ-ერთი საყრდენის დაკარგვის ტოლფასი იქნება.

REGNUM


## საჯარო სამართლის იურიდიული პირი
## სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“
## აცხადებს აუქციონს

ქონების რეალიზაცია აუქციონზე განხორციელდება ერთ ლოტად

| დასახელება | წონა, ტ | რაოდენობა, ც. | საწყისი ღირებულება (1 ტ), დოლარი | ბიჯი |
|---|---|---|---|---|
| დენთი РСИ-12К | 145 | 3432 | 30 | 5 |

**გამყიდველი სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“.**

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.**

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს ლოტის საწყისი გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირებისათვის არის 10 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისათვის 20 ლარი, გადახდილი უნდა იქნას სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალურ ფილიალში, ბანკის კოდი 220101502, ანგარიშის №120236700.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს სსიპ სსსტც „დელტას“ მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილის სტატუსს.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 20 დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და არ დაუბრუნდება ბეს შენატანი. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხდება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 2007 წლის 19 ივლისიდან 2007 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით, 12 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“, ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.

აუქციონი გაიმართება 2007 წლის 21 აგვისტოს 14 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული, ოთახი №1.

აუქციონში მონაწილეობისათვის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

– ბეს შეტანის დამადასტურებელი და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შეძენილი ბილეთის საბანკო ქვითრები;

– პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

– ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

– იურიდიული პირი წარადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა:**

აუქციონში გამარჯვებულია ის, ვინც დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**

**ტელ: 95-28-28.**

**მის. ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.**

**● ერთადერთი თემა საქართველო იყო. იხსენებდნენ ქართველ მეგობრებს, საქართველოში გატარებულ დღეებს და ათას მხიარულ ისტორიას. ძალიან ამაყი ვიყავი და ვფიქრობდი, რა ადვილია ცხოვრება, თუ ირგვლივ სიყვარულია**



◎ მეზობლებთან

# შვიდი დღე აზერბაიჯანში

## შინაგანი წესიერების ქვეყანა

**ახლახან დავბრუნდი შინ. აზერბაიჯანში, ბაქოში გახლდით. არ მინდოდა, ემოციურ ტალღაზე მყოფს დამეწერა ჩემი შთაბეჭდილება, ცოტა ხანი გავიდა, ვიფიქრე, ჩამოვყალიბდი და დინჯად, გააზრებულად დავწერე ჩემი 7-დღიანი შთაბეჭდილება, ალბათ, წარუშლელი.**

ბაქო საოცარი ქალაქია, რომლის ისტორიაც რამდენიმე საუკუნეს ითვლის. მართალია, ისტორიულ ქრონიკებში იგი პირველად ჩვენს წელთაღრიცხვამდე 885 წელს ფიგურირებს, მაგრამ არქეოლოგიური გათხრების მიხედვით, ბაქოს ისტორია ასწლეულებს ითვლის. ბაქო V-VIII საუკუნეებში, სავარაუდოდ, მოხსენიებულია ბაგავანის ან ბაგუანის სახელებით, რომლის ძირიც „ბაგა,“ ინდოევროპულ ენებში „ღმერთს“, „მზეს“ ნიშნავს.

ქალაქი, სადაც ევროპული არქიტექტურა ორგანულად ერწყმის აღმოსავლურ ვიწრო ქუჩებს და სახლებს შორის ჩამდგარ მეჩეთებს - მზეზე მოკაშკაშე, ცისკენ აღმართული მინარეთებით, მრავალფეროვნების სათავეებს ისტორიიდან იღებს: შირვან-შაჰების, მონღოლთა და სპარსთა მონაცვლეობით მფლობელობას, ჯერ მეფის რუსეთმა, ხოლო შემდგომ წითელმა კრემლმა დაუსვა წერტილი და იბატონა მანამ, სანამ აზერბაიჯანმა 1991 წელს დამოუკიდებლობა არ მოიპოვა.

ბევრი რამ შეიცვალა იმ 13 წლის განმავლობაში, რაც იქ არ ვყოფილვარ. დღეს ბაქოში მსოფლიოს ყველა ცნობილ ბრენდს ნახავთ. დღევანდელობისთვის დამახასიათებელი ფუნქციონალური სტილითა და თანამედროვე არქიტექტურით გაჯერებული ახალი მშენებლობები და ცათამბჯენები უხვადაა აღმართული.

თანამედროვე ქალაქისათვის



დამახასიათებელი ყველა ატრიბუტის მიუხედავად, ბაქო მშვიდი ქალაქია. ხმამაღალ საუბარს ქუჩაში კი არა, ყველაზე ხალხმრავალი თავშეყრის ადგილზეც ვერ გაიგონებ. ოჯახის წევრები პატარებთან ერთად სეირნობენ და ისვენებენ. გულწრფელად უხარიათ ნაცნობების დანახვა.

ატმოსფერო მშვიდია...

გეუფლება უზრუნველობის შეგრძნება..

დიახ, თითქმის ყველაფერი შეიცვალა. არ შეცვლილა ყველაზე მთავარი — სიმშვიდის განწყობა, რომელიც გავიწყებს პრობლემებს და გიორმაგებს სიცოცხლის ხალისს, სურვილს, ბოლომდე დატკბე ცხოვრების თითოეული წუთით.

საოცარი სიმშვიდე სუფევს ირგვლივ. ამ უცნაური სიმშვიდის შემყურეს გამიჩნდა კითხვა კრიმინალური სიტუაციის შესახებ, ერთი და იგივე პასუხი მივიღე: კრიმინალი ნულამდეა დაყვანილი, ხულიგნობაც იშვიათად ხდებაო. ასეთი რამ პირველად გავიგე. არ ვიცი, ეს ამ ხალხის მშვიდი და წყნარი ბუნების ბრალია, წესრიგის დაცვის განსაკუთრებული სისტემა აქვთ შემუშავებული თუ ასეთია მათი იდეოლოგია. ნამდვილად საინტერესო კია, რის ხარჯზე ახერხებენ ადამიანები აგრესიის რეალიზებას. საქართველოში ბოლო დროს დატრიალებული ტრაგედიების მომსწრემ ვინატრე, რომ ჩვენშიც დაისადგუროს სიმშვიდემ და ერთმანეთზე ხელი აღარ აღმართონ ახალგაზრდებმა.

ერთ რამეს აღვნიშნავ: ბაქოში თითქმის ყველგანაა სპორტული კომპლექსი, საბილიარდო, ნარდი, თითქმის ყველა ბარშია კარაოკე, ახალგაზრდებს თავიანთი ენერგიის რეალიზების მაქსიმალური საშუალება ეძლევათ. მოზარდებს შესაძლებლობა აქვთ ერთმანეთს სპორტში, სიმღერაში, გართობასა და ურთიერთპატივისცემაში გაეჯიბრონ.

ბარებში ულტრათანამედროვე დიზაინი და მხიარული ატმოსფეროა. ყოველთვის გადამღებია განწყობა — ერთ-ერთ ბარში კარაოკეს დახმარებით ჩვენც ვიმღერეთ. მაგრამ, როდესაც გვერდზე მაგიდასთან მჯდომმა ბაქოელმა ახალგაზრდამ ჩვენს პატივსაცემად ქართული სიმღერა შეუკვეთა, ბედნიერი ვიყავი, რომ ადამიანები ცდილობენ, გასიამოვნონ და გაგრძნობინონ უაღრესად დიდი მოკრძალება და პატივისცემა.

ბედნიერმა დავიძინე, გამომეღვიძა დასვენებულსა და მშვიდს.

სანაპიროზე სასეირნოდ გავედი. დილაადრიან ნაპირთან კაცი დავლანდე, თევზს იჭერდა. გამოველაპარაკე, პენსიონერი აღმოჩნდა. მეგონა, უსახსრობის გამო თევზით ირჩენდა თავს. აღმოჩნდა, რომ პენსიაც ყოფნის და თავსაც ძალიან ბედნიერად გრძნობს. საუბარი გაგვიგრძელდა და „მეთევზემ“ ბევრი საინტერესო რამ მიამბო აზერბაიჯანის ისტორიიდან. საქართველოზეც ბევრი რამ იცოდა. გამაოცა ამ კაცის ინტელექტმა, ჩვენი საუბარი სუფიზმის ფილოსოფიური დოქტრინისა და გასაოცარი სუფიური მუსიკის შესახებ ნაკლებად ცნობილი ამბებით დაასრულა.

შვიდი დღის განმავლობაში ბევრ ადამიანს შევხვდი და ვესაუბრე. აზერბაიჯანელების პატრიოტიზმი განსაკუთრებულია. სამშობლო უზომოდ უყვართ და დიდმაც და პატარამაც კი ზედმიწევნით იციან ქვეყნის ისტორია. რა თქმა უნდა, სოციალური პრობლემები მათაც აქვთ, მაგრამ კარგად აცნობიერებენ და იციან, რომ ეს ქვეყნისთვის გარდამავალი პერიოდია. ყველაზე დიდ იმედს ქვეყნის პრეზიდენტ ილჰამ ალიევზე და საკუთარ შრომაზე ამყარებენ.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ იქ ადამიანები გულწრფელები არიან. გულის სიღრმიდან წამოსული სიკეთე და სიყვარული იციან და არა სხვის დასანახად ან გასაგონად.

საღამო ხანს წყლის საყიდლად მაღაზიაში შევედი. მაღაზიის კართან მდგომი მსუბუქი მანქანიდან სიმღერის ხმა ისმოდა. არ ვიცი, რაზე ან ვისზე მღეროდა ასე სულისშემძვრელად პატარა ბიჭი, მაგრამ ფეხი ვეღარ გადავდგი, მანქანის გვერდით დავდექი. სიმღერა დასრულდა. გულმა არ მომითმინა და მანქანაში მჯდომ ახალგაზრდას ვკითხე, რას უსმენდა. „შირაზის ბაიათს“ — ეს სიმღერა სამშობლოს სიყვარულზეა, ტაჯირი მღერის, მაშინ 10 წლის იყო, ეს სიმღერა ოქროს ფონდშია შესულიო. საუბარი შედგა, მერე ვკითხე, სად შემეძლო ამ სიმღერის ჩანაწერის შეძენა. უცნაური პასუხი გამცა, ეს სიმღერა არ იყიდება, განსაკუთრებით, სტუმრებისთვის, თუ მოგეწონათ, დიდი სიამოვნებით გაჩუქებთო. ჩვენი საუბარი ამით არ დასრულებულა. ის ახალგაზრდა ქართველი მხატვრების გამოფენაზე დავპატიჟე, რა თქმა უნდა, მოვიდა — ოფიციალურად ჩაცმული. დაათვალიერა გამოფენა, აღფრთოვანდა, ბევრი კითხვა დამისვა, მეც ბევრი რამ მაინტერესებდა, მისი სახით კიდევ ერთი მეგობარი შევიძინე — ფარიდ პანახოვი, რომელსაც საოცრად უყვარს თავისი ქვეყანა. ერთ საინტერესო რამეს მივხვდი და დავრწმუნდი: თუ სხვა ქვეყანაში მეგობრის არჩევა გინდა, ისეთ ადამიანს უნდა დაუმეგობრდე, რომელსაც თავისი ქვეყანა უზომოდ უყვარს, ადამიანს, რომელიც პატრიოტია და იცავს თავისი ქვეყნის ღირსებას. ის არასოდეს მოგატყუებს და გიღალატებს.

ქართველ მხატვართა გამოფენა ბაქოს პრესტიჟულ საგამოფენო დარბაზ „აბშერონში“ გაიმართა. აქ წარმოდგენილი იყო ქალბატონ ია ბოკუჩავას კერძო კოლექცია. გამოფენას ადგილობრივი ხელოვნების მოყვარულებისა და პროფესიონალების გარდა, აზერბაიჯანში საქართველოს ელჩი ნიკოლოზ ნათბილაძე და იქ მცხოვრები ქართველებიც ესწრებოდნენ. ვერნისაჟი საინტერესო და ხალხმრავალი იყო. ძალიან ბევრი რამ ითქვა ქართულ ხელოვნებაზე. და, რაც მთავარია, ეს არ იყო სტუმრის პატივსაცემად ნათქვამი აუცილებელი სიტყვები. გამოფენა, სადაც ზურაბ ნიჟარაძის, გია ბუღაძის, ლევან ჭოლოშვილის, ოლეგ ტიმჩენკოს, მამუკა ცეცხლაძის და კიდევ სხვათა ნამუშევრები იყო წარმოდგენილი, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში აღაფრთოვანებდა მნახველს.

გამოფენის შემდეგ აზერბაიჯანსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ცნობილ ჯაზმენთა ორდისკიანი კომპაქტის „დეპარტერ პოინტ ბაკუს“ პრეზენტაციაზე წავედით. ბაქოში საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აღჭურვილი რამდენიმე ჯაზცენტრია. საერთოდ, აზერბაიჯანში ჯაზს დიდი ტრადიცია აქვს. ერთი გვარის, ვაგიფ მუსტაფა ზადეს ხსენებაც საკმარისია. თუმცა ეს უდიდესი მუსიკოსი ცოცხალი აღარ არის, დღეს მის მიერ შექმნილი სტილი და სკოლა კვლავაც განაგრძობს განვითარებას. გვითხრეს, ივლისში ბაქოში საერთაშორისო ჯაზფესტივალი ტარდება, სადაც ვაგიფის ქალიშვილიც ჩამოვაო. ჯაზ-კომპაქტ „დეპარტერ პოინტ ბაკუს“ მოსმენით ნამდვილად დარწმუნდებით დღევანდელი აზერბაიჯანელი ჯაზმენების მაღალ საშემსრულებლო დონეში. დისკის პრეზენტაციის ულამაზესი საღამოს ორგანიზატორი ალექპერ ტაგიზადე, საპროდიუსერო სტუდიის „პროცენტის“ პრეზიდენტი გახლავთ, სიმპათიური, ახოვანი, ნიჭიერი (მასთან ურთიერთობის ორიოდ წუთი გყოფნის, რათა ამას მიხვდე) და დიდსულოვანი. ჩვენთან საუბრისას ქართულ სიტყვებს ხშირად იყენებს, რათა ხაზი გაუსვას, თუ რამდენად მოხარულია ქართველების სტუმრობით. ის ასევე ყველას მიმართ კეთილგანწყობილი და მომღიმარია. გვპირდება, რომ მალე ჩამოვა საქართველოში.

კიდევ ერთ უაღრესად საინტერესო საღამოზე მინდა გიამბოთ: თეატრი „იბრუსი“.

ამ თეატრის დამაარსებელი მსოფლიოში ყველასათვის ცნობილი ადამიანი რუსტამ იბრაგიმბეკოვია. სპექტაკლი „ლომის მსგავსი“ ბატონ რუსტამს ეკუთვნის. ის შესასვლელ კართან გვეგებება და გვაფრთხილებს, სპექტაკლის შემდეგ არაფერი დაგეგმოთ, რადგან დღეს ჩემი სტუმრები ხართო.

სპექტაკლმა ბრწყინვალედ ჩაიარა, დიდხანს არ წყდებოდა აპლოდისმენტები. შესაძლოა ჩემი მოსაზრება გადაჭარბებულია, მაგრამ ვფიქრობ, ეს სპექტაკლი ჩვენ, დარბაზში მყოფ ქართველებს მოგვიძღვნეს და ჩვენთვის ითამაშეს. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ბატონმა რუსტამმა საღამო გამართა პარლამენტარ ნანა პატარკაციშვილის პატივსაცემად, რომელიც ერთადერთი ქალბატონი გახლდათ ჩვენს პატარა დელეგაციაში. ქართველების სუფრით გაკვირვება ძნელია და ამას არც არავინ ცდილობდა, თუმცა გამაოცა იმ მოგონებებმა, რომლებიც სუფრის წევრებს საქართველოსა და ქართულ კულტურასთან აკავშირებდათ. ერთგვარი უხერხულობაც კი ვიგრძენით, რადგან ერთადერთი თემა საქართველო იყო. იხსენებდნენ ქართველ მეგობრებს, საქართველოში გატარებულ დღეებს და ათას მხიარულ ისტორიას. ძალიან ამაყი ვიყავი და ვფიქრობდი, რა ადვილია ცხოვრება, თუ ირგვლივ სიყვარულია.

მე და აზერბაიჯანელ კოლეგებს ბევრი საერთო იდეა აღმოგვაჩნდა. საინტერესო იდეები შევაჯერეთ და ჩამოვყალიბდით. გადავწყვიტეთ, ბაქოში ერთობლივი საპროდიუსერო სტუდია „ინოვატორი“ დავაფუძნოთ, სადაც ერთ-ერთი დამფუძნებელი მეც ვიქნები. სტუდია მუსიკალურ კლიპებზე, დოკუმენტურ ფილმებზე, სარეკლამო და სოციალურ რგოლებზე, ერთი სიტყვით, საქართველო-აზერბაიჯანის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაზე იმუშავებს. გადავიღებთ დოკუმენტური ფილმების სერიას თემაზე, თუ ვინ ქმნის XXI საუკუნეს აზერბაიჯანში, ვინ არიან ის გამორჩეული ადამიანები, პოლიტიკოსები, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, ინტელექტუალური ელიტა, რომელიც XXI საუკუნის აზერბაიჯანში პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული პროცესების ავანგარდში დგას. რა თქმა უნდა, აზერბაიჯანელი მაყურებლისთვის ასეთივე სერია საქართველოზეც შეიქმნება. ბედნიერი ვიყავი, რომ ჩვენი იდეები ერთმანეთს დაემთხვა, ანუ ვიპოვე ადამიანი, რომელთანაც უამრავი საერთო აღმოგვაჩნდა. ბევრი სხვა გეგმაც დავსახეთ და მალე საქმესაც დავიწყებთ. ეჭვი არ მეპარება, ჩვენი წამოწყება წარმატებული იქნება.

ნანახმა და გაგონილმა მოლოდინს გადააჭარბა. შემიძლია ვთქვა: შვიდი დღე სამოთხეში გავატარე და შვიდივე დღე ძალიან ბედნიერი ვიყავი. ამბობენ, ცუდ ნათესავს კარგი მეზობელი ჯობიაო. ასეთი ქვეყნის მეზობლობა მართლაც მეამაყება და თანაც იმედიანად ვარ, რადგან ვიცი, ეს ის ხალხია, რომელიც გაჭირვებაშიც მხარში ამოგიდგება და ლხინშიც ბოლომდე გიერთგულებს. მინდა, ამ ქვეყანას, ამ ხალხს დიდი მომავალი, ბედნიერება და წარმატება ვუსურვო და თანაც მადლობა გადავუხადო იმ მართლაც დაუვიწყარი შვიდი დღისათვის, რომელიც ბაქოში გავატარე.

**გიორგი ჯაჯანიძე,**
**კინორეჟისორი,**
**ჟურნალისტი, ფსიქოლოგი,**
**ხელოვნებათმცოდნეობის**
**მეცნიერებათა დოქტორი**

***P. S. იღბლიანი ადამიანი ვარ, შემომთავაზეს ორი სოციალური ვიდეორგოლის დამზადება, რა თქმა უნდა, სიხარულით მივიღე შემოთავაზება. მოლაპარაკების შემდეგ მათ ჩემი იდეა გავანდე — კლიპის გადაღება „შირაზის ბაიათზე“. იდეამ მოწონება დაიმსახურა. ალბათ, მალე განხორციელდება, სულ მოკლე ხანში საქმეს შევუდგებით.***

**გ. ჯ.**

№ 138. ხუთშაბათი, 19 ივლისი. 2007 წელი.

• ჯარისკაცთა ინფორმაციით, მათი განთავსების ადგილზე არ არის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები. ჯარისკაცები არ არიან უზრუნველყოფილნი ნორმალური საკვებით, მათი რაციონი ერთფეროვანია და მხოლოდ ბოსტნეულის სუპისა და წიწიბურასგან შედგება, ხორციანი კერძები საჭმელად უვარგისია

№ 138. ხუთშაბათი, 19 ივლისი, 2007 წელი.

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: 1998 წლიდან ვარ მოხუცთა პანსიონატის მობინადრე, I ჯგუფის ინვალიდი, მარტოხელა. მარტოხელებს ეძლევათ დახმარება 22 ლარი. მეც ვღებულობდი ამ დახმარებას და კიდევ მგზავრობის ფულს – 5 ლარს. მერე კიდევ 2 ლარი დაგვიმატეს და 7 ლარს ვიღებდი. გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა ეს თანხა პანსიონატში ცხოვრების პერიოდში?**

**ნუნუ ჯანდიერი**

**პასუხი:** მოხუცთა პანსიონატში სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფ ინვალიდებსა და ასაკის პენსიონერებს ეძლევათ დანიშნული პენსიის მხოლოდ 20 პროცენტი. ასეთ შემთხვევაში, ყოველთვიური სოციალური დახმარების დანიშვნა, კანონით არ არის გათვალისწინებული.

* * *

**კითხვა: ვიმყოფები ძალიან მძიმე მდგომარეობაში, 6 თვეში დამეღუპა დედ-მამა, მეუღლე, ამავე დროს ჩხუბის გამო დამიპატიმრეს ორი ვაჟი. უმცროსი ამჟამად სტუდენტია, რომელიც ყოველთვე ჩემს პენსიას ელოდება. ვიღებ პენსიას II ჯგუფის ინვალიდობით. 2005 წლის დეკემბერში გამოსულა კანონი, რომლითაც როგორც „შპს“-ში მომუშავე, მქონდა პენსიის მიღების უფლება, მაგრამ აღნიშნულზე უარი მითხრეს, კანონი არ მიგვიღიაო. გთხოვთ, განმიმარტოთ, როდიდან არის მიღებული ასეთი კანონი და როგორ მოვიქცე, რომ მომეცეს პენსია კანონის მიღების დღიდან?**



**ეთერ დუმბაძე**

**პასუხი:** კანონი „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ პარლამენტმა მიიღო 2005 წლის 23 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2006 წლის 1 იანვრიდან. ამ დროიდან კერძო სტრუქტურაში მომუშავე პირებს აქვთ პენსიის მიღების უფლება. შეკითხვიდან გაურკვეველია, თუ თქვენ ნამდვილად მიმართეთ სოციალური დაზღვევის ფონდის ფილიალს, რატომ არ დატოვეს განცხადება მაინც, თუ ზუსტ პასუხს ვერ გაგცემდნენ. შეკითხვაზე დართულ პასუხშიც ოზურგეთის ფილიალი უარყოფს თქვენს მიერ მათთვის მიმართვის ფაქტს. გითანაგძრნობთ მძიმე ოჯახური პირობების გამო, მაგრამ მოკლებული ვართ კანონიერ შესაძლებლობას დადებითად გიპასუხოთ თქვენს მიერ დასმულ შეკითხვაზე.

* * *

**კითხვა: ვარ 18 წლის, სტუდენტი. გარდაცვილი მყავს მამა, ვიღებდი პენსიას, ვინაიდან ვიყავი ჯერ მოსწავლე და შემდეგ სტუდენტი. როგორც კი 18 წლის გავხდი, პენსია შემიწყვიტეს. რამდენად სამართლიანად შემიწყვიტეს პენსია, ახლა ხომ ჩემთვის თითოეული თეთრს მნიშვნელობა აქვს?**

**ნათია უკლება**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მარჩენალის დაკარგვის გამო დანიშნული პენსია, მოქმედი კანონის შესაბამისად, მხოლოდ 18 წლამდე გაიცემა.

* * *

**კითხვა: მოვყევი საავტომობილო კატასტროფაში. ვარ 22 წლის, გავიკეთე ორი მძიმე ოპერაცია, მაგრამ მაინც საწოლს მივეჯაჭვე. როგორ მოვიქცე, რომ რაიმე დახმარება მაინც მივიღო?**

**მამუკა გობრონიძე**

**პასუხი:** გირჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ უბნის პოლიკლინიკას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო შრომისუუნარობის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ – თქვენი რაიონის სოციალური დაზღვევის ფონდის ფილიალს, რომელიც დაგინიშნავთ პენსიას.

* * *

**კითხვა: წლების განმავლობაში ვიღებდი II ჯგუფის ინვალიდობის პენსიას. ჯგუფი მეძლეოდა 1 წლის ვადით, მაგრამ საექიმო კომისიაში წარდგენილი საბუთებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, კვლავ მცნობდნენ ინვალიდად და მიგრძელდებოდა პენსიის გაცემა. ბოლოს კომისიაზე გასული წლის ნოემბერში გავტარდი. ჩემს მეზობელს კი კვლავ უგრძელდება III ჯგუფის ინვალიდობით დანიშნული პენსია. იქნებ გამაგებინოთ, მე რატომ შემიწყდა პენსია?**

**სიმონ ჯულაყიძე**

**პასუხი:** 2006 წლის (1 იანვრიდანძ მოქმედი სახელმწიფო პენსიების კანონის შესაბამისად ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის გამო დანიშნული პენსიის მიღება მინიმალური პენსიის ოდენობით, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროში მორიგ გადამოწმებამდე, რის შემდეგაც იგივე სტატუსის დადგენის შემთხვევაში უწყდებათ პენსია. აქვე გაცნობებთ, რომ იმ პენსიონერებს, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობა ზომიერად გამოხატული ფორმით დადგენილი აქვთ, უგრძელდებათ პენსიის გაცემა მინიმალური პენსიის ოდენობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სავსებით გასაგებია, რატომ უგრძელდება პენსიის გაცემა თქვენს მეზობელს და თქვენ რა მიზეზით შეგიწყდათ მისი გაცემა.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

## ინფორმაცია



# თავად დასაცველები ვის დაიცავენ?

**სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს გია ქავთარაძეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური დაცვის ჯარისკაცთა საკითხის შესწავლა და ჯარისკაცების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით კანონშესაბამისი ზომების მიღება სთხოვა.**

როგორც სახალხო დამცველის აპარატიდან იტყობინებიან აპარატის თანამშრომლები თბილისის №6 საპყრობილეში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური დაცვის №14 ქვედანაყოფის ჯარისკაცებს შეხვდნენ, რომლებმაც მათ სამსახურში არსებულ გაუსაძლის პირობებზე ისაუბრეს.

– ჯარისკაცთა ინფორმაციით, მათი განთავსების ადგილზე არ არის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები. ჯარისკაცები არ არიან უზრუნველყოფილნი ნორმალური საკვებით, მათი რაციონი ერთფეროვანია და მხოლოდ ბოსტნეულის სუპისა და წიწიბურასგან შედგება, ხორციანი კერძები საჭმელად უვარგისია, – აღნიშნეს სახალხო დამცველის აპარატში.

მათივე ცნობით, ქვედანაყოფში არ არის დაცული ჰიგიენური პირობები. არ ხდება სამხედრო ფორმების გამოცვლა, აქვთ წყლის პრობლემა და აბანოთი მხოლოდ კვირაში ერთხელ სარგებლობენ. არა აქვთ კომუნიკაციის საშუალებები და ვერ ახერხებენ ოჯახებთან დაკავშირებას.

ამასთან, როგორც ქვედანაყოფის ჯარისკაცები აცხადებენ, ისინი მუდმივად განიცდიან ზეწოლას ზემდგომი პირების მხრიდან.

# ასე რომ სანაიას მკვლელობა გამოეძიებინათ

**აზერბაიჯანის სამართალდამცავი ორგანოების საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფი, რომელიც ჟურნალ “მონიტორის“ მთავარი რედაქტორის ელმარ ჰუსეინოვის მკვლელობის საქმეს იძიებს, დამატებითი მტკიცებულებების მოსაპოვებლად საქართველოში იმყოფება.**

ამის შესახებ აზერბაიჯანის ეროვნული უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის ხელმძღვანელმა არიფ ბაბაევმა საინფორმაციო სააგენტო „აზერი-პრესს“ აცნობა.

სააგენტოს ინფორმაციით, საგამოძიებო ჯგუფი საქართველოს შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობს.

„განვლილ პერიოდში განხორციელდა 850 სხვადასხვა საგამოძიებო ღონისძიება, დაიკითხა 600-ზე მეტი მოწმე, 150-ჯერ ჩატარდა ჩხრეკა, დაინიშნა 20 ექსპერტიზა“, – აღნიშნა უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის ხელმძღვანელმა.

აზერბაიჯანის ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ჟურნალ „მონიტორის“ მთავარი რედაქტორი ელმარ ჰუსეინოვი 2005 წლის მარტში ბაქოში, საკუთარ სახლთან მოკლეს.

აზერბაიჯანის პროკურატურის ვერსიით, ელმარ ჰუსეინოვი საქართველოს ორმა მოქალაქემ თეიმურაზ ალიევმა და ტაჰირ ხუბანოვმა მოკლეს. მათზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული.

**ინტერპრესნიუსი**

საქმე №2/71

# განჩინება

28 ივნისი 2007 წელი — ქ. ტყიბული

**ტყიბულის რაიონული სასამართლოს**

მოსამართლე – მათიკო ხურციძემ

ნანა შარვაძის – მდივნობით

კრედიტორის – ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლის ვახტანგ გვენეტაძე

მოვალის – შპს „ლოლაშენის“ დირექტორის – რობერტ ცირეკიძის მონაწილეობით

განვიხილე განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება შპს „ლოლაშენის“ ქონებაზე – 2007 წლის 28 ივნისის 11 სთ.
2. შპს „ლოლაშენის“ გაკოტრების დროებით მმართველად კრედიტორთა პირველ კრებამდე დაინიშნოს კუკური ლომთაძე.
3. ვალაუვალ მოვალეს – შპს „ლოლაშენს“ აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვა.
4. გაკოტრების დროებით მმართველს დაევალოს მართოს და განკარგოს გაკოტრების მასა და მოვალის მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება, გარდა იმ ქონებისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას, იძულებით აუქციონს, ყადაღის დადებასა და სეკვესტრს.
5. კრედიტორთა პირველი კრება მოწვეულ იქნას 2007 წლის 31 ივლისს, დღის 12 საათზე, ტყიბულის რაიონული სასამართლოს შენობაში (ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. №4ძ. კრედიტორთა კრების დღის წესრიგად განესაზღვროს 1. კრედიტორთა კომიტეტის არჩევა, 2. გაკოტრების მმართველის არჩევა.
6. კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომა ჩატარებულ იქნას ტყიბულის რაიონული სასამართლოს შენობაში 2007 წლის 31 ივლისს 12 საათზე. (ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. №4, დარბაზი 2ძ.
7. ვალაუვალი მოვალის კრედიტორები ვალდებულნი არიან 2007 წლის 24 ივლისამდე წარმოადგინონ გაკოტრების სამმართველოში (ქ. ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. №4ძ თავიანთი მოთხოვნები ვალაუვალი მოვალის მიმართ, მოთხოვნის ოდენობის (შესაბამის ვალუტაშიძ და მისი წარმოშობის საფუძვლის ჩვენებით. მიეთითოთ ვალაუვალი მოვალის კრედიტორებს, რომ მოთხოვნათა წაყენების ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნები განიხილება როგორც დაგვიანებით განცხადებული მოთხოვნები და მათი გათვალისწინება არ მოხდება გაკოტრების მასის განაწილებისას.
8. ყველა ის პირი, რომელსაც ვალაუვალი მოვალის ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის უფლება ვალდებულია თავისი უფლების შესახებ განაცხადოს გაკოტრების მმართველთან მოთხოვნათა წაყენების ვადაში ანუ 2007 წლის 24 ივლისამდე.
9. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიება, ხოლო მათი სააღსრულებო წარმოება გადმოეცეს გაკოტრების სასამართლოს.
10. აღნიშნული განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე ტყიბულის რაიონული სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე. გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს გაკოტრების მასას.
11. განჩინების ასლი გაეგზავნოს:

აძ შპს საქართველოს ფოსტის ტყიბულის ფილიალს და მიეთითოს, რომ ვალაუვალი მოვალის შპს „ლოლაშენის“ სახელზე მიღებული ყველა გზავნილი და კორესპონდენცია გაუგზავნოს გაკოტრების დროებით მმართველს კუკური ლომთაძეს მისამართზე, ტყიბული, სოფელი ორპირი.

ბძ სამეწარმეო რეესტრს (ქუთაისის საგადასახადო ინსპექციაძ რათა გაკეთდეს ჩანაწერი სამეწარმეო რეესტრში შპს „ლოლაშენის“ ქონების მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

12. ეცნობოს სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკს“, რომ შპს „ლოლაშენის“ ქონებაზე გახსნილია გაკოტრების საქმის წარმოება.
13. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივრის შეტანა მისი გამოქვეყნების მომენტიდან 12 დღის ვადაში.

**მოსამართლე — მათიკო ხურციძე**

● „ფოლადის" განახლებულ სტადიონზე ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო შეხვედრაში „ოლიმპს" მეტოქეობას ყაზახური „ასტანა" უწევდა



## ◉ ფეხბურთი

# ვის მიჰყავს „პარადი"?



**რუსთავს რამდენჯერმე უნდა ემასპინძლა ევროტურნირების მატჩებისთვის, მაგრამ ხან ქვეყანაში განვითარებული რთული პოლიტიკური მოვლენების, ხანაც უიღბლობის გამო დებიუტი საერთაშორისო სარბიელზე რამდენჯერმე გადაიდო.**

როგორც იქნა, ეს დღეც გათენდა – „ფოლადის" განახლებულ სტადიონზე ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო შეხვედრაში „ოლიმპს" მეტოქეობას ყაზახური „ასტანა" უწევდა.

სამწუხაროდ, იმ შემადგენლობიდან, რომელმაც ქვემოქართლელები კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აიყვანა, გუნდში მისი ნახევარიღა დარჩა. დაუმატეთ ამას ახალი მწვრთნელის – ვარლამ კილასონიას გამოუცდელობა და მიხვდებით, როგორი პრობლემებით ჩაება პრესტიჟულ ასპარეზობაში ქართული კლუბი. საწინააღმდეგო ვითარება სუფევდა სტუმართა რიგებში. გარდა იმისა, რომ იქ გახურებული სეზონია, განაცხადში უკომპრომისო ბატალიებში გამობრძმედილ მეკარე ბოიჩენკოსა და საყრდენ ნახევარმცველ ბულატოვის გვარებიც ამოვიკითხეთ, განსაკუთრებულ პატივისცემას კი რუსეთის პრემიერლიგაში ნამოღვაწარი თავკაცი ალექსანდრ ირხინი იმსახურებს.

როგორც ბრძოლამ ცხადყო, დამრიგებლის ფაქტორს მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია – მაშინ, როცა აზიელთა თამაშს კვალიფიციური პროფესიონალი უძღვებოდა, მისი კოლეგის ფუნქციებს „ოლიმპის" სათადარიგოთა სკამზე მოკალათებული კლუბის ერთ-ერთი მესვეური ზურაბ ჯაფარიძე ითავსებდა. ასეთ სიტუაციაში დაფიქსირებული ფრე – 0:0, ვფიქრობთ, ლოკალურ წარმატებადაც კი შეიძლება შეფასდეს, თუმცა, რაც შეეხება შემდგომ ეტაპზე გასვლის პერსპექტივას, პირდაპირ უნდა ითქვას – ოპტიმიზმის საფუძველი მინიმალურია. იმედი ვიქონიოთ, რომ ვცდებით – ყველაფერს 24 ივლისს დანიშნული საპასუხო დუელი გაარკვევს.

**დანარჩენი მატჩების შედეგები:** ***„ზეტა" – „კაუნასი" 3:1 (სტუმართაგან გოლი გივი კვარაცხელიამ გაიტანაძ, „ხაზარი" – „დინამო" (ზაგრებიძ 1:1, „მურატა" – „ტამპერე" 1:2, „აპოელი" – ბატე 2:0, „ლინფილდი" – „ელფსბორგი" 0:0, „ტნს" – „ვენტსპილსი" 3:2.***

## ◉ ორბიტაზე

### ჩოგბურთისთვის სარეკორდო

**როგორც ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, საჩოგბურთო ტურნირებისთვის სარეკორდო იქნება წლევანდელი US Open-2007-ის საპრიზო ფონდი – 19,6 მილიონი დოლარი. ეს პრესტიჟული ტურნირი 27 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე გაიმართება.**

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, როგორც კაცთა, ისე ქალთა ერთეულთა თანრიგში გამარჯვებულნი მიიღებენ თითო მილიონ დოლარს.

### საოლიმპიადო ამინდის უზრუნველსაყოფად



**ჩინეთი 2008 წლის პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე მოწმენდილ ცას უზრუნველყოფს ღრუბლების გასაყრელი სპეციალური რაკეტებით. როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინება, იმ კვირაში დაგეგმილია რაკეტების საცდელი გაშვება.**

„ზაფხულობით ჩვენში ბევრი ნალექია, წლეულს ჩვენ მოვაწყობთ საცდელ გაშვებას, რათა ყოველმხრივ ვიყოთ მზად მომავალი ზაფხულისთვის, როცა ოლიმპიადა გაიმართება", – განაცხადა ჩინეთის მეტეოროლოგიური სამსახურის უფროსმა ჩჟენ გოუჩჟანმა.

### კუბელი „დეზერტირები"

**ხელბურთში კუბის ნაკრებმა, ახლა რიო-დე-ჟანეიროში პანამერიკულ თამაშებზე რომ გამოდის, მოულოდნელი დანაკლისი განიცადა. სამშობლოში ცხოვრებას ბრაზილია ამჯობინა ხელბურთელმა რაფაელ დეკოსტამ. „იგი რამდენიმე დღის წინათ გავიდა ქუჩაში და აქამდე არ დაბრუნებულა", – განაცხადა კუბის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელობამ.**

როგორც ამბობენ, კუბაში ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით დღემდე გრძელდება სოციალისტური ექსპერიმენტი, ახლა კი, მისი ავადმყოფობის გამო, ამ საქმეს რაულ კასტრო აგრძელებს. სწორედ ამის გამოა, რომ როგორც კი თავისუფლების კუნძულის მოქალაქეებს ეძლევათ გაქცევის საშუალება, აუცილებლად იყენებენ მას.

ახლა რიო-დე-ჟანეიროში იმყოფება დაახლოებით 500 კუბელი ათლეტი,არავინ იცის, თუ თამაშების დამთავრებამდე კიდევ ვინ გაუყვება ხელბურთელის გზას.



## ◉ ბეისბოლი



### ამერიკის საგზურისთვის იბრძვიან

**პოლონეთის ქალაქ პოზნანში დაიწყო ბეისბოლისტთა ევრო-აფრიკული ზონის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 19 წლის სპორტსმენები მონაწილეობენ.** გამარჯვებული გუნდი ორი კონტინენტის სახელით აშშ-ში მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს.

საქართველოს ნაკრებმა პირველ შეხვედრაში პოლონეთს სძლია მშრალი ანგარიშით – 10:0, მეორე ტურში კი ავსტრიას აჯობა – 9:5.

## ◉ უეფას თასი

### ვინ გაიტანს გოლებს?

**დღეს ევროტურნირებში კიდევ ორი ქართული კლუბი ჩაებმება – თბილისის „დინამო" 18 საათზე ვაკის სტადიონზე ლიხტენშტაინის „ვადუცს" უმასპინძლებს, დედაქალაქისვე „ამერი" კი პოლონეთში „ბელხატოვს" ეთამაშება.**

გლდანელებს მძიმედ დაშავებული წინამძღვრიშვილისა და ჩიმაკაძის სახით შეტევაში სერიოზული პრობლემები შეექმნათ, თუმცა გოცირიძის დამატებით, ვფიქრობთ, ნაწილობრივ მაინც მოაგვარებენ მტკივნეულ საკითხს.

სანდრო იაშვილის შვეიცარიულ „თუნში" გადასვლამ ანალოგიური თავსატეხი დილმელთა თავკაც დუშან უგრინსაც გაუჩინა. ვიმედოვნებთ, მდგომარეობის გამოსწორებას მის ნაცვლად მოწვეული გაბონელი თავდამსხმელი აკირემი შეეცდება. დღესვე შედგება მისივე თანამემამულე მეკარე ოვონოს დებიუტიც.

## ◉ ნათლია

# ოცი წლის წინათ



**ეს სახენათელი კაცი თენგიზ თომაძე გახლავთ. 17 წლისაც არ იყო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საამკინძაო საამქროში რომ დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა.**

წლეულს შვილებითა და შვილიშვილებით დახუნძლულ წიგნიერ პიროვნებას კიდევ ერთი იუბილე აქვს – 1987 წლის მაისში მან გაზეთ „ლელოს" რედკოლეგიას წარუდგინა წინადადება – ტერმინი „მკლავის გადაძალვა" შეეცვალათ ტერმინ „მკლავჭიდით". იგი მოიწონეს და „ლელოს" მეშვეობით ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიაში ბატონ თენგიზის ავტორობით „მკლავჭიდი" დამკვიდრდა.

**როგორ დაიბადა აღნიშნული იდეა?** – ვეკითხები ჟურნალისტური ამქარის დიდ მეგობარს.

– როგორ და სამსახურისკენ მგზავრობის დროს, როცა უნივერსიტეტის გაჩერებაზე დამონტაჟებულ სტენდზე გამოკრული აფიშები თსუ-ს დარბაზში გვეპატიჟებოდა მკლავის გადაძალვის შეჯიბრებაზე. მაშინ რატომღაც გამახსენდა 1952 წელს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე გამოსული მხატვრული ფილმი „ალბანეთის" დიდი მეომარი სკანდერბეგი" სწორუპოვარი აკაკი ხორავას მონაწილეობით, რამაც ახალგაზრდობას ბიძგი მოგვცა, ქალაქად თუ სოფლად, სხვადასხვა ასპარეზობა მოგვეწყო ერთმანეთის ძალღონის შესამოწმებლად. რაც შეეხება უშუალოდ ნათლიობას, იგი უშუალოდ „ლელოს" რედაქტორის თენგიზ გაჩეჩილაძისა და მისი მოადგილის ბიჭიკო ქორქიას სახელებს უკავშირდება.


მოწმობა

გაზეთ „ლელოს" სარედაქციო კოლეგია ამით ადასტურებს, რომ 1987 წლის 12 მაისს ...
... თენგიზ თომაძე

გაზეთ „ლელოს"
მთავარი რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე

## ◉ კალათბურთი

# ხვალ კრეტაზე

**საქართველოს 16 წლის კალათბურთელებმა შარშან ევროპის პირველობის B ჯგუფში ყველას აჯობეს და ელიტაში თამაშის უფლება მოიპოვეს.**



მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ასაკის მომატების გამო უწინდელი გუნდიდან თექვსმეტწლიანებს მხოლოდ კაპიტანი ტატო თავართქილაძე შემორჩათ, დანარჩენებს (თორნიკე შენგელია, გიორგი ელანიძე, გივი ბაქრაძე, მერაბ ბოქოლიშვილი, ბექა ჩიკვილაძე, აკაკი დვალიშვილი, ირაკლი მაღლაკელიძე, დავით იოსელიანი, ლევან სულაბერიძე, გიორგი ხეთაგური, ლუკა ჭოხონელიძე, მწვრთნელები – მიხეილ კობეშავიძე და გია კაზანჯიანიძ კი ევროპის პირველობაზე დებიუტი ექნებათ. 20 ივლისს ისინი ესპანელებს შეხვდებიან, 21-ში – იტალიელებს, ხოლო ქვეჯგუფის ბოლო მატჩს 22 ივლისს სლოვენიელებთან გამართავენ. სამი საუკეთესო მომდევნო ეტაპზე განაგრძობს ასპარეზობას, ხოლო ბოლო ადგილზე გასულს ელიტაში დასარჩენად მოუწევს ბრძოლა.

№ 138. ხუთშაბათი, 19 ივლისი, 2007 წელი.

# თვალსაწიერი

● აი, რა მიიჩნიეს თანამედროვეობის ყველაზე დიდ საოცრებებად: რომის კოლიზეუმი (იტალია); დიდი ჩინური კედელი; ქრისტეს ქანდაკება რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია); ძველი ინკების ქალაქი მაჩუ-პიჩუ პერუში; მაიას ტომის პირამიდა ჩიჩენ-იტცა, მექსიკის იუკატანის ნახევარკუნძულზე; თაჯ-მაჰალის ტაძარი ინდოეთში, პეტრას ტაძრების კომპლექსი იორდანიაში



პირველი რეიტინგის ერთადერთი მოწმე – ეგვიპტის პირამიდები

◎ გამოიცა

## სათნოებით ნათარგმნი ზღაპრები

**ხშირად დავფიქრებულვარ ხოლმე, რატომ იყო ჩემთვის უკრაინა ასე ახლობელი, და იქვე მიპასუხნია, ალბათ, ლესიას ლექსის ჯავარმა შემაყვარა იგი, ალბათ, გურამიშვილის „ქაცვია მწყემსმა“ შემატკბო იგი, იქნებ ტარასის ჩანგმა მაზიარა მას და, მას შემდეგ, რაც საშუალება მომეცა, ნაბიჯ-ნაბიჯ შემომეარა მისი ველები და მთები, მისი პურის ყანები და ქართულს მინამგვანი ზვრები, საბოლოო ჯამში, მივხვედრილიყავ – ამ ყველაფერმა ერთობლივად მაგრძნობინა უკრაინელი ხალხის სითბო, ამ ყველაფერმა ჩამიდუღაბა ეს სიყვარული და სლავურ გვარებს შორის მუდამ გაფაციცებით დავეძებდი უკრაინულ ჯილაგს, რომ მოვფერებოდი ამ დიდი ერის სიბრძნესა და თვითმყოფადობას.**

ახლა კი, კიდევ ერთი ლამაზი ჯადო მიემატა ამ ყველაფერს – მაგიდაზე მიდევს ლამაზად გაფორმებული თხელი წიგნი, რომელსაც ლამაზივე შრიფტით აწერია „უკრაინული ხალხური ზღაპრები.“



წიგნი ჩვენი შვილების ლამაზი გონების დასაპურებლად შეუქმნია იმ ხალხს, რომელმაც სიყვარულით ააფეთქა ჩემი სული და ვგრძნობ, თქვენც ასევე შეიგრძნობთ მას, როცა წაიკითხავთ.

ზღაპარი ყოველთვის და ყველასათვის არის გულმართალი შეგრძნებების წყარო, მაგრამ ამ კრებულს უმთავრესად მაინც, შნოსა და ლაზათს ჰმატებს ის სასიამოვნო ქართული, რომლითაც მოუჩუქურთმებია იგი უკრაინულიდან ქართულად მთარგმნელს, ქალბატონ ვალენტინა (ვალია) ხაზალიას.

იმდენი ხანი გავიდა, არც კი მახსოვს წესიერად, როდიდან მაქვს ბედნიერება, ვიცნობდე და ვაფასებდე ქალბატონ ვალენტინას, მაგრამ ამ ხნის მანძილზე მუდამ ვხედავდი მის სათნო სინაზეს, დახვეწილობას და მშვენიერებას. მის მიერ თარგმნილ უკრაინულ ხალხურ ზღაპრებსაც თვალნათლივ ეტყობა ეს სათნოება და მშვენიერება.

ვფიქრობ, ამ ზღაპრების თარგმნითა და გამოცემით კარგი საქმე გაკეთდა. ჩვენი პატარები, მშობლიურთან ერთად, ეზიარებიან მოძმეთა სიბრძნეს, შეისისხლხორცებენ, თუ რას ნიშნავს სიკეთის ქმნის უპირველესობა, სიცრუე-ღალატის გმობა და სიკეთის მადლი.

და, როცა, ჩემო პატარებო (და უფროსებოც), წაიკითხავთ ამ ლამაზ ზღაპრებს, უპირველესი მადლიერება გამოხატეთ „ვალია ბებიას“ მიმართ, სწორედ მან გაზიარათ ჩვენი მოძმე ხალხის სიბრძნესა და სილამაზეს!

აბა, ნახეთ ქვემოთ, რაოდენი სიბრძნე გამოედინება მისგან.

**ზაურ ფიფია**

## ბრბოს სამართალი

**დიდი ხნის წინათ ერთ სოფელში გამრჯე, გონიერი, მაგრამ მეტად ღარიბი გლეხკაცი ცხოვრობდა. მის სიტყვას არავინ არაფრად აგდებდა; რაც უნდა ჭკვიანურად რამე ეთქვა, ხალხი მაინც მასხრად იგდებდა: „მაგას რა ესმის? მაგან რა იცის? ტყუის, მაგას ვინ რას დაუჯერებს?“**

**მაგრამ ღმერთმა უშველა გლეხკაცს; გამდიდრდა, შეძლებული გახდა, ჰოდა, ახლა, სოფლის თავკაცადაც კი აირჩიეს. ერთხელ გლეხკაცმა მთელ სოფელს მოუყარა თავი. დიდხანს ილაპარაკეს, ხან ამ მთისა თქვეს, ხან იმ მთისა. ბოლოს, სოფლის თავკაცი წამოდგა და ხალხს მიმართა:**

**– კეთილო ხალხო, გაიგეთ, რა სეირი მომივიდა?**

**– არ გაგვიგია, რა იყო, რა მოგივიდა? – ჰკითხეს აქეთ-იქიდან.**

**– რა და, ქალაქში ვიყავი, ახალი სახნისი შევიძინე. ერთი კი მქონდა ახალთახალი, მაგრამ რაკილა იაფად შევხვდი, ვიფიქრე, ზედმეტი არც ეს იქნება-მეთქი და ვიყიდე. შინ მოვიტანე, ბეღელში შევინახე. ვიფიქრე, ეგდოს-მეთქი, ვიდრე დამჭირდება. ორიოდე კვირა ისე გავიდა, რომ მისკენ არც გამიხედავს. გუშინ რაღაცაზე ბეღელში შევიხედე. ვხედავ, ჩემი ახალი სახნისი სულ გამოხრულია. თვალს არ დავუჯერე, ახლოს მივედი და... თაგვებს არ გამოუხრავთ? ისე გაუხდიათ, რომ არაფრად ვარგა, უნდა აიღო და გადააგდო. სასეირო ამბავს, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის!**

**– ხდება, ხდება ხოლმე ასე. ბევრია ასეთი თაგვი, პატარები არიან, მაგრამ ისეთი ბასრი კბილები აქვთ, რომ ქვასაც დაფქვავენ!**

**– სწორია, სწორია! – დაადასტურეს სხვებმაც.**

**უსმინა სოფლის თავკაცმა, უსმინა და მერე თქვა:**

**– ეჰ, ასეთია ამ წუთისოფლის სამართალი – ვიდრე ღარიბი ვიყავი და სიმართლეს ვამბობდი, ტყუიხარო, მეუბნებოდით, ახლა, როცა წელში გავიმართე, იცით, რომ ტყუილებსა ვჩამახავ, მაინც მართალი ხარო, კვერს მიკრავთ. აბა, სად გაგონილა, რომ თაგვებს სახნისი გამოეხრათ? განა შეიძლება, ასეთი რამე მოხდეს? განა სახნისი რკინისა არ არის?**

თარგმნა

**ვალენტინა (ვალია) ხაზალიამ**

◎ ამქვეყნიური საუნჯე

## მსოფლიოს შვიდი კი არა, თოთხმეტი საოცრება



რომის კოლიზეუმი



დიდი ჩინური კედელი



ქრისტეს ქანდაკება რიო-დე-ჟანეიროში

**ეს ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან ვიცოდით, რომ არსებობს მსოფლიოს შვიდი საოცრება, რომელთა თავისებური რეიტინგი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში შეადგინა ფილონ ალექსანდრიელმა; თუ რატომ შვიდი ობიექტი და არა მეტი ან ნაკლები, დღემდე არავინ არ იცის. ერთი კია, რომ ამ ციფრს რაღაც მაგიურ ძალას ანიჭებენ, ძველმა ეგვიპტელებმა კი ეს ახსნეს ცისარტყელას 7 ფერით, მზის სისტემის 7. სხეულით, შეუიარაღებელი თვალითაც რომ მოჩანს.**

ალბათ გახსოვთ, სამყაროს შვიდ საოცრებაში ფილონმა შეიტანა:

**ეგვიპტის პირამიდები; სემირამიდას დაკიდებული ბაღები, მეფე ნაბუქოდონოსორმა თავისი ცოლის პატივსაცემად რომ გააშენა; არტემიდას ტაძარი ეფესში, შემდეგ ჰეროსტრატემ რომ დაწვა; ზევსის ქანდაკება საბერძნეთში, რომელიღაც ტირან მავსოლის აკლდამა-სამარხი გალიკარნასში: ჰელიოსის 36-მეტრიანი ბრინჯაოს ქანდაკება კუნძულ როდოსზე – ე.წ. „როდოსის კოლოსი“; ალექსანდრიის შუქურა ხმელთაშუა ზღვაში, კუნძულ ფაროსზე.**

ამათგან ჩვენამდე მხოლოდ ეგვიპტის პირამიდებმა მოაღწიეს, თუმცა მათ გარშემო დღემდე კიდევ მრავალი საიდუმლო არსებობს.

აბა, რას წარმოიდგენდა ბრძენი ფილონი, რომ მრავალი საუკუნის შემდეგ მის შედგენილ რეიტინგში შემავალი, თუმცა ლეგენდად ქცეული ობიექტები შთამომავალთ ეცოტავებოდათ და კანადელი კინორეჟისორის, ხელოვნებათმცოდნისა და მფრინავის ბერნარდ ვებერის ინიციატივით ამჟამად არსებული არქიტექტურული ობიექტების მიხედვით ახალი რეიტინგის შექმნას მოინდომებდნენ. ვებერმა 77 ობიექტი შეარჩია (ისევ ის მაგიური შვიდიანები!) და ყველა მსურველს შესთავაზა 7 განსაკუთრებულად ორიგინალურის გამორჩევაც ინტერნეტის ან ტელეფონის საშუალებით. ამ თავისებური კონკურსის თარიღად ასევე მაგიური შვიდიანი გამოცხადდა. – ოცდამეერთე საუკუნის მეშვიდე წლის, მეშვიდე თვის მეშვიდე დღე – 7.07.07. ამ თავისებურ მსოფლიო კენჭისყრაში მონაწილეობდა ჩვენი პლანეტის 150 მილიონი მცხოვრები.

აი, რა მიიჩნიეს თანამედროვეობის ყველაზე დიდ საოცრებებად: **რომის კოლიზეუმი (იტალია), დიდი ჩინური კედელი; ქრისტეს ქანდაკება რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია); ძველი ინკების ქალაქი მაჩუ-პიჩუ პერუში; მაიას ტომის პირამიდა ჩიჩენ-იტცა, მექსიკის იუკატანის ნახევარკუნძულზე; თაჯ-მაჰალის ტაძარი ინდოეთში, პეტრას ტაძრების კომპლექსი იორდანიაში.**

ყველაზე „ახალგაზრდა“ ამ რეიტინგში ქრისტეს ქანდაკებაა ბრაზილიაში, ასე ხშირად რომ ჩანს მოძალებულ სატელევიზიო სერიალებში. ის 1931 წელს „დაიბადა“.

რუსეთელები ძალზე გაანაწყენა მილიონების ასეთმა არჩევანმა, რადგან იქ ვერ მოხვდა 77 რჩეულში დასახელებული მოსკოვის კრემლი, ვასილ ნეტარის ტაძრის კომპლექსით.

**ვალიკო სიმონიშვილი**



ძველი ინკების ქალაქი მაჩუ-პიჩუ



მაიას ტომის პირამიდა ჩიჩენ-იტცა



თაჯ-მაჰალი



პეტრას ტაძრების კომპლექსი

№ 138. ხუთშაბათი, 19 ივლისი, 2007 წელი.

● *ჩვენთვის თქვენ როგორ არა ხართ,*
*ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!*



**ხსოვნა**

# იაკობ ბობოხიძე



მუსიკალურმა და კინემატოგრაფიულმა ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი კომპოზიტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე იაკობ ბობოხიძე, რომლის შესანიშნავმა მუსიკამ ქართველი ხალხის დიდი სიყვარული მოიპოვა.

იაკობ ვარლამის ძე ბობოხიძე დაიბადა 1931 წლის 31 მაისს ქათაისში. 1957 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია პროფესორ ალექსი მაჭავარიანის ხელმძღვანელობით. 1956-1972 წლებში იგი საქართველოს ტელევიზიისა და რადიოკომიტეტის ტელეფილმების სტუდიის მუსიკალური ხელმძღვანელი, ხოლო 1977 წლიდან საქართველოს კინოსტუდიის მთავარი მუსიკალური რედაქტორი იყო, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა. სწორედ ეს იქცა ბატონი იაშას შემოქმედებითი ცხოვრების მთავარ საქმედ, აქ შეიქმნა მისი სიმღერების საუკეთესო ნაწილი, რომლებმაც თავისი ხალასი მელოდიურობის წყალობით დიდი პოპულარობა მოიპოვეს ქართულ საზოგადოებაში.

მაგრამ ჯერ კიდევ მანამდე, 1961 წელს იაკობ ბობოხიძის სახელი ფართოდ გახდა ცნობილი, როდესაც მან შექმნა თავისი შედევრი – „სიმღერა საქართველოზე" – სოლისტის, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის, დავით გამრეკელის სოლისტობით, ოდისეი დიმიტრიადის დირიჟორობითა და ჯანსუღ კახიძის ლოტბარობით ამ სიმღერამ უდიდესი პოპულარობა მოიპოვა და დღესაც ძველებურად მხნედ, ამაღელვებლად და შთამაგონებლად ჟღერს.

ბატონი იაშა 60-ზე მეტი ქართული კინოფილმის, მათ შორის, მხატვრული კინოფილმების მუსიკის ავტორია, მისი მუსიკა მრავალი ცნობილი ქართული კინოფილმის განუყრელი ნაწილია.

გარდა სიმღერებისა, ი. ბობოხიძეს ეკუთვნის საბავშვო ოპერა-ბალეტი „ბურატინო" !დაიდგა 1977წ.ძ, კონცერტი საყვირისა და სიმფონიური ორკესტრისათვის, კონცერტინო ფლეიტა-პიკოლოსათვის, კანტატა „მთაწმინდის მთვარე", მრავალი საგუნდო ნაწარმოები, მუსიკა დრამატული სპექტაკლებისათვის და ა.შ. შარშან, კომპოზიტორის 75 წლის საიუბილეოდ გამოიცა ი. ბობოხიძის ცნობილი სიმღერების მშვენიერი კრებული. რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ი. ბობოხიძის შემოქმედებითი ნიჭიერების შესახებ. მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი „პატრიოტის" პრემიით აღინიშნა.

შესანიშნავმა ადამიანურმა თვისებებმა ბატონ იაშას მრავალი მეგობარი, ამხანაგი და პატივისმცემელი შესძინა.

ქართველი მუსიკოსები, კინემატოგრაფისტები და მრავალრიცხოვანი მუსიკის მოყვარულები სათუთად შეინახავენ ბატონ იაკობ ბობოხიძის ნათელ ხსოვნას.

**საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, საქართველოს მუსიკალური ფონდი**

**ხსოვნა**

# თინა სვანიძე



შენი წასვლა ამ ქვეყნიდან, ჩვენო თინა, ტკივილიანი და თავზარდამცემია, ახლა, როცა გიხსენებთ, ისევ გვტკივა გული, მაგრამ თავზარდაცემა, სევდა და დარდი, მონატრება შეცვალა შენმა დათესილმა სიკეთემ, უმცროსი და უფროსი თაობის მეგობრები ქედს ვიხრით შენი ნათელი, მთის წყაროსავით ანკარა ცხოვრების წინაშე.

გარდაიცვალა, ღვაწლმოსილი პიროვნება, დამსახურებული იურისტი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს შრომის ვეტერან-პენსიონერთა კავშირის თბილისის საქალაქო საბჭოს წევრი თინა პარმენის ასული სვანიძე. წლების განმავლობაში იგი მუშაობდა მოსამართლედ წყალტუბოსა და თბილისის ვაკის რაიონებში. ქალბატონი თინა გამოირჩეოდა მაღალი ზნეობით, შინაგანი კულტურით, ადამიანების მიმართ საოცარი გულისხმიერებით, სითბოთი, სიკეთით, ახასიათებდა პიროვნული თვისებები, შინაგანი კეთილშობილება, ქართული სიდარბაისლე, სულიერი სისპეტაკე, ყოველდღიურ ცხოვრებაში იყო ლამაზად, ყოველთვის სადღესასწაულოდ ჩაცმული, ბრწყინვალე წარმოშობის, წარმოსადეგი გარეგნობის და დიდებულად აღზრდილი ქალბატონი, რამაც მას დამსახურებულად მოუხვეჭა მაღალი და მყარი ავტორიტეტი.

ქალბატონი თინა ყოველთვის მხარს უჭერდა სასმართლოს დამოუკიდებლობას, იჩენდა და ახერხებდა კიდეც დარბაზის მართვის უნარ-ჩვევების გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში.

როგორც მოსამართლე ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში, იყო არა მარტო იურისპრუდენციის შესანიშნავი მცოდნე, არამედ ჰქონდა საზოგადო მოღვაწეობის სიბრძნე, განსახილველი საკითხების განხილვისას გადაწყვეტილებებს ღებულობდა სიღრმისეული წვდომის უნარით, მტკიცედ ადგენდა დანაშაულებრივ ქმედებებს და აწესებდა კანონით მინიჭებულ შესაბამის სასჯელს, რომელიც შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ნორმებს.

ჩვენო თინა, თქვენ ნიმუშს უჩვენებდით ახალგაზრდობას, როგორც თბილისის საქალაქო საბჭოს წევრი, ეხმარებოდით, რჩევას აძლევდით რაიონულ და პირველად ორგანიზაციებს, სექტორთა თავმჯდომარეებს, თუ როგორ უნდა წარემართათ მუშაობა, მხარში ედექით ვეტერან პენსიონერთა მრავალათასიან ორგანიზაციას, რათა გასაგები ყოფილიყო, თუ რა წვლილი შექონდათ წინა თაობებს ქვეყნის ძლიერებისათვის, მათ უნდა სცოდნოდათ, თუ ვინ ვიყავით, როგორ ვცხოვრობდით და ვილწვოდით ქვეყნის ძლიერებისათვის

ძალზე განვიცდით, რომ მეტად ველარ გიხილავთ, ველარ შეგხვდებით, ქალბატონო თინა, მარადიულობის სასუფეველში უკვდავად გადასულს, მაგრამ გვჯერა, რომ იგი საუკეთესო მაგალითად დარჩება ჩვენს გულში.

– კურთხეული იყოს ამ ქვეყნად ჩვენში შენი ხსენება და იქ დიდებულ წინაპრებს შორის ღირსეული განსვენება, სამარადისო პატივი თქვენ, უკუნითი უკუნისამდე, განუსვენე, უფალო, სულისა მიცვალებულისა მონისა შენისა.

**საქართველოს შრომის ვეტერან პენსიონერთა კავშირისა და თბილისის საქალაქო საბჭოს გამგეობა**

**მეზობლებთან**

## რუსეთი იმრავლებს მილიონერთა რიგებს

**რუსეთელი ბიზნესმენები გამალებით მდიდრდებიან. მილიონერთა რაოდენობა შარშან 15,5 პროცენტით გაიზარდა. ამ მაჩვენებლით ჩრდილოელ მეზობლებს მხოლოდ აზიური ქვეყნები უსწრებენ – ინდოეთი, სინგაპური.**

2006-ში მსოფლიოში 8,3 პროცენტით მეტი მილიონერი გახდა და ამჟამად 9,5 მილიონი კაცია ასეთი. მათი საერთო ქონება 37,2 ტრილიონ დოლარად ფასდება (შესაბამისად, ტრილიონი ათასი მილიარდიაძ და ქველმოქმედებას ამ თანხის მხოლოდ 1 პროცენტი ხმარდება...

რუსეთში შეძლებულთა რიცხვი, ექსპერტთა შეფასებით, 119 ათასს აღწევს და კიდევ 75 ბიზნესმენს აქვს მილიარდებად თავის მოწონების უფლება.

ვფიქრობ, რომ ზემდიდართა რიცხვის ზრდა გაგრძელდება, ოღონდ უფრო შენელებული



ტემპებით: წინა წლებში თუ საფონდო ბაზარს 50-70 პროცენტით შეეძლო ავარდნა, წლეულს ის თურმე ერთ ადგილს ტკეპნის.

**რუსეთული პრესის მიხედვით**

# განცხადება

**სსიპ სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგიის ცენტრის სამეცნიერო საბჭო აცხადებს ღია კონკურსს ცენტრის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად.**

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს უმაღლესი განათლების მქონე პირს, რომელსაც აქვს მუშაობის არა ნაკლებ 5 წლის სტაჟი აღნიშნულ სფეროში.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
2. კალენდარული ავტობიოგრაფია (CV).
3. უმაღლესი განათლების ან აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი.
4. ცენტრის განვითარების ხედვა – სამოქმედო პროგრამა.
5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ საბუთები სამეცნიერო საბჭოს სამდივნოში 2007 წლის 8 აგვისტომდე. მისამართი: სსიპ სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგიის ცენტრი, ჭავჭავაძის გამზირი 82, ტელ.: 22-01-72, ფაქსი: 29-39-88.

**არჩევნები ჩატარდება 18 აგვისტოს.**

არჩილ ბითაძე, ლევან სიმონიანი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან სკოლის მეგობრის, თვალსაჩინო მეცნიერის, გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტის

**გივი ნიკოლოზის ძე**
**გიგინეიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 19, 20 VII, 17 სთ. აკ. წერეთლის ქ. 63. გამოსვენება 21 VII, 15 სთ. გეოგრაფიული საზოგადოებიდან, ლ. გუდიაშვილის ქ. 11.

---

შპს აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის ქირურგიული და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ექიმი-ანესთეზიოლოგი

**თამარ ჩიჩუა**

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს

---

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ბატონ გ. გვასალიას და მის ოჯახს მეუღლის და დედის, ბრწყინვალე ექიმის და პიროვნების

**თამრიკო ჩიჩუა-გვასალიას**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე გივი ანჩაბაძე, შვილები ალიკო, ხათუნა, შვილიშვილები ანა, გივი, სანდრო ანჩაბაძეები, ელენიკო მოისწრაფიშვილი, რძალი თინათინ ლომაძე, სიძე გიორგი მოისწრაფიშვილი, მძახლები დოდო კუტივაძე, გურამ ლომაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჟანა ნიკოლოზის ასული**
**კუტალაძე-ანჩაბაძისა**

პანაშვიდი 20, 21 VII 17 სთ. გამოსვენება 22 VII 15 სთ. საბურთალოს ქუჩა №40 (II სადარბაზოძ, V სართული.

---

დისწულები თამარ (მაკაძ, ნანა ნიკურაძეები, ალექსანდრე (საშაძ მამაიაშვილი, რძალი დარეჯან მეტრეველი, სიძე ოთარ ჩერქეზიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჟანა ნიკოლოზის ასული**
**კუტალაძე-ანჩაბაძე.**

---

კლინიკური პათოლოგიის სამეცნიეროპრაქტიკული ცენტრისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნორა კალანდაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

№ 138. ხუთშაბათი, 19 ივლისი, 2007 წელი.

**გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ 51 წლის ბრიტანელი ქალბატონი მსოფლიო ტერორიზმის ბელადის უსამა ბინ ლადენის რძალი გახდა – ის ცოლად გაჰყვა მის 27 წლის ვაჟიშვილს უმარა ბინ ლადენს**



## ალიან-ჩალიანი

### მოლაპარაკებები შედეგს გამოიღებს?

**საქართველო რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან და საქართველოს მიერ დაყენებული მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აგრძელებს.**

ამის შესახებ გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ამ დღეებში რუსულმა მხარემ გამოგზავნა საკუთარი დასკვნა არალეგალურად მოქმედი სასაზღვრო-გამშვები პუნქტების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით.

ბეჟუაშვილის განცხადებით, რუსეთი უარყოფს ქართული მხარის მოთხოვნის სამართლიანობას და მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში არ უნდა წყდებოდეს.

### ჯობდა წყალი ადრეც შეემოწმებინათ



**ინფექციური დაავადებების თავიდან ასაცილებლად, აჭარაში ზღვის წყალი ლაბორატორიულად კვირაში ორჯერ მოწმდება.**

აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მამუკა ნაკაშიძემ განაცხადა, რომ შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც ბათუმის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის აკვატორიებში კვირაში 2-ჯერ ზღვის წყალს, ხოლო დღეში 3-ჯერ სასმელი წყლის სინჯებს ამოწმებს.

მისივე ინფორმაციით, კონტროლზეა აყვანილი საკურორტო ზონის სარეკრეაციო და მასობრივი თავშეყრის ადგილები, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული დამსვენებელთა ჯანმრთელობა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

### სიღნაღში ისტორიული ქორწინების სახლი აღდგება

**სიღნაღის ცენტრში, კოსტავას ქ. №10-ში მდებარე ქორწინების მომავალი სახლის შენობაში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაო დაიწყო, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია „იბერია" ახორციელებს.**

როგორც იუსტიციის სამინისტროში განაცხადეს, ქორწინების სახლის აღდგენა სიღნაღის განვითარების გეგმის ნაწილია.

სიღნაღის ქორწინების სახლის შენობა მე-19 საუკუნის I ნახევარშია აგებული და 1978 წლიდან ისტორიულ ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი. იქ განთავსებული იყო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სიღნაღის სამსახური, რომელიც ამჟამად დაბა წნორში მდებარეობს.

სიღნაღში ქორწინების რეგისტრაცია, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, ნებისმიერ წყვილს შეეძლება.



**ინტერპრესნიუსი**

## რა არ ხდება

### ბრიტანელი ბებია ბინ ლადენის რძალი

**გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ 51 წლის ბრიტანელი ქალბატონი მსოფლიო ტერორიზმის ბელადის უსამა ბინ ლადენის რძალი გახდა – ის ცოლად გაჰყვა მის 27 წლის ვაჟიშვილს უმარა ბინ ლადენს.**

მათ ერთმანეთი შარშან სექტემბერში ეგვიპტის ერთ-ერთ კურორტზე დასვენებისას გაიცნეს, 7 თვის შემდეგ კი დაქორწინდნენ. თუმცა ჯეინ ფელიქს-ბრაუნმა, ვისთვისაც ეს მეექვსე ქორწინებაა, უარი თქვა ქმრის გვარის ტარებაზე.

სამი შვილის დედამ და ხუთი შვილიშვილის ბებიამ განაცხადა, რომ ის სიყვარულით გათხოვდა და არ ნანობს, თუ ვისი რძალი გახდა.

უმარი მსოფლიო ტერორისტის 17 შვილიდან მეოთხეა. ის ახლა ცხოვრობს და მუშაობს საუდის არაბეთში, ცოლი კი ცდილობს მისთვის ბრიტანეთის ვიზის აღებას, სადაც უკვე დიდი ხანია, ცხოვრობენ მისი დები, ძმები და სხვა ნათესავები.



გაზეთისთვის Times მიცემულ ინტერვიუში ჯეინ ფელიქს-ბრაუნმა აღიარა, რომ თავის მომავალ მამამთილს ის 70-იან წლებში შეხვდა ლონდონში, ერთ-ერთ წვეულებაზე. ის იმასაც ამტკიცებს, რომ მის ქმარს 2000 წლიდან მამასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ამერიკის სენატმა უსამა ბინ ლადენის შეპყრობისათვის ჯილდო 25 მილიონი დოლარიდან 50 მილიონამდე გაზარდა.

### „ნათლიას" სასახლე იყიდება

**თქვენ ეს სასახლე უნდა გახსოვდეთ პოპულარული ამერიკული ფილმ „ნათლიადან", რადგან ის სწორედ აქაა გადაღებული და ახლა 165 მილიონ დოლარად იყიდება. კალიფორნიაში მდებარე ეს ადგილ-მამული ყველაზე ძვირადაა შეფასებული ამერიკის შეერთებულ შტატებში.**

„H" ფორმით აგებულ შენობაში 29 საძინებელი, აგრეთვე კინოთეატრი და ღამის კლუბია. 2,6 ჰექტარ ტერიტორიაზე სამი საცურაო აუზი და რამდენიმე ჩოგბურთის კორტია.

ეს ადგილ-მამული ადრე ამერიკელ მედიამაგნატს რენდოლფ ჰერსტს ეკუთვნოდა და მაშინ ის „ჩალის ფასად", რაღაც 120 ათას დოლარად შეიძინა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს აშშ-ში ერთადერთი უძვირფასესი სრა-სახლი როდია.

თითქმის მთელი წელია მყიდველი ვერ უშოვია საუდის არაბეთის ელჩს აშშ-ში, პრინც ბანდარ ბინ სულთანს, ის თავის მამულს კოლორადოში 135 მილიონ დოლარად აფასებს.

2001 წელს ყველაზე ძვირი სახლი ამერიკაში 44 მილიონ დოლარად გაიყიდა, რაც მაშინ თავისებური რეკორდი იყო.

## ლარის კურსი

**19 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,4158 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6655 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2957 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0655 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9486 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4925 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3310 ლარი. |

## ანეკდოტები

**მიხო ტურისტულ სააგენტოში რეკავს:**

**– ეგვიპტის კურორტებზე საგზურებს ყიდით?**

**– კი, რა თქმა უნდა.**

**– მითხარით, თუ შეიძლება, რა კურორტებია იქ?**

**– შარმ-ელ-შეიხი, ხურგადა, თებე, ნუვეიბა...**

**– ჰოპ, შეჩერდი, ზუსტად ნუვეიბა მჭირდება!**

**– როდის აპირებთ იქ გამგზავრებას?**

**– არც როდის, ჩვენ აქ კროსვორდს ვხსნით!**

* * *

**ქოლგების მწარმოებლებმა წვიმიანი ზაფხულისთვის უნდა ილოცონ, სანდლების მწარმოებლებმა – მშრალი ზაფხულისთვის, ლუდის მწარმოებლებმა – ცხელი ზაფხულისთვის. არყის მწარმოებლებს კი სალოცავად არ სცალიათ, მათ უნდა აწარმოონ!**

* * *



**განცხადება: მარტოხელა მამაკაცი ეძებს სიყვარულს, ალერსს, გაგებას და რაიმე საჭმელს.**

* * *

**სიმორცხვე – ეს ის არის, რაც ზოგიერთებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში უშლის ხელს, სხვებს კი საკუთარი მოთხოვნილებების დაფარვაში ეხმარება.**

* * *

**– პორუჩიკო, თქვენ მხდალი და ნაძირალა ხართ! დუელში გიწვევთ!!**

**– არ გამოგყვებით დუელში!**

**– რატომ?**

**– იმიტომ, რომ მხდალი ვარ.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში". მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1" ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.
მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი კონსტანტინე გურგენიძე
ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.